ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი
2019

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

CASE-LAW

(Factsheets)

THE THEMATIC DIRECTORY OF THE DECISIONS

The Supreme Court Of Georgia

Human Rights Centre

Tbilisi

2019

კრებულის რედაქტორი

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრებული თარგმნეს და დაამუშავეს:

ეკა მამალაძემ

ადამიანის უფლებათა ცენტრის

მთავარი კონსულტანტი

გულიკო მჭედლიშვილმა

ადამიანის უფლებათა ცენტრის

უფროსი კონსულტანტი

ნიკო დათეშიძემ

ადამიანის უფლებათა ცენტრის

რეფერენტი

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მ ა რ ი კ ა მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019

ISBN 978-9941-8-1985-8

Editor

The Head of Analytical Department

Prof. Dr. Marina Kvachadze

The Collection was translated and elaborated by:

Eka Mamaladze

Chief Consultant of Human Rights Centre

Guliko Mchedlishvili

Senior Consultant of Human Rights Centre

Niko Dateshidze

Legal Assistant of Human Rights Centre

Graphics Editor and Design

Marika Maghalashvil

© The Supreme Court of Georgia 2019
ISBN 978-9941-8-1985-8

წინასიტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ფარგლებში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი, სადაც თავმოყრილია 2017-2019 წლების განმავლობაში ევროპული სასამართლოს მიერ განხილული მნიშვნელოვანი საქმეები.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა და ახალი მიდგომები განსაზღვრულ თემატიკასთან მიმართებით. კრებულში შესულ საქმეებში განხილულია ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: ქალთა მიმართ ძალადობა, სიძულვილის ენა, პატიმართა ჯანმრთელობა, პერსონალური მონაცემები, იძულებითი შრომა, ახალი ტექნოლოგიები, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა და სხვა.

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის, ფართო პროფილის იურისტებისთვის, აკადემიური წრის წარმომადგენლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ადამიანის უფლებებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

მარინე კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

PREFACE

Analytical Department of the Supreme Court has prepared the compilation of the European Court of Human Rights Case-Law (Factsheets), which includes some of the key judgments delivered by the Strasbourg Court in the years 2017-2019.

The aim of the aforementioned compilation is to introduce the latest practice of the European Court of Human Rights and new approaches in terms of specific fields. The compilation overviews several significant issues, such as: violence against women, hate speech, prisoners' health, personal data, forced labour, new technologies, conscientious objection, etc.

Case-law of the European Court of Human Rights discussed in this compilation will be of particular interest for judges, attorneys, prosecutors, lawyers in general, as well as academics, students and all other persons interested in human rights issues.

MARINA KVACHADZE

Head of Analytical Department

სარჩევი

კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)
ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები 10
შრომითი დავები 10
ჟურნალისტები და საგამომცემლო კომპანიები 11

კონცენციის მე-8 მუხლი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება
იურისტები 17
მასწავლებლები და უნივერსიტეტის ლექტორები 17
საჯარო და პოლიტიკური მოღვაწეები 18

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
კონვენციის მე-8 მუხლი
(პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება)
ცვლილებები მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით 20
მშობლის უფლებამოსილების, ბავშვის განთავსების და
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლების
შვილებთან ხელმისაწვდომობის უფლებების ჩამორთმევა 20
კონვეციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება) 21

სიძულვილის ენა
ტერორიზმის გამართლება 22
ექსტრემიზმი 22
სახელმწიფო თანამდებობის პირთა შეურაცხყოფა 23
სიძულვილის ენა და ინტერნეტი 24
უვადო პატიმრობა 24

სპორტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა
(კონვენციის მე-3 მუხლი) 27
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (კონვენციის მე-5 მუხლი) 27
სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი) 28
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება
(კონვენციის მე-8 მუხლი) 29
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (კონვენციის მე-9 მუხლი) 29

ქალთა მიმართ ძალადობა 31

არასრულწლოვანთა დაცვა
მასწავლებელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობა 32
ოჯახში ძალადობა/არასათანადო მოპყრობა 32
სექსუალური ძალადობა 33
ფიზიკური სასჯელი 34
უცხოელი არასრულწლოვანი, თანმხლები პირის გარეშე 35

ბავშვის უფლებები
დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი)
შვილად აყვანასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებები 36
პირის უფლება წარმოშობის ცოდნის შესახებ 36
ახალი ტექნოლოგიები
ელექტრონული მონაცემები 38
ინტერნეტი 38
მობილური ტელეფონის აპლიკაციები 40
გადასახადები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
სამართლიანი სასამართლოს უფლება 42
პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმოწერის დაცულობის
უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი) 42
რელიგიის თავისუფლება (კონვენციის მე-9 მუხლი) 43
გამოხატვის თავისუფლება (კონვენციის მე-10 მუხლი)
ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება 43
ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა
(კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი) 44
გარემო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობა 45
სამრეწველო დაბინძურება 45
საკუთრების დაცვა (კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი) 46
იურისტის პროფესიული პრივილეგია
კლიენტსა და ადვოკატს შორის ინფორმაციის გაცვლა 49
ადვოკატისთვის საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვა
და სამართლიანი სასამართლოს უფლება 49
იურისტის სახლში ან ოფისში ჩხრეკის ჩატარება და ამოღება 50
მონობა და იძულებითი შრომა
ტრეფიკინგი ან/და იძულებითი პროსტიტუცია
სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას მსხვერპლები 52
კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა 55
მიგრანტთა პატიმრობა
თავისუფლების აღკვეთა/გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა 57
დაკავების კანონიერება 60
პატიმართა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები
სამედიცინო დახმარების გაწევა
ფიზიკური ტრამვის მქონე პატიმრებისთვის 63
კვების რეჟიმის დაცვა პატიმრობის დროს 63
ნარკოდამოკიდებულ პატიმართა მკურნალობა 64
პერსონალური მონაცემები
ინფორმაცია დნმ-ის შესახებ და თითის ანაბეჭდები 66

კომუნიკაციაში ჩარევა, სატელეფონო მოსმენა
და ფარული ზედამხედველობა 67
თანამშრომელთა მიერ კომპიუტერის გამოყენების მონიტორინგი 69
ვიდეოთვალთვალი 70
სისხლის სამართალი 72
გაფიცვაში მონაწილეობის გამო სამსახურიდან გათავისუფლება 74
პირადი ცხოვრების პატივისცემა 75

რეპროდუქციული უფლებები

სახლში მშობიარობა 76
გამრავლება სამედიცინო დახმარების მეშვეობით 76
სუროგაცია 77

ტერორიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

„დამნაშავის გადაცემის“ საიდუმლო ოპერაციები 78
კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საკითხები
(სამართლიანი განხილვის უფლება) 79
კონვენციის მე-7 მუხლი (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) 80
ტერორისტული აქტების მსხვერპლები 81

გენდერული თანასწორობა 89

ჯანდაცვასთან დაკავშირებული საქმეები 89

ოჯახში ძალადობა 91

კონვენციის მე-10 მუხლი

(გამოხატვის თავისუფლება)

ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები

GRA Stiftung gegen Rassismus and Antisemitismus შვეიცარიის წინააღმდეგ

GRA Stiftung gegen Rassismus and Antisemitismus v. Switherlan)

(საჩივარი №18597/13; 09/01/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარს გამოხატვის თავისუფლების ხელყოფასთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივანმა რეპუტაცია შეულახა პოლიტიკოსს. კერძოდ, მათ მიერ პოლიტიკოსის კამპანიის ფარგლებში გაკეთებული განცხადებები, რომლებიც გაკეთდა 2009 წელს, შვეიცარიაში მინარეთების[1] აკრძალვასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებამდე, „ვერბალურ რასიზმად" მიიჩნიეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) და აღნიშნა, რომ მათ წინაშე არსებული გარემოებების შეფასების დროს, შვეიცარიის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები და კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება პირის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა გადააჭარბეს მათთვის მიკუთვნებულ თავისუფალი შეფასების ფარგლებს. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ რეფერენდუმის დროს დებატების კონტექსტი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოების მიერ თავად რეფერენდუმის სხვა სახის კრიტიკაც, იმას ნიშნავდა, რომ სიტყვების – „ვერბალური რასიზმი" – გამოყენება არ იყო ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული. ასევე, მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის დაკისრებულ სანქციას, შესაძლოა ჰქონოდა მსუსხავი ეფექტი გამოხატვის თავისუფლებაზე.

შრომითი დავები

მარუნიჩი ხორვატიის წინააღმდეგ

Maruniæ v. Croatia

(საჩივარი №51706/11; 28/03/2017)

მომჩივანი, იმ მუნიციპალური კომპანიის დირექტორი, რომელიც საზოგადოებას კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფს, დაჩქარებული წესით გაათავისუფლეს თანამდებობიდან მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული კომპანიის თავმჯდომარემ მისი საქმიანობა საჯაროდ გააკრიტიკა პრესაში, ხოლო ამ ფაქტიდან ერთი კვირის შემდეგ კი, მომჩივანმა მედიის საშუალებით დაიცვა საკუთარი თავი. გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ საფუძვლით, რომ მომჩივნის მიერ პრესაში გაკეთებული განცხადებები ზიანს აყენებდა კომპანიის რეპუტაციას. მომჩივანი დავობდა, რომ

[1] კოშკი მეჩეთთან, საიდანაც მუეძინი მორწმუნეებს ლოცვისკენ მოუწოდებს (ავტ. კომ.).

მისი განცხადებების მიზანს მხოლოდ მასზე გავრცელებული ცრუ ბრალდებების უარყოფა წარმოადგენდა, ხოლო დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) იმ საფუძვლით, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა და საბოლოოდ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში კომპანიის რეპუტაციისა და მისი უფლებების დასაცავად. სასამართლომ აღნიშნა, რომ მაშინ როცა, ლოიალურობის, თავშეკავებულობისა და წინდახედულობის ვალდებულება ზოგადად, არ აძლევდა თანამშრომლებს უფლებას საჯაროდ გაეკრიტიკებინათ საკუთარი დამსაქმებლის საქმიანობა, მომჩივნის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, რომ პირველმა მედიას მიმართა კომპანიის სხვა თანამშრომელმა, რომელმაც საჯაროდ გააკრიტიკა მომჩივნის საქმიანობა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რომ მომჩივანი ჩუმად იქნებოდა და არ დაიცავდა თავის რეპუტაციას იმავე საშუალებებით. სხვაგვარად, ეს იქნებოდა მისი ლოიალურობის ვალდებულების გადამეტება.

ჟურნალისტები და საგამომცემლო კომპანიები

ოლაფსონი ისლანდიის წინააღმდეგ

Olafsson v. Iceland

(საჩივარი №58493/13;16/03/2017)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი იყო ინტერნეტმედია ვებგვერდის *„Pressan“*-ის რედაქტორი. მან გამოაქვეყნა სტატიები, სადაც ირიბად აცხადებდა, რომ საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევნების ერთ-ერთმა კანდიდატმა ბავშვებზე სექსუალურად იძალადა. ისლანდიის უზენაესმა სასამართლომ მომჩივანს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა.ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ ცილისწამების საფუძველზე მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით დაირღვა გამოხატვის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ ისლანდიის უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო გონივრული ბალანსის დადგენა, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ზომებსა და სხვათა რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს შორის. სასამართლომ, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მომჩივნის მიმართ ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მომჩივნის ბრალდების სუბიექტი კენჭს იყრიდა არჩევნებში და შესაბამისად, მოსალოდნელი იყო საზოგადოების მხრიდან დაინტერესება. გარდა ამისა, კანდიდატის შესახებ სტატიები გამოქვეყნდა კეთილსინდისიერად, ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით და მას წვლილი შეჰქონდა საჯარო ინტერესის მქონე დებატების დაწყებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებები ცილისმწამებლური ხასიათის იყო, ისინი არა მომჩივანმა, არამედ სხვებმა გააკეთეს. საბოლოოდ, კანდიდატმა გადაწყვიტა არ აღეძრა სარჩელი ამ ბრალდებების ავტორთა წინააღმდეგ; ამ გზით, შესაძლოა მან ხელი შეუშალა მომჩივანს, იმის დამტკიცებაში, რომ მოქმედებდა კეთილსინდისიერად.

მილისავლიევიჩი სერბეთის წინააღმდეგ

Milisavlievic v. Serbia

(საჩივარი №50123/06; 04/04/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ჟურნალისტის საჩივარს საკუთარი მსჯავრდების შესახებ, რომელიც დაეკისრა ადამიანის უფლებათა ცნობილ აქტივისტზე, ნატაშა კანდიჩზე შეურაცხმყოფელი სტატიის დაწერისთვის. სერბეთის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ერთი კონკრეტული წინადადების, კერძოდ, „ქ-ნ კანდიჩს ეწოდა ჯადოქარი და მეძავი" – ბრჭყალებში არჩასმის გამო, მომჩივანმა ირიბად მოიაზრა ეს სიტყვები, როგორც საკუთარი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) და განაცხადა, რომ სერბეთის ხელისუფლების რეაქცია მომჩივნის სტატიაზე იყო არაპროპორციული. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრჭყალების გარეშეც ნათელი იყო, რომ ზემოაღნიშნული სადავო წინადადება, რომელიც სხვა ჟურნალისტს ეკუთვნოდა და მანამდე სხვა ჟურნალშიც გამოქვეყნდა, არ ყოფილა მომჩივნის პირადი აზრი ქ-ნი კანდიჩის შესახებ, არამედ ამით იგი აჩვენებდა თუ როგორ აღიქვამენ ქ-ნ კანდიჩს სხვები. უფრო მეტიც, ეროვნულმა სასამართლოებმა, ბრჭყალების არარსებობასთან დაკავშირებით მწირი მსჯელობით, ვერ შეძლეს დაეცვათ ბალანსი ქ-ნი კანდიჩის რეპუტაციის უფლებასა და მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებას, ასევე მისი როგორც ჟურნალისტის მოვალეობას შორის – გაავრცელოს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაცია.

Medzlis Islamske Zajednice Breko და სხვები ბოსნია ჰერცოგოვინის წინააღმდეგ

Medzlis Islamske Zajednice Breko and Others v. Bosnia and Herzegovin

(საჩივარი №17224/11; 27/06/2017)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში ოთხი ორგანიზაციის წინააღმდეგ ცილისწამების დადგენას იმის გამო, რომ მათ წერილი მისწერეს რაიონის უმაღლეს ხელისუფლებას, სადაც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, Brekoს რაიონის მრავალეთნიკური რადიო და სატელევიზო სადგურის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით კანდიდატის განცხადებაზე. გამოხატვის თავისუფლებაზე დაყრდნობით, მომჩივნები ასაჩივრებდნენ ცილისწამებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ფარგლებში მათთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

დიდმა პალატამ 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ დარღვეულა. სასამართლომ განაცხადა, რომ წერილში არსებული მოცემული განცხადებები შეიცავდა ბრალდებებს, სადაც კანდიდატს აღწერდნენ როგორც ადამიანს, რომელსაც ჰქონდა შეურაცხმყოფელი და უპატივცემულო შეხედულებები და გრძნობები მუსლიმანებისა და ეთნიკური ბოსნიელების მიმართ. ბრალდებათა ბუნება იმდენად სერიოზილი ხასიათის იყო, რომ ეჭვქვეშ აყენებდა კანდიდატის შესაფერისობას, როგორც რადიოსადგურის დირექტორის, ასევე მრავალეთნიკური რადიოსადგურის გასართობი პროგრამების რედაქტორის თანამდებობაზე. ამის მიუხედავად, მომჩივნებმა ეროვნულ სასამართლოებში ვერ დაამტკიცეს თავიანთ განცხადება-

თა ნამდვილობა (რომლებიც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ რომ იყო სიცრუე), მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ გადაემოწმებინათ თავიანთი ბრალდებები, მაშინაც კი, თუ მათ შესახებ ხელისუფლებისთვის ნათელი გახდა კერძო მიმოწერის საშუალებით. შესაბამისად, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივნებმა ბრალდებების მხარდასაჭერად არ წარმოადგინეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივანთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (კანდიდატის რეპუტაციის დაცვა) პროპორციული იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიცვა სამართლიანი ბალანსი მომჩივანთა გამოხატვის თავისუფლებასა და კანდიდატის ინტერესს შორის — დაეცვა საკუთარი რეპუტაცია. შესაბამისად, ხელისუფლება მოქმედებდა თავისუფალი შეფასების ფარგლებში.

ნოვაია გაზეტა და მილაშინა რუსეთის წინააღმდეგ

Novaya Gazeta and Milashina v. Russia

(საჩივარი №45083/06; 03/10/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ცილისწამებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას საგამომცემლო სახლისა და ჟურნალისტის წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც გამოაქვეყნეს 2 სტატია 2000 წელს, რუსული სამხედრო საზღვაო ფლოტის ბირთვული წყალქვეშა ნავის – „კურსკის“, ბარენცის ზღვაში ჩაძირვასა და ამ შემთხვევის გამოძიებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სადავო სტატიებში მოცემული იყო ერთ-ერთი მსხვერპლის ნათესავისა და მისი ადვოკატის განცხადებები იმის შესახებ, რომ გამოძიებაზე (რომელიც საბოლოოდ შეწყდა) პასუხისმგებელმა თანამდებობის პირებმა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). კერძოდ, მან მიიჩნია, რომ გამომცემელსა და ჟურნალისტს პასუხისმგებლობა დააკისრეს მესამე პირთა მოსაზრებების გამოქვეყნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირის მიერ გაკეთებული განცხადებების გავრცელებისთვის ჟურნალისტისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭირო იყო განსაკუთრებით მყარი საფუძვლების არსებობა, ეროვნულმა სასამართლოებმა მსგავსი საფუძვლები ვერ წარმოადგინეს. მათ სრულიად უმნიშვნელოდ მიიჩნიეს იმ გარემოების შეფასება, ჟურნალისტმა სტატიაში გამოხატა საკუთარი თუ მესამე პირის შეხედულებები. საბოლოოდ, როგორც ჩანს ეროვნული სასამართლოების მსჯელობა მოცემულ საქმეზე, ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ მოსარჩელის რეპუტაციის დაცვა გამოხატვის თავისუფლებაზე უპირატესია ნებისმიერ გარემოებაში.

ეკერი თურქეთის წინააღმდეგ

Eker v. Turkey

(საჩივარი №24016/05; 24/10/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა, მომჩივნის – გაზეთის რედაქტორის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი აიძულეს გამოექვეყნებინა საპასუხო წერილი, რომლითაც ხდებოდა საკუთარი სტატიის კორექტირება; მომჩივანი სტატიაში აკრიტიკებდა ადგილობრივ ჟურნალისტთა ასოციაციას, აცხადებდა რა, რომ მათი ქმედებები ეწინააღმდეგე-

ბოდა მთავარ ამოცანას და აღარ ემსახურებოდა საქმიანობის დასაწყისში დასახულ მიზანს. ადგილობრივმა ჟურნალისტთა ასოციაციამ აღნიშნულ კრიტიკას წერილობით უპასუხა. მომჩივანი ასაჩივრებდა მის იძულებას, დაებეჭდა ტექსტი, რომელიც სტატიის გასწორებას ისახავდა მიზნად; მისი აზრით, ეს ზიანს აყენებდა მის რეპუტაციას, ღირსებას და წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). მან განაცხადა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს სამართლიანი ბალანსი მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებასა და ადგილობრივ ჟურნალისტთა ასოციაციის უფლებას შორის – დაეცვათ საკუთარი რეპუტაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულმა საპასუხო სტატიამ არ გადააჭარბა კრიტიკის დაშვებულ ზღვარს და მისი გამოქვეყნების ბრძანება იყო მიზნის პროპორციული – დაიცვას სხვების რეპუტაცია და უფლებები. უფრო მეტიც, მომჩივანი არ იყო ვალდებული შეესწორებინა საკუთარი სტატიის შინაარსი და არაფერი უშლიდა მას ხელს სადავო ფაქტებზე საკუთარი ვერსიის ხელახლა გამოქვეყნებისგან.

ფრისკი და იენსენი დანიის წინააღმდეგ

Frisk and Jensen v. Denmark

(საჩივარი №19657/12; 05/01/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ეროვნულ ტელევიზიაში მომუშავე ორი დანიელი ჟურნალისტის მსჯავრდებას ცილისწამების გამო. მათ მსჯავრი დაედოთ სატელევიზიო გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, რომლის მეშვეობითაც აკრიტიკებდნენ კიბოს მკურნალობას კოპენჰაგენის უნივერსიტეტის საავადმყოფოში. დანიის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მათი გადაცემა მაყურებლებს უდავოდ უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნულ საავადმყოფოში ექიმები პაციენტებს არასათანადოდ მკურნალობდნენ. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული გადაცემა ონკოლოგიური განყოფილების კონსულტანტს ადანაშაულებდა იმაში, რომ ის მისი პროფესიული პრესტიჟისა და პირადი ფინანსების გასაუმჯობესებლად, უპირატესობას ანიჭებდა ქიმიოთერაპიას, რომელიც მხოლოდ სატესტო პროდუქტი იყო; და რომ ამგვარმა პრაქტიკამ გამოიწვია ზოგიერთი პაციენტის გარდაცვალება ან სიცოხლის ხანგრძლივობის შემცირება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (გამოხატვის თავისუფლება) და მიიჩნია, რომ მომჩივანთა მსჯავრდება ცილისწამებისთვის გამართლებული იყო. სასამართლო დაეთანხმა დანიის სასამართლოების გადაწყვეტილებებს და მიიჩნია რომ მათ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და საავადმყოფოს და მისი კონსულტანტის უფლებას შორის – დაეცვათ საკუთარი რეპუტაცია. ევროპული სასამართლო ვერ ხედავს რაიმე საფუძველს, რათა ეჭვქვეშ დააყენოს დანიის სასამართლოების დასკვნა იმის თაობაზე, რომ სადავო სატელევიზიო გადაცემა არასწორ ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობოდა. ის ასევე, დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ არასწორ ბრალდებებს, რომლებიც ეროვნული ტელევიზიის საშუალებით ყველაზე ყურებად დროს გავრცელდა, უარყოფითი შედეგები გამოიწვია, კერძოდ, საავადმყოფოში გამოყენებადი ქიმიოთერაპიის მიმართ საზოგადოების ნდობის დაკარგვა.

პაის პირეს დე ლიმა პორტუგალიის წინააღმდეგ

Pais Pires de Lima v. Portugal

(საჩივარი №70465/12; 12/02/2019)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი, რომელიც ადვოკატია, დავობდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაევალა იმ მოსამართლისთვის ზიანის ანაზღაურება, რომლის პროფესიული და პიროვნული პატივიც შელახა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) და აღნიშნა, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად წარმოდგენილი საფუძვლები შესაბამისი და საკმარისი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს არ ჰქონია მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა და აგრეთვე დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა, მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის – სხვათა უფლებათა დაცვის არაპროპორციული იყო, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

ოტანი საფრანგეთის წინააღმდეგ

Ottan v. France

(საჩივარი №41841/12; 19/04/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა 2009 წლის გამამართლებელ გადაწყვეტილებას ჟანდარმის[2] მიმართ, რომელმაც 2003 წელს მანქანით დევნის დროს მოკლა უცხოური წარმოშობის, მუშათა კლასის დასახლებაში მცხოვრები, ახალგაზრდა მამაკაცი. ვერდიქტის გამოცხადებიდან რამდენიმე წუთში, ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ მომჩივანმა, ადვოკატმა, რომელიც მსხვერპლის მამის წარმომადგენელი იყო, განაცხადა რომ გამამართლებელი ვერდიქტი არ ყოფილა გასაკვირი ნაფიც მსაჯულთა ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, რომელიც „თეთრკანიანებით" იყო დაკომპლექტებული. სააპელაციო სასამართლომ მომჩივანს დააკისრა დისციპლინური სახდელი, კერძოდ, გაფრთხილება და დაადგინა, რომ ადვოკატმა არ შეასრულა გულისხმიერების და ზომიერების პროფესიული ეთიკური ვალდებულებები. მომჩივანი დავობდა, რომ დაკისრებული სახდელი წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების უსაფუძვლო დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკისრებული დისციპლინური სახდელი წარმოადგენდა მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევას, რომელიც კანონით იყო დადგენილი და უზრუნველყოფდა სხვათა უფლებების და რეპუტაციის დაცვას და მხარს უჭერდა სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციასა და მიუკერძოებლობას. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო განცხადებები გაკეთდა სისხლის სამართლის სისტემის ფუნქციონირების თაობაზე დებატების დროს, კერძოდ სისხლისსამართლებრივი საქმის მედია საშუალებებით გაშუქების კონტექსტში. კონტექსტიდან გამომდინარე, სადავო განცხა-

[2] სამხედრო პოლიციელი საფრანგეთში (ავტ. კომ.).

დებები არ წარმოადგენდა შურაცხმყოფელ ან რასობრივად მოტივირებულ ბრალდებას, არამედ გამოხატავდა შეშფოთებას ნაფიცმსაჯულთა შემადგენლობასა და მათ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადვოკატმა გააკეთა ზოგადი განცხადებები სისხლის სამართლის სასამართლოების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის განცხადებებს შესაძლოა გამოეწვია დანაშაულებრივი ქმედება, ისინი წარმოადგენდნენ მხოლოდ შეფასებით მსჯელობას შესაბამისი ფაქტობრივი საფუძვლებით და ამასთანავე ადვოკატის მიერ კლიენტის დაცვის შემადგენელი ნაწილი იყო. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სასჯელი არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში; მიუხედავად იმისა, რომ შეფარდებული სასჯელი ყველაზე მსუბუქ ფორმას წარმოადგენდა, მაინც არაპროპორციული გახლდათ.

ანა იონიტა რუმინეთის წინააღმდეგ

Ana Ionita v. Romania

(საჩივარი №30655/09; 21/03/2017)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი იყო ნოტარიუსი, რომელსაც სხვადასხვა დისციპლინური სანქცია დაეკისრა სხვებს შორის, იმის გამო, რომ ტელევიზიით გააკრიტიკა რუმინეთის ნოტარიუსთა კავშირისა და ბაკაუს ნოტარიუსთა პალატა (რომლის წევრი თვითონაც იყო). მომჩივანი დავობდა, რომ ზემოაღნიშნულით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ მიიჩნია, რომ რუმინეთის სასამართლოებმა, ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, დაიცვეს ბალანსი შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. ევროპულმა სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მომჩივანმა გადააჭარბა კრიტიკის დაშვებულ ზღვარს, ხოლო ეროვნული ხელისუფლება სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა თავისუფალი შეფასების ფარგლებში.

კონვენციის მე-8 მუხლი
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

იურისტები

იანკაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ (№2) და ლეკავიჩიენე ლიეტუვას წინააღმდეგ

Jankauskas v. Lithuania (no. 2) and Lekaviciene v. Lithuania

(საჩივარი №50446/09 და 48427/09; 27/06/2017)

წინამდებარე საქმეები ეხებოდა ლიეტუვას ადვოკატთა ასოციაციის უარს, რომ მომჩივნები ჩაერიცხათ ადვოკატთა სიაში. პირველ საქმეში მომჩივანი ამორიცხეს სტაჟიორ-ადვოკატთა სიიდან მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მან განცხადებაში არ მიუთითა ნასამართლობის შესახებ. მეორე საქმეში, მომჩივანს უარი ეთქვა პრაქტიკოს ადვოკატთა სიაში ხელახლა შეყვანაზე იმ საფუძვლით, რომ იგი ადრე მსჯავრდებული იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამართლებრივი დახმარების სისტემის გაყალბებისთვის. ორივე მომჩივანი დავობდა, რომ საადვოკატო საქმიანობის აკრძალვით დაირღვა მათი პირადი ცხოვრების უფლება.

ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ მომჩივნის ადვოკატთა სიიდან ამორიცხვა განიხილა, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა, რადგან იგი გავლენას ახდენდა მათ პროფესიულ რეპუტაციასა და ურთიერთობებზე. თუმცა, ეროვნული სასამართლოების დასკვნები – რომ მომჩივნები არ აკმაყოფილებდნენ მაღალ მორალურ სტანდარტებს – იყო ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი და არ იყო დაუსაბუთებელი არსებული გარემოებების გათვალისწინებით. შესაბამისად, მომჩივნების პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა გამართლებული იყო იმ მიზნით, რომ დაეცვათ სხვათა უფლებები, მართლმსაჯულების სისტემის ჯეროვანი და შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მეშვეობით.

მასწავლებლები და უნივერსიტეტის ლექტორები

ვისენტ დელ კამპო ესპანეთის წინააღმდეგ

Vicent Del Campo v. Spain

(საჩივარი №25527/13; 06/11/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მომჩივანი ავიწროვებდა კოლეგას; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში მოპასუხე მხარე მომჩივნის დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანო იყო. მომჩივანი დავობდა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა მისი ბრალეულობა შევიწროებისთვის იმ სამართალწარმოების ფარგლებში, რომლის მხარეც თავად არ იყო. აღნიშნულმა გამოიწვია მისი ღირსებისა და რეპუტაციის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) და განაცხადა, რომ მთლიანობაში, მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში ჩარევა იყო გაუმართლებელი. სასამართლომ აღნიშ-

ნა, რომ არ არსებობდა იმის საფუძველი, რომ მომჩივანი მოეხსენიებინათ გადაწყვეტილებაში; აღნიშნულის შედეგად კი მოხდა მისი სტიგმატიზება იმ სამართალწარმოებაში, რომლის მონაწილეც თავად არ იყო. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მომჩივანმა ადგილობრივი პრესის მეშვეობით შეიტყო და არ ჰქონია შესაძლებლობა, მოეთხოვა, რომ მისი სახელი არ ყოფილიყო დასახელებული უზენაესი სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებაში.

საჯარო და პოლიტიკური მოღვაწეები

რუბიო დოსამანტესი ესპანეთის წინააღმდეგ

Rubio Dosamantes v. Spain

(საჩივარი №20996/10; 21/02/2017)

მომჩივანი, მექსიკელი პოპმომღერალი, რომელიც ესპანეთში ცნობილია პაულინა რუბიოს სახელით, დავობდა მისი პირადი ცხოვრების შესახებ სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემაში გაკეთებული განცხადებების თაობაზე. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული განცხადებებით ზიანი მიადგა მის რეპუტაციას და პირადი ცხოვრების უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) და აღნიშნა, რომ სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, განსხვავებული ინტერესების შეფასებისას, მათ არ შეასრულეს პოზიტიური ვალდებულება – დაეცვათ მომჩივნის პირადი ცხოვრება. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის, როგორც მომღერლის, ცნობადობა არ გულისხმობს, რომ მისი საქმიანობა ან ქმედება პირადი ცხოვრების ფარგლებში უნდა ჩაითვალოს საჯარო ინტერესის სფეროდ. ის ფაქტი, რომ მედიის ყურადღებისგან მას შეეძლო სარგებლის მიღება, სატელევიზიო არხებს არ აძლევს უფლებას, გააშუქონ გადაუმოწმებელი განცხადებები მისი პირადი ცხოვრების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების კონტექსტში გარკვეული შემთხვევები დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტებს უნდა გამოეჩინათ წინდახედულობა და სიფრთხილე ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე საუბრისას. აქედან გამომდინარე, გადაუმოწმებელი ჭორებისა და შემთხვევითი კომენტარების შეუზღუდავი გავრცელება, პირის ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერ შესაძლო ასპექტზე, არ შეიძლება უვნებლად იქნას მიჩნეული. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას უნდა შეეფასებინა სადავო სატელევიზიო პროგრამები, რათა ერთმანეთისგან განესხვავებინა და ბალანსი დაედგინა მომჩივნის პირადი ცხოვრების ინტიმურ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო ლეგიტიმური საჯარო ინტერესის საგანი.

ეგილ ეინარსონი ისლანდიის წინააღმდეგ

Egill Einarsson v. Iceland

(საჩივარი №24703/15; 07/11/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ცნობილი ბლოგერის საჩივარს უზენაესი სასამართლოს გა-

დაწყვეტილების თაობაზე, რომლის მიხედვითაც მის შესახებ ინსტაგრამ პოსტზე გამოყენებული უცენზურო სიტყვები („Fuck you rapist bastard“) არ იყო ცილისმწამებლური ხასიათის. სულ ცოტა ხნით ადრე, პროკურორებმა მომჩივნის წინააღმდეგ გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის დანაშაულის ბრალდებებზე უარი თქვეს. მომჩივანი დავობდა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავდა იმას, რომ მისთვის შეიძლებოდა მოძალადე ეწოდებინათ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ქმედების გამო არც ბრალი ჰქონდა წაყენებული და არც მსჯავრი დადებული; ამასთანავე, მას არ ეძლეოდა თავის დაცვის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) და აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასა (მე-8 მუხლი) და იმ პირის გამოხატვის თავისუფლებას (მე-10 მუხლი) შორის, რომელმაც გამოაქვეყნა სადავო განცხადება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ კომენტარები, კერძოდ კი, სიტყვა „rapist“ (მოძალადე), გამოქვეყნდა, პროკურატურის მიერ მომჩივნის წინააღმდეგ სექსუალური დანაშაულების გამო საქმის წარმოების შეწყვეტიდან, მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ წარმოადგინეს საკმარისი განმარტებები თუ რატომ მიიჩნიეს, რომ წინამდებარე საქმის კონტექსტში სიტყვა „მოძალადე“ წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ საჯარო პირებსაც კი, რომლებიც მონაწილეობენ მწვავე დებატებში, არ უნდა მოეთხოვოთ, მათი მისამართით გაკეთებული ბრალდებების მოთმენა ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, როდესაც მსგავსი განცხადებები არ არის გამყარებული შესაბამისი ფაქტებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

კონვენციის მე-8 მუხლი
(პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება)

ცვლილებები მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით

A.-M.V. ფინეთის წინააღმდეგ

A.-M.V. v. Finland

(საჩივარი №53251/13; 13/03/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა გონებრივად შეზღუდული პირის საჩივარს, რომლის მეშვეობით ის ასაჩივრებდა ფინეთის სასამართლოების უარს, შეეცვალათ სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული მხარდამჭერი. ზემოაღნიშნული უარი ნიშნავდა იმას, რომ მომჩივანს შეუზღუდეს საცხოვრებელი ადგილისა და აგრეთვე იმის არჩევანის უფლება, თუ ვისთან ერთად სურდა ცხოვრება. სასამართლოს მიერ დანიშნულმა მხარდამჭერმა გადაწყვიტა, რომ მომჩივნის საუკეთესო ინტერესს არ წარმოადგენდა მშობლიური ქალაქიდან (რომელიც მდებარეობდა ფინეთის სამხრეთში) გადასვლა შორეულ ჩრდილოეთში, ქალაქიდან დაშორებულ სოფელში, სადაც მის ყოფილი მიმღებ მშობლებთან ერთად იცხოვრებდა. სამართალწარმოების ფარგლებში მისი მოთხოვნა მხარდამჭერის შეცვლასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა). სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინეთის სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უარი განაცხადეს მომჩივნის მხარდამჭერის შეცვლაზე, რომელიც მას საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესაძლებლობას არ აძლევდა, გამართლებული იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინეთის სასამართლოების ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო კონკრეტული და დასაბუთებული მსჯელობის შედეგად, რომელიც არსებითად ითვალისწინებდა მომჩივნის უუნარობას, გაეაზრებინა თუ რა რისკები არსებობდა სოფელში გადასვლის შემთხვევაში, კერძოდ, რომ ამით ძირეულად შეიცვლებოდა მისი საცხოვრებელი პირობები. ამგვარი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა მომჩივნის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას, არ იყო არაპროპორციული. გარდა ამისა, მომჩივანი ჩართული იყო სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და მისი უფლებები და ნება გათვალისწინებული იყო კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ეროვნული სასამართლოების მიერ. სასამართლომ ასევე დაადგინა რომ წინამდებარე საქმეში არ დარღვეულა მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება).

მშობლის უფლებამოსილების, ბავშვის განთავსების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლების შვილებთან ხელმისაწვდომობის უფლებების ჩამორთმევა

კასპერ ნოვაკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ

Kacper Nowakowski v. Poland

(საჩივარი №32407/13; 10/01/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ყრუ-მუნჯი მამის უფლებას, ურთიერთობა ჰქონოდა შვილ-

თან, რომელსაც ასევე აღენიშნებოდა სმენის დაქვეითება. მომჩივანი დავობდა, რომ მას უარი ეთქვა შვილთან ურთიერთობის გაღრმავების მოთხოვნაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა დაადგინა და განაცხადა, რომ მართალია, მშობლების დაძაბულმა ურთიერთობამ პოლონეთის სასამართლოებს საქმის განხილვა გაურთულა, თუმცა მათ მაინც უნდა მიეღოთ შესაბამისი ზომები მხარეთა მორიგებისათვის, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიეს ის შესაძლებლობები, რომელსაც ითვალისწინებდა ეროვნული კანონმდებლობა მომჩივნისა და მისი შვილის ურთიერთობის გაღრმავების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, სასამართლოებმა არ მიიღეს მომჩივნის შეზღუდულ შესაძლებლობებთან ადაპტირებული ზომები, როგორიცაა ექსპერტული დასკვნის მოპოვება იმ სპეციალისტებისაგან, რომელთათვისაც ცნობილია სმენადაქვეითებულ პირთა პრობლემები. მართლაც, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოებს არსებული პრობლემის დაძლევის შესაძლო საშუალებებზე ემსჯელათ, ისინი გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნენ ექსპერტის დასკვნებს, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო მამასა და შვილს შორის ურთიერთობაში არსებულ დაბრკოლებაზე.

კონვეციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება)

ენვერ შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ

Enver Sahin v. Turkey

(საჩივარი №23065/12; 30/01/2018)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი, რომელსაც ქვედა კიდურები მოწყვეტილი აქვს, ვერ ახერხებდა უნივერსიტეტის შენობაში სწავლის მიზნით შესვლას, რადგან არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მომჩივანი დავობდა, რომ იძულებული იყო უარი ეთქვა სწავლაზე, ვინაიდან მის მოთხოვნას შენობის ადაპტირების თაობაზე, უარი ეთქვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთობლიობაში. სასამართლომ განაცხადა, თურქეთის მთავრობამ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ, კერძოდ, უნივერსიტეტმა და სასამართლო ხელისუფლებამ საჭირო გულმოდგინება გამოიჩინეს, რათა მომჩივნისთვის სხვა სტუდენტების თანასწორად განათლების უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ რექტორის აპარატის წინადადება – მომჩივნისთვის გამოეყოთ პირი, რომელიც მას დახმარებას გაუწევდა, მიღებულ იქნა მომჩივნის რეალური საჭიროებებისა და აგრეთვე, მის უსაფრთხოებაზე, ღირსებასა და დამოუკიდებლობაზე ამ ღონისძიების გავლენის შეუფასებლად. უფრო მეტიც, ეროვნულ სასამართლოებს არ დაუდგენიათ, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი მომჩივნის საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ზოგადად, საზოგადოების ინტერესებს შორის. მათ ასევე, არ უმსჯელიათ სხვა შესაძლო ვარიანტებზე, რომლებიც საშუალებას მისცემდა მომჩივანს გაეგრძელებინა სწავლა იმ პირობებში, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებულია სხვა სტუდენტებისთვის არსებულ პირობებთან და ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ დააკისრებდა არასათანადო და არაპროპორციულ ტვირთს.

სიძულვილის ენა

ტერორიზმის გამართლება

სტომახინი რუსეთის წინააღმდეგ

Stomakhin v. Russia

(საჩივარი №52273/07; 08/10/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის მსჯავრდებას და ხუთი წლის ვადით მისთვის თავისუფლების აღკვეთას, ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე გაზეთში სტატიების გამოქვეყნების გამო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა განაცხადეს, რომ მომჩივანი ამართლებდა ტერორიზმსა და ძალადობას და ასევე, აღძრავდა შუღლს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ასაჩივრებდა მსჯავრდებას, რომელიც ეფუძნებოდა მის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებში გამოთქმულ შეხედულებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი საგაზეთო სტატია გასცდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და გაუტოლდა ძალადობის მოწოდებასა და ტერორიზმის გამართლებას. თუმცა, ზოგიერთი განცხადება ჯდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში. საერთო ჯამში, არ არსებობდა თავისუფლების აღკვეთის გზით მომჩივნის უფლებაში ჩარევის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და, შესაბამისად, სანქციის სიმკაცრემ დაარღვია მისი უფლება. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა გამოიჩინონ სიფრთხილე, როდესაც განსაზღვრავენ სიძულვილის ენასთან დაკავშირებული დანაშაულის ფარგლებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოუწოდა სახელმწიფოებს კანონმდებლობის ნათლად ჩამოყალიბებისკენ, რათა თავიდან იქნას აცილებული გამოხატვის თავისუფლებაში გადაჭარბებული ჩარევა სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედების მოტივით, როდესაც განსახილველი საკითხი რეალურად ეხება ხელისუფლების ან მათი პოლიტიკის კრიტიკას.

ექსტრემიზმი

იბრაგიმ იბრაგიმოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

Ibragim Ibragimov and Others v. Russia

(საჩივარი №1413/08 და №№28621/11; 28/08/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა რუსეთში არსებულ ანტიექსტრემისტულ კანონმდებლობას და ისლამური წიგნების გამოქვეყნებისა და გავრცელების აკრძალვას. მომჩივნები დავობდნენ, რომ რუსეთის სასამართლოების მიერ 2007 და 2010 წლებში საიდ ნურსის (ცნობილი თურქი მუსლიმი თეოლოგი და ყურანის განმმარტებელი) წიგნები ექსტრემისტულად გამოცხადდა და აიკრძალა მათი გამოქვეყნება და გავრცელება. მომჩივნებმა გამოაქვეყნეს ნურსის ზოგიერთი წიგნი და აგრეთვე, საგამომცემლო სახლს დაავალეს მათი შემდგომი გამოქვეყნება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენცი-

ის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ რუსეთის სასამართლოებმა ვერ დაასაბუთეს ზემოაღნიშნული აკრძალვის აუცილებლობა. ეროვნული სასამართლოები მხოლოდ ლინგვისტებისა და ფსიქოლოგებისგან ზოგად დასკვნებს დაეყრდნენ და არ გაუკეთებიათ საკუთარი ანალიზი მოცემულ კონტექსტში წიგნების შინაარსის ან მათში არსებული გამოთქმების გარკვეული ნაწილის პრობლემატურობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ეროვნულმა სასამართლოებმა გამარტივებული წესით დაუშვებლად ცნეს მომჩივნის ყველა ის მტკიცებულება, სადაც განმარტებული იყო, რომ ნურსის წიგნები თანამედროვე ისლამს მიეკუთვნებოდა.

საბოლოოდ, მომჩივანთა საქმეზე ეროვნული სასამართლოების დასკვნები არ ცხადყოფდა, რომ ნურსის წიგნები, რომლებიც აკრძალვამდე შვიდი წლის განმავლობაში ქვეყნდებოდა, გამოიწვევდა რელიგიებს შორის დაძაბულობას, მით უფრო ძალადობას, ან მსგავსი დაძაბულობის წარმოქმნის საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთში ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ფართოდ ხელმისაწვდომი იყო.

სახელმწიფო თანამდებობის პირთა შეურაცხყოფა

სტერნ ტაულატსი და როურა კაპელერა ესპანეთის წინააღმდეგ

Stern Taulats and Roura Capellera v. Spain

(საჩივარი №51168/15; 13/03/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ესპანეთის ორი მოქალაქის მსჯავრდებას 2007 წელს, ჟირონაში მეფის ოფიციალური ვიზიტის დროს სახალხო დემონსტრაციის მიმდინარეობისას, სამეფო წყვილის ფოტოს დაწვისთვის. მომჩივნები დავობდნენ, რომ გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც ისინი დამნაშავედ ცნეს სამეფო ტახტის შეურაცხყოფისთვის, წარმოადგენდა გაუმართლებელ ჩარევას მათი გამოხატვის თავისუფლებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნების მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენდა ზოგადად, მონარქის ინსტიტუტის, კერძოდ, ესპანეთის სამეფოს, როგორც სახელმწიფოს, კრიტიკას და არა პერსონალურ თავდასხმას მეფეზე. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა პროვოკაციულ „შემთხვევას“, რომელიც უფრო მეტად „დადგმული იყო“ მედიის ყურადღების მისაპყრობად, რათა საზოგადოებისთვის გადაეცა კრიტიკული გზავნილი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და რომელიც არ გასცდა პროვოკაციის დასაშვებ ზღვარს. გარდა ამისა, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ სადავო ქმედება შესაძლოა გონივრულად იქნეს აღქმული როგორც სიძულვილის ან ძალადობის წაქეზება. წინამდებარე საქმეში, ქმედების განხორციელებისთვის გამოყენებული „ინსტრუმენტები“ ან მისი განხორციელების კონტექსტი, ვერ იქნება მიჩნეული როგორც ძალადობის წაქეზება მომჩივნების მხრიდან; ეს უკანასკნელი, არც იმ ქმედების შედეგების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომელსაც არ მოჰყოლია ძალადობრივი ქმედებები და უწესრიგობა. უფრო მეტიც, ფაქტები არ გვაძლევს სიძულვილის ენის შემადგენლობას. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებისთვის შეფარდებული სასჯელი არ იყო პროპორციული ლეგიტიმური მიზნის (სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვა) მისაღწევად და არც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სიძულვილის ენა და ინტერნეტი

სავა ტერენტიევი რუსეთის წინააღმდეგ

Savva Terentyev v. Russia

(საჩივარი №10692/09; 28/08/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის მსჯავრდებას სიძულვილის წაქეზებისთვის, მას შემდეგ, რაც მან ინტერნეტბლოგში გამოქვეყნებულ პოსტზე დატოვა კომენტარი, რომლითაც პოლიციის ოფიცრებს შეურაცხყოფას აყენებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა. სასამართლომ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის სიტყვები იყო შეურაცმყოფელი და შემაძრწუნებელი, მხოლოდ ეს არ კმარა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად. ეროვნულ სასამართლოებს ყველა მხრივ უნდა შეესწავლათ მომჩივნის კომენტარების კონტექსტი, რომელიც უფრო მეტად წარმოადგენდა ბრაზის გამოხატვის პროვოკაციულ მცდელობას, ვიდრე პოლიციის წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის მოწოდებას.

პასტორსი გერმანიის წინააღმდეგ

Pastors v. Germany

(საჩივარი №55225/14; 03/10/2019)[3]

წინამდებარე საქმე ეხებოდა დეპუტატის მსჯავრდებას, რეგიონულ პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს, ჰოლოკოსტის უარყოფის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 10-ე მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) საფუძველზე მომჩივნის მიერ წარდგენილი საჩივარი დაუშვებლად ცნო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა განზრახ გააჟღერა არასწორი ინფორმაცია ებრაელთა შეურაცხყოფის მიზნით. ამგვარი განცხადებები ვერ მოექცევა კონვენციით უზრუნველყოფილი გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან თავად კონვენციის ღირებულებებს. ამრიგად, წინამდებარე საქმეში გერმანიის სასამართლოების მიერ მომჩივნისთვის მსჯავრის დადება მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყო და ამდენად „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

უვადო პატიმრობა

ჰატჩინსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

Hutchinson v. the United Kingdom

(საჩივარი №57592/08; 17/01/2017)

დიდი პალატა

1984 წელს, მომჩივანს მსჯავრი დაედო ძარცვისთვის, რომელიც ჩაიდინა დამამძიმებელ

[3] წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში (საბოლოო გადაწყვეტილებები) აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

გარემოებებში, ასევე გაუპატიურებისა და სამი მკვლელობისთვის. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მას შეეფარდა უვადო პატიმრობა.

1994 წელს, სახელმწიფო მდივანმა გადაწყვიტა მომჩივნისთვის უვადო პატიმრობა დაეკისრებინა და ამის შესახებ აცნობა მას. 2008 წლის მაისში, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმის გათვალისწინებით, არ არსებობდა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საფუძველი. 2008 წლის ოქტომბერში, მომჩივნის სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ უვადო პატიმრობის შესახებ განაჩენი წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რადგან მას არ ჰქონდა გათავისუფლების იმედი.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენცია არ კრძალავდა უვადო პატიმრობის შეფარდებას იმ პირებისთვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ისეთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის როგორიცაა მკვლელობა. თუმცა, იმისათვის რომ შეფარდებული სასჯელი შეესაბამებოდეს კონვენციას, უნდა არსებობდეს მსჯავრდებულის გათავისუფლების და სასჯელის გადახედვის შესაძლებლობა. წინამდებარე საქმეში, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ დიდი ბრიტანეთის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ეროვნული კანონდებლობის ნაკლი უვადო პატიმრობის გადახედვასთან დაკავშირებით. 2003 წლის 9 ივლისის საქმეზე *ვინტერი და სხვები,* დადგენილი შეუსაბამობა, არსებულ კანონსა და გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკას შორის, გადაწყდა ინგლისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც ადასტურებდა იუსტიციის მინისტრის კანონით დადგენილ ვალდებულებას – გაეთავისუფლებინა უვადო პატიმრობაში მყოფი პირები იმისათვის, რომ აღნიშნული სასჯელი შეესაბამებოდა კონვენციით დადგენილ დებულებებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა სახელმწიფო მინისტრის გადაწყვეტილების ფარგლები და საფუძვლები, მისი განხორციელების წესი და ასევე მისი ვალდებულება, გაათავისუფლოს უვადო პატიმრობაში მყოფი პირი, როდესაც მისი პატიმრობა აღარ არის კანონიერი. დიდმა პალატამ ასევე ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა აქტის (დიდი ბრიტანეთი, 1998წ.) მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ეროვნული სისტემის ნებისმიერი კრიტიკა, უვადო პატიმრობის გადახედვასთან დაკავშირებით, უპირისპირდებოდა ადამიანის უფლებათა აქტს, რომლის მიხედვითაც არსებობს მსჯავრდებულთა გათავისუფლების და შესაბამისი კანონდებლობის განმარტების შესაძლებლობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კონვენციას. დიდმა პალატამ დაადგინა, რომ გაერთიანებულ სამეფოში უვადო პატიმრობა გადახედვის შესაძლებლობის გარეშე, შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლს.

მატიოსაიტისი და სხვები ლიეტუვას წინააღმდეგ

Matiosaitis and Others v. Lithuania

(საჩივრები №22662/13, №51059/13, №58823/13, №59692/13, №59700/13, №60115/13, №69425/13 და №72824/13; 23/05/2017)

მომჩივნები, რომლებსაც მიესაჯათ უვადო პატიმრობა, ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონიათ სასჯელის შემსუბუქების სამომავლო შესაძლებლობა, შესაბამისად, მათ თავისუფლება აღეკვეთათ გათავისუფლების პერსპექტივის გარეშე. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული სასჯელით ირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ექვს მომჩივანთან მიმართებით. სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნული განაჩენი არ ითვალისწინებდა მომჩივნის უვადო პატიმრობის შემცირების შესაძლებლობას, კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის. რაც შეეხება დანარჩენ ორ მომჩივანს, სასამართლომ გადაწყვიტა მათი საჩივრების ამორიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან კონვენციის 37-ე მუხლის საფუძველზე, რადგან არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ისინი მიზნად არ ისახავდნენ დავის გაგრძელებას.

პეტუხოვი უკრაინის წინააღმდეგ (№2)

Petukhov v. Ukraine (№2)

(საჩივარი №41216/13; 12/03/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა პატიმრის საჩივარს იმის შესახებ, რომ უკრაინის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა უვადო პატიმრობაში მყოფ პირთა ვადამდე გათავისუფლებას. მომჩივანი, რომელიც უვადო პატიმრობაში 2004 წლიდან იმყოფებოდა, ამტკიცებდა, რომ მისი გათავისუფლების ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენდა პრეზიდენტის შეწყალება. ევროპული სასამართლოს წინაშე იგი დავობდა, რომ ზემოაღნიშნული პროცედურა ბუნდოვანი იყო და უვადო პატიმრობაში მყოფი პირებისთვის არ იყო ნათელი თუ რა საშუალებებისთვის უნდა მიემართათ და რა პირობების არსებობა იყო საჭირო იმისათვის, რომ განხილულიყო მათი გათავისუფლების საკითხი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან მომჩივანს არ ჰქონია გათავისუფლების ან მისი საქმის გადახედვის სამომავლო შესაძლებლობა. კერძოდ, პრეზიდენტის შეწყალება, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ პროცედურას უვადო პატიმრობის შემცირებისათვის უკრაინაში, არ იყო ცხადად ფორმულირებული და დაცული სათანადო პროცედურული გარანტიებით, მისი ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, უკრაინაში უვადო პატიმრობაში მყოფ პირთა დაკავების პირობების გათვალისწინებით შეუძლებელი იყო მათი რეაბილიტაციის პროცესის განვითარება და ასევე, ხელისუფლების მხრიდან სასჯელის გადახედვა. უფრო მეტიც, პრობლემის სისტემური ხასიათის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) შესაბამისად დაადგინა, რომ უკრაინამ უნდა გარდაქმნას უვადო პატიმრობაში მყოფ პირთა საქმის გადახედვის სისტემა, კერძოდ, თითოეულ საქმეში გამოკვლეული უნდა იქნეს, იყო თუ არა აღნიშნული პატიმრობა გამართლებული; ასევე თავისუფლებააღკვეთილი პირები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა საშუალებებს მიმართონ და რა პირობების არსებობაა საჭირო მათი გათავისუფლებისათვის.

სპორტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი)

ჰენტსჩელი და სტარკი გერმანიის წინააღმდეგ

Hentschel and Stark v. Germany

(საჩივარი №47274/15; 09/11/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა, ევროპული სასამართლოს წინაშე არსებულ ფეხბურთის ორი გულშემატკივრის საჩივარს, რომლებიც დავობდნენ თამაშის შემდეგ პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობასა და ასევე, გამოძიების არაადეკვატურობასთან დაკავშირებით.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა პოლიციის მიერ მომჩივნების მოპყრობასთან დაკავშირებით, რადგან სასამართლომ ვერ შეძლო გონივრულ ეჭვს მიღმა იმის დადგენა, რომ პოლიციის ქმედება შეესაბამებოდა მომჩივანთა აღწერას. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მომჩივანთა ბრალდებებზე არაადეკვატურ გამოძიებასთან მიმართებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა, რომ სპეცრაზმელთა შემადგენლობაში მყოფ ჩაფხუტიან პოლიციელებს არ ჰქონიათ გამაფრთხილებელი წარწერა ან რაიმე სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, გარდა ჩაფხუტებზე დატანილი საინდეტიფიკაციო ნომრებისა. შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ბრალდებულ პირთა დასადგენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სხვა ზომების მიღება. თუმცა, გართულებები, რომლებიც მაიდენტიფიცირებელი ნიშნების არასაკმარისობამ გამოიწვია, არ იქნა საკმარისად დაბალანსებული სხვა საგამოძიებო მოქმედებებით. აღსანიშნავია, რომ სპეცრაზმელების მიერ გადაღებული ვიდეომასალის მხოლოდ ნაწყვეტები იქნა მიწოდებული საგამოძიებო განყოფილებისათვის და ასევე, არ მომხდარა ზოგიერთი პოტენციურად რელევანტური მოწმის იდენტიფიცირება და დაკითხვა.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (კონვენციის მე-5 მუხლი)

ს., ვ. და ა. დანიის წინააღმდეგ

S., V. and A. v. Denmark

(საჩივარი №35553/12, 36678/12 და 36711/12; 22/10/2018)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა, 2009 წლის ოქტომბერს, კოპენჰაგენში მომჩივანთა დაკავებას 7 საათით, დანიასა და შვედეთს შორის გამართული ფეხბურთის მატჩის დროს. ხელისუფლებამ მომჩივნები დააკავა ხულიგნობის თავიდან აცილების მიზნით. მომჩივნები უშედეგოდ ცდილობდნენ კომპენსაციის მიღებას დანიის სასამართლოებში. ევროპული სასამართლოს წინაშე ისინი დავობდნენ, რომ მათი დაკავება იყო არაკანონიერი, ვინაიდან დაირღვა ეროვნული კანონდებლობით დადგენილი დაკავების დროის ფარგლები.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა. სასამართლომ განაცხადა,

რომ დანიის ეროვნულმა სასამართლოებმა მოახერხეს სამართლიანი ბალანსის დაცვა, მომჩივნების უფლებასა და ხულიგნობის პრევენციის მნიშვნელობას შორის. სასამართლომ სრულფასოვნად შეისწავლა აღნიშნულ დღეს პოლიციის სტრატეგია საფრთხის აღმოსაფხვრელად და დაადგინა, რომ პოლიციამ გაითვალისწინა პრევენციული დაკავების მიზნით, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი დაკავების 6-საათიანი ვადა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უმნიშვნელოდ გადააცილეს; პოლიციას ჰქონდა აქტიური დიალოგი გულშემატკივრებთან, ვიდრე მიიღებდნენ უფრო მკვეთრ ზომებს, როგორიცაა დაკავება; პოლიცია მიზნად ისახავდა მხოლოდ იმ პირთა დაკავებას, რომლებიც წარმოადგენდნენ საფრთხეს საჯარო უსაფრთხოებისათვის, როგორც მომჩივანთა შემთხვევაში; და ასევე, პოლიცია აკონტროლებდა, რომ სიტუაციის დამშვიდებისთანავე გაეთავისუფლებინათ მომჩივნები.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც აზუსტებდნენ დანაშაულის დროს, ადგილს, დაზარალებულებს და რომ არა დაკავება – მომჩივნები დიდი ალბათობით გახდებოდნენ ხულიგნობის ფაქტის მონაწილენი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანთა დაკავება დასაშვები იყო კონვენციიდან გამომდინარე, აღნიშნულ დასკვნაში სასამართლომ გამოიყენა მოქნილი მიდგომა, იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციის მიერ მოკლევადიანი დაკავება საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით იყო გამართლებული. კერძოდ, სასამართლომ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით განმარტა კონვენციის მე-5 მუხლი 1-ელი (c) პარაგრაფი და დაადგინა, რომ აღნიშნული დებულების მეორე ნაწილი, კერძოდ, „როდესაც გონივრულობის ფარგლებში მიჩნეულია სამართალდარღვევის ჩადენის თავიდან აცილების აუცილებლობა“ – შეიძლება განიხილებოდეს როგორც თავისუფლების აღკვეთის აშკარა საფუძველი, სისხლის სამართლის საქმისწარმოების კონტექსტს მიღმა.

სამართლიანი სასამართლოს უფლება
(კონვენციის მე-6 მუხლი)

მუტუ და პეჩსტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ

Mutu and Pechstein v. Switzerland

(საჩივრები №40575/10 და №67474/10, 02/10/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა პროფესიონალი ათლეტების მიერ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში დაწყებული საქმისწარმოების კანონიერებას. მომჩივნები, პროფესიონალი ფეხბურთელი და პროფესიონალი მოციგურავე, ევროპული სასამართლოს წინაშე აცხადებდნენ, რომ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო. მეორე მომჩივანი, ასევე დავობდა, რომ მას არ მიეცა საკუთარ საქმეზე საჯარო განხილვის შესაძლებლობა, არც მოციგურავეთა საერთაშორისო დისციპლინური კომიტეტის წინაშე, არც სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე და ასევე არც შვედეთის უზენაეს სასამართლოში, მიუხედავად მისი დაჟინებული მოთხოვნებისა.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს სავარაუდო დამოუკიდებლობის არარსებობასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო საქმისწარმოების დროს, სადაც მომჩივნები წარ-

მოადგენდნენ მხარეებს, აუცილებელი იყო მათი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვა. ასევე დაადგინა, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს მეორე მომჩივნის განცხადებები სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ და პირველი მომჩივნის განცხადებები ზოგიერთი არბიტრის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა მეორე მომჩივანთან მიმართებით, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე საჯარო მოსმენის არარსებობასთან დაკავშირებით. კერძოდ, განაცხადა, რომ კითხვები, რომლებიც ეხებოდა არსებულ გარემოებებს დოპინგის მიღების საფუძველზე მის მსჯავრდებასთან დაკავშირებით და რომლებიც განხილული იქნა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე, საჭიროებდა საქმის საჯარო განხილვას.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი)

სპორტული კავშირების ეროვნული ფედერაცია და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ

Federation Nationale des Syndicats Sportifs (FNASS) and Others v. France

(საჩივრები №48151/11 და №77769/13; 18/01/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სპორტსმენთა გარკვეული ჯგუფისადმი მოთხოვნას, რომ ეცნობებინათ თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ, დაუგეგმავი ანტიდოპინგ ტესტის ჩატარების მიზნით. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ მექანიზმი, რომელიც მათგან პერიოდულად ითხოვდა ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ყოველდღიურად ერთსაათიანი თავისუფალი ინტერვალის მითითებას თუ როდის შეძლებდნენ ტესტირების ჩატარებას, წარმოადგენდა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა 17 მომჩივნის ინდივიდუალურ საჩივართან დაკავშირებით; განაცხადა, რომ საფრანგეთმა შეძლო სამართლიანი ბალანსის დაცვა სხვადასხვა ინტერესებს შორის. მომჩივნების ადგილსამყოფელის დაფიქსირების მოთხოვნა წარმოადგენდა იმ აუცილებლობას, რომელიც საჭირო იყო საჯარო ინტერესის დასაცავად, რაც ამართლებს კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული ვალდებულებების შემცირების ან გაუქმების შემთხვევაში, არებობდა საშიშროება, რომ სპორტსმენებს შორის გაიზრდებოდა დოპინგის მიღების საშიშროება. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება დოპინგის კონტროლისათვის დაუგეგმავი ტესტირებების ჩატარების შესახებ ევროპულ და საერთაშორისო შეთანხმებებს.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (კონვენციის მე-9 მუხლი)

ოსმანოღლუ და კოცაბაში შვეიცარიის წინააღმდეგ

Osmanoglu and Kocabas v. Switzerland

(საჩივარი №29086/12; 10/01/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მუსლიმანი მშობლების უარს სქესობრივი მომწიფების ასაკს

მიუღწეველი ქალიშვილები გაეშვათ სავალდებულო სასკოლო საცურაო გაკვეთილებზე, რომელშიც ირიცხებოდნენ როგორც გოგონები ასევე ბიჭები. მოცემული საქმე ასევე ეხებოდა ხელისუფლების უარს, რომ დაეშვათ გამონაკლისი ამ გოგონებთან მიმართებით.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) დარღვევა და დაადგინა, რომ როდესაც შვეიცარიის სახელმწიფომ უპირატესად მიიჩნია ბავშების სრული სასწავლო პროგრამის შესრულების ვალდებულება და როდესაც წარმატებით მოახერხა მომჩივანთა პირად ინტერესთა ინტეგრაცია, ამით არ გადააჭარბა მინიჭებულ უფლებამოსილებას სავალდებულო განათლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვთა ინტერესი – მიიღონ სრულფასოვანი განათლება, რაც ხელს შეუწყობს მათ ადგილობრივ სოციალურ ინტეგრაციას, არის ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე მშობელთა სურვილი, რომ მათი შვილები გაათავისუფლონ ცურვის გაკვეთილებიდან. სპორტული განათლება, რომლის არსებით ნაწილსაც მომჩივანთა შვილების სკოლაში წარმოადგენს ცურვა, არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბავშვების ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის. აღნიშნულ საქმეში, ბავშვთა ინტერესს წარმოადგენდა არა მხოლოდ ცურვის სწავლა და ფიზიკური ვარჯიში, არამედ უპირველეს ყოვლისა, სხვა მოსწავლეებთან ერთად აქტივობებში მონაწილეობის მიღება, მიუხედავად ბავშვის წარმოშობისა, მშობლის რელიგიური შეხედულებისა თუ ფილოსოფიური რწმენისა. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ მომჩივნებს საკმაოდ მოქნილი ღონისძიებების გატარება შესთავაზა – მათ ქალიშვილებს ცურვის გაკვეთილზე ბურკინის[4] ჩაცმის ნება დართეს და ასევე უფლება მისცეს გამოეცვალათ ცალკე, ბიჭების თანდასწრების გარეშე. აღნიშნული პირობები მიზანმიმართული იყო მშობელთა რწმენის გამო, ცურვის გაკვეთილებზე (რომელსაც ესწრებიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები) ბავშვების დასწრებაზე, მათი გავლენის შემცირებისკენ.

[4] საცურაო კოსტუმი რომელიც ფარავს მთელ სხეულს (ავტ. კომ.).

ქალთა მიმართ ძალადობა

ებრუ დინცერი თურქეთის წინააღმდეგ

Ebru Dincer v. Turkey

(საჩივარი №43347/09; 29/01/2019)

მოცემული საქმე ეხებოდა 2000 წლის დეკემბერში ბაირამპასის ციხეში (სტამბოლი) უსაფრთხოების ძალების მიერ ჩატარებულ ოპერაციას, რომლის დროსაც მომჩივანმა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, მათ შორის, სახეზე, სერიოზული დამწვრობა მიიღო, იმის გამო, რომ ქალთა საცხოვრებელში ხანძარი გაჩნდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 3-ე მუხლის დარღვევას (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ გამოძიებას ან ეფექტურ პროცედურას შეეძლო ხანძრის მიზეზის დადგენა. თუმცა, მოცემული ფაქტებიდან თითქმის 18 წლის შემდეგაც კი, უცნობი იყო ხანძრის გამომწვევი მიზეზი. ამასთან, სასამართლოს წინაშე საქმის განხილვა კვლავ მიმდინარეობდა. დამატებით, ეროვნული სამართალწარმოების შედეგად არ დადგენილა, რომ ძალადობა, რამაც გამოიწვია აპლიკანტის ფიზიკური და მორალური ტანჯვა, გარდაუვალი იყო მისი საქციელიდან გამომდინარე.

ე.ბ. რუმინეთის წინააღმდეგ

E.B. v. Romania

(საჩივარი №4908910; 19/03/2019)

კომიტეტის გადაწყვეტილება

წინამდებარე საქმეზე მომჩივანი დავობდა, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადოდ გამოეძიებინა მისი გაუპატიურების ფაქტი და ამით დაარღვია დაკისრებული ვალდებულება – უზრუნველყოს ეფექტური სამართლებრივი დაცვა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი, როგორც მსხვერპლის დაცვა, რადგან მას არ ჰქონდა სათანადო იურიდიული დახმარება და სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მიადგა ფსიქოლოგიური ტრამვა, რითაც დაირღვა მისი პირადი მთლიანობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლები. სასამართლომ მიიჩნია, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო გამოძიების ჩატარება და ზედმეტი ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ მომჩივანი არ ეწინააღმდეგებოდა მის სავარაუდო თავდამსხმელს. ამასთან, მსხვერპლის მცირე ინტელექტუალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, მოცემული საქმე მოითხოვდა სენსიტიურ გამოძიებას, მაგრამ ასე არ მომხდარა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების მიდგომამ ძირი გამოუთხარა მომჩივნის, როგორც ძალადობის მსხვერპლის უფლებებს და ეროვნულ სამართალწარმოებას მიზანი დაუკარგა იმ კუთხით, რომ სათანადოდ არ დასაჯა სექსუალურ დანაშაულში დამნაშავე პირი და ასევე, ეჭვქვეშ დააყენა რუმინეთის სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად დამკვიდრებული სისტემის ეფექტურობა.

არასრულწლოვანთა დაცვა

მასწავლებელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობა

ვ.კ. რუსეთის წინააღმდეგ

V.K. v. Russia

(საჩივარი №68059/13; 07/03/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა საჯარო ბაგა-ბაღის მასწავლებლების მიერ ოთხი წლის ბიჭის მიმართ არასათანადო მოპყრობას, რომლის შედეგადაც ბავშვს განუვითარდა ნევროლოგიური დაავადება. მომჩივანი ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მასწავლებლებმა ბავშვს იძულებით მისცეს ანტიბიოტიკური თვალის წვეთები ექიმის დანიშნულების ან მშობლების თანხმობის გარეშე; ჩაკეტეს ბნელ საპირფარეშო და ეუბნებოდნენ, რომ მას ვირთხები შეჭამდნენ; აიძულეს, რომ ბაღის კორიდორში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მხოლოდ ტრუსებში ჩაცმული, ხელებაწეული მდგარიყო; ხოლო, ერთხელ, მას წებოვანი ლენტით შეუკრეს პირი. მომჩივანი ასევე დავობდა, რომ გამოძიება ბრალდებებთან დაკავშირებით იყო არაეფექტური.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), როგორც მასწავლებლების მხრიდან ბიჭის არასათანადო მოპყრობასთან, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური გამოძიების ჩატარების მარცხთან მიმართებით. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ ვ.კ-ს აღწერა, თუ როგორ მოექცა მას მასწავლებელი იყო დეტალური, თანმიმდევრული და ადასტურებდა მასწავლებლის თანაშემწის და სხვა მოსწავლეთა რამდენიმე მშობლის მონაყოლს. სასამართლომ აღნიშნული საკმარისად ჩათვალა იმისათვის, რომ მიჩნეულიყო არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად. მან ასევე, გაითვალისწინა იმ დროისთვის მომჩივნის ასაკი; სასჯელის სახეები, რომელსაც იგი ექვემდებარებოდა ბოლო კვირების განმავლობაში; ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა (რომლებიც მას ხელმძღვანელობდნენ და აკონტროლებდნენ) სასჯელები მიზნად ისახავდნენ ბავშისთვის ჭკუის სწავლებას, მისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა და დამცირების გზით და ასევე, გაითვალისწინა გრძელვადიანი შედეგები, კერძოდ, გრძელვადიანი პოსტტრავმული ნევროლოგიური დაავადება. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ არასათანადო მოპყრობას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც მომჩივანი იმყოფებოდა საჯარო ბაგა-ბაღის მზრუნველობის ქვეშ. ეს უკანასკნელი, სახელმწიფო რეგულაციისა და ზედამხედველობის ფარგლებში ატარებდა საჯარო ინტერესს ბავშვებზე ზრუნვისა და განათლების მიცემისათვის. შესაბამისად, სახელმწიფო პირდაპირი პასუხისმგებელი იყო მასწავლებელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე. დაბოლოს, არასათანადო მოპყრობის შესახებ მომჩივნის განცხადებებზე, სისხლის სამართლის გამოძიება სამი წლის დაგვიანებით დაიწყო, რამაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია გამოძიების ეფექტურობაზე, რომლის ყველაზე სერიოზული შედეგი იყო ის, რომ მასწავლებელთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ვადა ამოიწურა.

ოჯახში ძალადობა/არასათანადო მოპყრობა

დ.მ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ

D.M.D. v. Romania

(საჩივარი №23022/13; 03/10/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ოჯახში ძალადობის საფუძვლით საქმისწარმოებას მომ-

ჩივნის მამის წინააღმდეგ. სადავო საქმისწარმოება გრძელდებოდა რვა წლის განმავლობაში, რომლის შედეგადაც მამას დაედო მსჯავრი შვილზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობისათვის. მომჩივანი დავობდა, რომ აღნიშნული სამართალწარმოება არ იყო ეფექტური და რომ მას არ აუნაზღაურდა ზიანი. კერძოდ, ბოლო ინსტანციის ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი არ იყვნენ ვალდებულნი განეხილათ კომპენსაციის საკითხი, რადგან აღნიშნული არც მომჩივანს და არც ბრალდების მხარეს, ქვედა ინსტანციებში არ მოუთხოვიათ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), რადგან არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებებზე გამოძიება გრძელდებოდა ზედმეტად დიდი ხნის განმავლობაში და სახეზე იყო სხვა სერიოზული დარღვევები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები უნდა ეცადონ დაიცვან ბავშვთა ღირსება, კერძოდ, უზრუნველყონ ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩო ბავშვების ოჯახში ძალადობისგან დასაცავად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს მომჩივნის საჩივრის არსებითი გარემოებები კომპენსაციის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა პირდაპირ უთითებდა სახელმწიფო ვალდებულებას, რომ განხილულიყო კომპენსაციის საკითხი არასრულწლოვნის საქმეზე და არ აქვს მნიშვნელობა ფორმალურად მოითხოვა თუ არა ეს მსხვერპლმა.

სექსუალური ძალადობა

ვ.ს. იტალიის წინააღმდეგ

V.C. v. Italy

(საჩივარი №54227/14; 01/02/2018)

წინამდებარე საქმეში ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირი გახდა ბავშვთა პროსტიტუციისა და ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი. ევროპული სასამართლოს წინაშე იგი დავობდა, რომ იტალიის ხელისუფლებამ არ გადადგა ყველა საჭირო ნაბიჯი მის დასაცავად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მუხლები; სასამართლომ განაცხადა, რომ იტალიის ხელისუფლებამ არ გამოიჩინა საჭირო გულმოდგინება და არ მიიღო ყველა შესაბამისი ზომა მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად სისხლის სამართლის სასამართლოების დროული მოქმედებისა, არასრულწლოვანთა სასამართლოს და სოციალური მომსახურების სააგენტოებს არ მიუღიათ რაიმე დამცავი ზომა, თუმცა მათ იცოდნენ, რომ მომჩივანი (რომელიც იმ დროისთვის 15 წლის იყო) იყო მოწყვლადი და მისი სექსუალური ექსპლუატაციის თაობაზე მიმდინარეობდა საქმისწარმოება და გამოძიება ჯგუფურ გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

ფიზიკური სასჯელი

ტლაპაკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (საჩივარი №11308/16 და №11344/16) და ვეტიენი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (საჩივარი №68125/14 და №72204/14)

Tlapak and Others v. Germany and

Wetien and Others v. Germany

22/03/2018

წინამდებარე საქმეები ეხებოდა მშობლის უფლებამოსილების ნაწილობრივ ჩამორთმევას და ბავშვების (რომლებიც იყვნენ თორმეტი ტომის ეკლესიის წევრები (Twelve Tribes Chirch) და ცხოვრობდნენ ბავარიაში) მზრუნველობის ქვეშ აყვანას. 2012 წელს, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეკლესიის წევრებმა ჯოხით სცემეს ბავშვები. მოგვიანებით, ეს ინფორმაცია დადასტურდა ფარული კამერით გადაღებული ვიდეომასალით. პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და ასევე, ეკლესიის ყოფილი წევრების განცხადებებზე დაყრდნობით, ეროვნული სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ბავშვები გადაიყვანეს მზრუნველობის ქვეშ, 2013 წლის სექტემბერში. ევროპული სასამართლოს წინაშე საქმისწარმოება დაიწყო ოთხმა ოჯახმა, რომლებიც თორმეტი ტომის ეკლესიის წევრები არიან. ისინი დავობდნენ გერმანიის სასამართლოების მიერ მშობლის უფლებამოსილების ნაწილობრივ ჩამორთმევასა და მათი ოჯახების გაყოფასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება); განაცხადა, რომ გერმანული სასამართლოების წინაშე საქმისწარმოება იყო სამართლიანი და შესაბამისი, რომლის დროსაც, თითოეული ბავშვის საქმე განხილული იქნა ინდივიდუალურად. ასევე, ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს ბალანსი მშობლებისა და ბავშვების საუკეთესო ინტერესებს შორის. კერძოდ, ევროპული სასამართლო დაეთანხმა გერმანიის სასამართლოებს, რომ არსებობდა ბავშვების სისტემატურად და რეგულარულად ჯოხით ცემის რისკი, შესაბამისად, გამართლებული იყო მშობლების უფლებამოსილების ნაწილობრივი ჩამორთმევა და ბავშვების მზრუნველობის ქვეშ გადაყვანა. მათი გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკს, რომელიც კონვენციის შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გერმანიის სასამართლოებმა დეტალურად დაასაბუთეს თუ რატომ არ არსებობდა სხვა შესაძლო ვარიანტი ბავშვების დასაცავად. კერძოდ, მშობლებს სჯეროდათ, რომ ფიზიკური დასჯა მისაღები იყო და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დათანხმდებოდნენ, რომ ჯოხით აღარ ეცემათ ბავშვები, არ არსებობდა იმის გარანტია, რომ ამ საზოგადოების სხვა წევრები არ გაიმეორებდნენ იგივეს.

იქსი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ

X and Others v. Bulgaria

(საჩივარი №22457/16; 17/01/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ბულგარეთში ობოლ ბავშვთა თავშესაფარში სამი ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ ბრალდებებს, სანამ 2012 წლის ივნისში, იტალიელი წყვილი იშვილებდა მათ. მომჩივნები ევროპული სასამართლოს წინაშე ასევე აცხადებდნენ, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა ვალდებულება დაეცვა ისინი ამგვარი მოპყრობისგან და შემდგომში ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური

ცხოვრების დაცულობის უფლება). კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ იმოქმედა დროულად და გულმოდგინედ, როგორც კი პრესის მეშვეობით შეიტყო ზემოაღნიშნულის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინაშე მომჩივნებს არ წარუდგენიათ რაიმე ფორმალური საჩივარი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანთა მშობლები ჩართულნი იყვნენ გამოძიების პროცესში. შესაბამისად, დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე დაუდევრობით გამოწვეული ხარვეზი და კომპეტენტური ორგანოები მზად იყვნენ ნათელი მოეფინათ მოვლენებისთვის, ასევე სავარაუდო პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებისა და მათი ბრალდებისათვის. სასამართლომ მის წინაშე არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ არ დასტურდებოდა ბულგარეთის ხელისუფლების მხრიდან საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა – მიეღო პრევენციული ზომები მომჩივანთა არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად, რის შესახებაც მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ობოლთა თავშესაფარში გატარებული იქნა რიგი ზოგადი ღონისძიებები ბავშვთა უსაფრთხოებისათვის.

უცხოელი არასრულწლოვანი, თანმხლები პირის გარეშე

ხანი საფრანგეთის წინააღმდეგ

Khan v. France

(საჩივარი №12267/16; 28/02/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა საფრანგეთის ხელისუფლების მარცხს, ეზრუნა უცხოელ არასრულწლოვანზე, რომელსაც არ ახლდა თანმხლები პირი, „lande de calais"- ის[5] სამხრეთ ნაწილში განთავსებული თვითნაკეთი ბანაკის დემონტაჟის დაწყებამდე და მის შემდეგ. დიდ ბრიტანეთში თავშესაფრის მაძიებლები მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ კარვებში ან ქოხებში, ჭარბად დასახლებულ ადგილას, ძირითადი სანიტარული პირობების გარეშე. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა საკუთარი ვალდებულება დაეცვა უცხოელი არასრულწლოვნები თანმხლები პირის გარეშე, ასევე აცხადებდა, რომ ბრძანება ბავშთა დახმარების ცენტრში მისი დროებით მოთავსების შესახებ არ აღსრულებულა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). განაცხადა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ არ მიიღო აუცილებელი ზომა, რის შედეგადაც მომჩივანი აღმოჩნდა არაადამიანური მოპყრობის ტოლფას ვითარებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ განახორციელა ყველა შესაბამისი მოსალოდნელი ქმედება ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, რათა დაეცვა და ეზრუნა საფრანგეთის ტერიტორიაზე არაკანონიერად მყოფი უცხოელი არასრულწლოვანი თანმხლები პირის გარეშე. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ეკუთვნის. რამდენიმე თვის განმავლობაში, მომჩივანი ცხოვრობდა „lande de Calais" - ში, გარემოში, რომელიც მისთვის როგორც ბავშვისთვის, ასევე მისი ასაკისთვის დაუშვებელ და დაუცველ სიტუაციაში მყოფი პირისთვის, ყოვლად მიუღებელი იყო. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილთა ბანაკებში არსებობს უკიდურესად უარყოფითი პირობები, ხოლო სასამართლო ბრძანება მომჩივნისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ არ აღსრულებულა.

[5] საფრანგეთში კალაისის ველური ტყის ბანაკი, ლტოლვილთა თავშესაფარი (ავტ.კომ).

ბავშვის უფლებები

დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი)

შვილად აყვანასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებები

მითზინგერი გერმანიის წინააღმდეგ

Mitzinger v. Germany

(saCivari №29762/10; 09/02/2017)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ 2009 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ ვერ სარგებლობდა მემკვიდრეობის უფლებით, რადგან მისი მშობლები არ იმყოფებდოდნენ კანონიერ ქორწინებაში. იმ დროისთვის, ზემოაღნიშნული არ წარმოადგენდა სამართლებრივ საფუძველს მემკვიდრეობის მისაღებად. 1949 წლის 1 ივლისამდე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა ესარგებლათ კანონით დადგენილი მემკვიდრეობისა და ფინანსური კომპენსაციის უფლებებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთობლიობაში. სასამართლომ განაცხადა, რომ კანონმდებლობის მიზანი იყო ლეგიტიმური, რომლის მიხედვითაც დაშვებული იყო განსხვავებული მოპყრობა, კერძოდ, სამართლებრივი სიცხადის პრინციპის და გარდაცვლილისა და მისი ოჯახის წევრთა უფლების დაცვა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის მიმღების უფლების მქონე პირთა სიიდან ამორიცხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვის გაუქმებამდე, დასახული მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას, სასამართლოსთვის გადამწყვეტი იყო ის ფაქტი, რომ მომჩივანი შვილად აღიარა მამამ. გარდა ამისა, მომჩივანი რეგულარულად სტუმრობდა მას და მის მეუღლეს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელმა იცოდა მომჩივნის არსებობის შესახებ და ასევე, იმ ფაქტის შესახებ, რომ კანონმდებლობა ცვლილების ამოქმედების შემდეგ მემკვიდრეობის უფლებას აძლევდა ქორწინებით და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს, აუცილებლად იქონიებდა გავლენას მის მოლოდინზე მეუღლის ქონებასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული პრეცედენტული სამართალი და ეროვნული საკანონმდებლო რეფორმები, ცალსახად მეტყველებდნენ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის უფლებებთან დაკავშირებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვის ტენდენციაზე.

პირის უფლება წარმოშობის ცოდნის შესახებ

მანდე საფრანგეთის წინააღმდეგ

Mandet v. France

(საჩივარი №30955/12; 14/02/2016)

წინამდებარე საქმე ეხებოდა დედის მეუღლის მამად ფორმალური აღიარების გაუქმებას, ბავშვის ბიოლოგიური მამის მოთხოვნის საფუძველზე. მომჩივნები იყვნენ დედა,

მისი შვილი და მისი მეუღლე და ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ მამად აღიარების გაუქმებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი ამ უკანასკნელს არაპროპორციულად მიიჩნევდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და აცხადებდნენ, რომ კანონიერ მშობელსა და შვილს შორის მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობა უნდა შენარჩუნებულიყო და უვნებელი ყოფილიყო მისი ემოციური სტაბილურობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, აღნიშნა, რომ საფრანგეთის სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებამ ცხადყო, რომ მათ სათანადოდ გაითვალისწინეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი დედის მეუღლეს მამად მიიჩნევდა, მის უპირატეს ინტერესს საკუთარ წარმოშობაზე სიმართლის ცოდნა წარმოადგენდა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არ მოიაზრებს ბავშვის ინტერესის წინ ბიოლოგიური მამის ინტერესების დაყენებას, პირიქით, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემულ საქმეში ბავშვისა და ბიოლოგიური მამის ინტერესები ნაწილობრივ იკვეთება. ასევე, აღსანიშნავია, რომ მშობლის პასუხისმგებლობის დედისთვის დაკისრებით, საფრანგეთის სასამართლოების გადაწყვეტილებები არ ართმევს ბავშვს შესაძლებლობას განაგრძოს ცხოვრება როგორც მანდეს ოჯახის წევრმა, საკუთარ სურვილთა შესაბამისად.

ახალი ტექნოლოგიები

ელექტრონული მონაცემები

ტრაბაიო რუედა ესპანეთის წინააღმდეგ

Trabajo Rueda v. Spain

(საჩივარი №32600/12, 30/05/2017)

წინამდებარე საქმეში მომჩივანს ჩამოართვეს კომპიუტერი, იმ საფუძვლით, რომ მასში ინახებოდა ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ პოლიციის მხრიდან კომპიუტერის ჩამორთმევა და დათვალიერება წარმოადგენდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემისა და მიმოწერის უფლებაში ჩარევას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემა). პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის წვდომა მომჩივნის პერსონალურ კომპიუტერში არსებულ ფაილებზე და მისი მსჯავრდება წარმოადგენდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული ჩარევის შესაძლებლობას ადგენდა ეროვნული კანონმდებლობა და ემსახურებოდა „დანაშაულის პრევენციისა“ და „სხვათა უფლებების დაცვის“ ლეგიტიმურ მიზანს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „სექსუალური ძალადობა უდავოდ არის ამაზრზენი დანაშაული, რომელსაც საზიანო ეფექტი აქვს მსხვერპლებზე“ და, რომ „ბავშვებს და სხვა მოწყვლად პირებს უფლება აქვთ, სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური დანაშაულის პრევენციის გზით, დაცულნი იყვნენ მათი პირადი ცხოვრების არსებით ასპექტებში ასეთი სერიოზული სახის ჩარევებისგან“. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის მხრიდან კომპიუტერის ჩამორთმევა და მასში არსებული ფაილების დათვალიერება წინასაწარი სასამართლო ნებართვის გარეშე არ იყო კანონიერი მიზნებისთვის პროპორციული და არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის მიერ კომპიუტერიდან ფაილების ამოღება და მასში არსებულ მასალებზე წვდომა რთულია შეფასებულიყო როგორც გადაუდებელი აუცილებლობა, შესაბამისი წინასწარი სასამართლო ნებართვის გვერდის ავლით, როდესაც სინამდვილეში სადავო კომპიუტერი უკვე პოლიციის ხელში იყო და წინასწარი ნებართვის მიღებაც საკმაოდ სწრაფად შეიძლებოდა, გამოძიებისთვის ხელის შეშლის გარეშე.

ინტერნეტი

M.L. and W.W. გერმანიის წინააღმდეგ

M.L. and W.W. v. Germany

(საჩივარი №60798/10, №65599/10; 28/06/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს უარს სასამართლო აკრძალვის გაცემის შესახებ. ამ უკანასკნელის მეშვეობით, სამ სხვადასხვა მედია საშუალებას უნდა აკრძალვოდა ინტერნეტმომხმარებლისთვის იმ დოკუმენტებზე წვდომა, მომჩივანთა მსჯავრდებას ცნობილი მსახიობის მკვლელობაზე და სადაც მოხსენიებული იყო მათი სახელები სრულად. მომჩივნები დავობდნენ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემა). სასამართლო დაეთანხმა გერმანიის ფედერალური სასამართლოს დასკვნას, რომლის მიხედვითაც, მედიის ამოცანაა მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიული აზრის ფორმირებაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ არქივში შენახული ძველი საჯარო ინფორმაცია გახადონ ხელმისაწვდომი. სასამართლომ განაცხადა, რომ მოცემული საკითხი ექცეოდა ჟურნალისტური თავისუფლების ფარგლებში და კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) უფლებას უტოვებს მედიას, თავად გადაწყვიტონ თუ რა დეტალები უნდა გამოქვეყნდეს, იმ შემთხვევაში თუ ისინი შეესაბამება პროფესიულ ეთიკურ ნორმებს. პირის პერსონალური ინფორმაციის (როგორიცაა ადამინის სახელი სრულად) სტატიაში მოხსენიება, პრესის საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია, განსაკუთრებით ისეთი სისხლის სამართლის საქმისწარმოების გაშუქებისას, რომელიც საზოგადოებაში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობდა და ეს ინტერესი არ შემცირებულა დროთა განმავლობაში. საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2004 წელს, სამართალწარმოების განახლების მოთხოვნის დროს, მომჩივნები თავად დაუკავშირდნენ პრესას, გადასცეს რიგი დოკუმენტები და ჟურნალისტებს სთხოვდნენ საზოგადოების ინფორმირებას. ზემოაღნიშნული ქმედებით, მცირდებოდა იმის პერსპექტივა, რომ სტატიაში დაცული იქნებოდა ანონიმურობა ან უფლება „იყო დავიწყებული". სხვადასხვა ინტერესთა შედარებისას, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ეროვნული ხელისუფლების თავისუფალი შეფასების ფარგლები, იმ სტატიათა ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, რომლებიც კანონიერად აღიარეს და პრესასთან მომჩივანთა პირდაპირი ურთიერთობა. დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე არსებითი საფუძველი იმისათვის, რომ შეეცვალა უზენაესი ფედერალური სასამართლოს მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჰოინესი ნორვეგიის წინაღმდეგ

Hoiness v. Norway

(საჩივარი №43624/14; 19/03/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ნორვეგიის სასამართლოების უარს დაეკისრებინათ სამოქალაქო პასუხიმგებლობა ინტერნეტფორუმის ორგანიზატორისთვის, მას შემდეგ რაც მან მომჩივნის შესახებ უხამსი კომენტარები გამოაქვეყნა. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ ხელისუფლებამ დაარღვია მისი უფლებები, რადგან არასაკმარისად დაიცვა მისი რეპუტაციის უფლება და მოსთხოვა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემა), განაცხადა, რომ ნორვეგიის სასამართლოებმა საკმარისად უზრუნველყვეს კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლით გარანტირებული მომჩივნის უფლებები. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოები მოქმედებდნენ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (თავისუფალი შეფასების ფარგლები), როდესაც ცდილობდნენ დაედგინათ ბალანსი მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მომჩივნის უფლებასა და მე-10 მუხლით (გამოხატვის თავისუფლება) გათვალისწინებულ საწინააღმდეგო უფლებას შორის, რომლის მიხედვითაც, საინფორმაციო პორტალს და მათ შორის, დებატების ფორუმის ორგანიზატორს აქვთ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება. გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, არ არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ დებულებებს.

შპს მაგიარ ჯეტი უნგრეთის წინააღმდეგ

Magyar Jeti Zrt v. Hungary

(საჩივარი №11257/16; 04/12/2018)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი კომპანია დამნაშავედ ცნეს იუთუბზე არსებული ინტერვიუს ჰიპერბმულის განთავსების გამო, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდა ცილისმწამებლური შინაარსის. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი კომპანია დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უსაფუძვლოდ შეზღუდეს მისი უფლებები, როდესაც დამნაშავედ ცნეს ვებგვერდზე ჰიპერბმულის განთავსების გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ჰიპერბმულების განთავსების მნიშვნელობა ინტერნეტის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის და მათი გამოყენების უპირატესობა ტრადიციულ მეთოდთან შედარებით (შინაარსის აღწერის ნაცვლად, ჰიპერბმული ამისამართებს პირებს ხელმისაწვდომ მასალებთან). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ განაახლა პრეცედენტული სამართალი და დაადგინა ის ელემენტები რომლებიც მე-10 მუხლის მნიშვნელობით უნდა იქნეს გათვალისწინებული როდესაც განსახილველ საკითხს წარმოადგენს ჰიპერბმულის განთავსების გამო პასუხიმგებლობის დაკისრება და განაცხადა, რომ აუცილებელია თითოეული საქმის ინდივიდუალური შეფასება. წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ უნგრეთის ეროვნული კანონმდებლობა, ცილისმწამებლური მასალის განზრახ გავრცელებისთვის (რომელზეც ითვალისწინებდა მკაცრ პასუხისმგებლობას) გამორიცხავდა მომჩივანი კომპანიის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი ღირებული შეფასების შესაძლებლობას, მაშინ, როცა სასამართლოებს ყურადღებით უნდა შეესწავლათ არსებული საკითხი. ზემოაღნიშნულმა მკაცრმა პასუხისმგებლობამ ჰიპერბმულის გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიძლება შეაფერხოს ინტერნეტში ინფორმაციის გავრცელება, გადაარწმუნოს სტატიის ავტორები და მისი გამომქვეყნებლები გამოიყენონ ასეთი ბმულები, იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებელნი არ არიან იმ ინფორმაციაზე რომელზეც იგი გვამისამართებს. აღნიშნულს შესაძლოა ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებაზე. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივან კომპანიას უსაფუძვლოდ შეეზღუდა უფლებები.

მობილური ტელეფონის აპლიკაციები

Magyar Ketfarku Kutya Part [6] უნგრეთის წინააღმდეგ

Magyar Ketfarku Kutya Part v. Hungary

(საჩივარი №11257/16; 23/01/2018)

2018 წლის მაისში საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას

წინამდებარე საქმეში მომჩივანი, რომელიც არის პოლიტიკური პარტია, ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩ-

[6] „უნგრეთის ორკუდიანი ძაღლის პარტია"; სახუმარო პოლიტიკური პარტია უნგრეთში (ავტ.კომ).

ნიეს, რომ მომჩივნის მობილური აპლიკაცია არღვევდა საარჩევნო წესებს (აპლიკაციის მეშვეობით, ამომრჩეველს შეეძლო ენახა და დაეტოვებინა კომენტარი ძალადაკარგულ საარჩევნო ბიულეტენებთან დაკავშირებით, მიგრანტთა გადასახლების შესახებ 2016 წელს ევროკავშირში ჩატარებულ რეფერენდუმზე). ამომრჩეველს აპლიკაციის მეშვეობით შეეძლო გამოექყვენებინა ძალადაკარგული ბიულეტენების ანონიმური ფოტოები და დაეტოვებინა კომენტარი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა საარჩევნო ბიულეტენების დათვლა. კერძო პირის საჩივრის შემდეგ, ეროვნულმა საარჩევნო კომისიამ დააჯარიმა პარტია, დაადგინა, რომ აპლიკაცია არღვევდა სამართლიანი არჩევნების წესებს, ხმის მიცემის ფარულობის და უფლებით სათანადოდ სარგებლობის შესახებ დებულებებს. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება უფლებათა სათანადოდ განხორციელების თაობაზე და შეამცირა დაკისრებული ჯარიმა. ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო.

2018 წლის 23 იანვრის პალატის გადაწყვეტილებით, ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). პალატამ განაცხადა, რომ მომჩივანმა პარტიამ მობილური აპლიკაცია გამოიყენა ზუსტად იმ მიზნით, რომ ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონოდა გამოეყენებინა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ბათილი ბიულეტენების ანონიმური ფოტოების შესახებ აზრების გასაზიარებლად. თუმცა, აპლიკაციას ჰქონდა საკომუნიკაციო ღირებულება და შესაბამისად, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე გამოხატულებას. გარდა ამისა, უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ანონიმურად გადაღებული ფოტოების საშუალებით ამომრჩეველთა იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო და იმის მიუხედავად, რომ ფოტოების გამოქვეყნება არღვევდა უფლებათა სათანადოდ განხორციელების პრინციპს, მას გავლენა არ მოუხდენია არჩევნების სამართლიან ჩატარებაზე. შესაბამისად, პალატამ დადგინა, რომ მომჩივნის ქმედებით არ შელახულა რეფერენდუმის სამართლიანობა და კონფიდენციალობა. მართალია, ეროვნულმა ხელისუფლებამ დაადგინა, რომ საარჩევნო ბიულეტენების სხვა მიზნებისათვის (არა ხმის მიცემისთვის) გამოყენებით ირღვეოდა საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი (e) ქვეპუნქტი, უნგრეთის მთავრობამ მაინც ვერ შეძლო დამაჯერებლად დაედგინა რაიმე კავშირი ეროვნულ კანონმდებლობასა და კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებს შორის. შესაბამისად, მომჩივნის მიმართ დაკისრებული სანქცია არ ექცეოდა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის ფარგლებში.

2018 წლის 28 მაისს, დიდი პალატის შემადგენლობა დაეთანხმა უნგრეთის მთავრობის მოთხოვნას საქმე გადაცემოდა დიდ პალატას.

გადასახადები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი)

შპს ჩაპი სომხეთის წინააღმდეგ

Chap Ltd v. Armenia

(საჩივარი №15485/09; 03/05/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა რეგიონული ტელეკომპანიის წინააღმდეგ სამართალწარმოებას გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების თაობაზე. ევროპული სასამართლოს წინაშე კომპანია დავობდა, რომ არ მიეცა საშუალება დაეკითხა ის მოწმეები, რომელთა ჩვენებებიც გამოყენებული იქნა მის წინააღმდეგ სამართალწარმოების დროს. აღნიშნული მოწმეები იყვნენ ეროვნული ტელევიზიისა და რადიოკომისიის (“the NTRC”) ხელმძღვანელი და რამდენიმე ბიზნესმენი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ამავე მუხლის მე-3 (d) პარაგრაფთან ერთობლიობაში (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), ვინაიდან მიიჩნია, რომ მომჩივნის უფლების შეზღუდვა მოწმის დაკითხის თაობაზე იყო დაუსაბუთებელი. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა მტკიცებულებათა შეუსაბამობის საფუძვლით, არ დააკმაყოფილეს მომჩივანი კომპანიის მოთხოვნა მოწმეთა დაკითხვასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს მტკიცებულებები იყო გადამწყვეტი ფაქტორი მისთვის საგადასახადო საურავისა და ჯარიმების დაკისრებისთვის.

პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმოწერის დაცულობის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი)

ბრაზი იტალიის წინააღმდეგ

Brazzi v. Italy

(საჩივარი №57278/11; 27/09/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა იტალიის საგადასახადო ორგანოების მიერ ჩატარებულ ჩხრეკას მომჩივნის სახლში, რომელსაც იგი ფლობდა 2009 წლიდან და სადაც სასწავლო წლის განმავლობაში ცხოვრობდა ცოლთან და შვილებთან ერთად. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა მისი საცხოვრისის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). კერძოდ, განაცხადა, რომ მომჩივნის საცხოვრისის უფლებაში ჩარევა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფს, რადგან მას არ მიეცა ეფექტური ზედამხედველობის შესაძლებლობა, რომელსაც ითვალისწინებს კანონის უზენაესობის პრინციპი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებმა არ გამოიკვლიეს მომჩივნის სახლის ჩხრეკის ორდერის კანონიერება ან აუცილებლობა, არც ჩხრეკის ჩატარებამდე და არც მის შემდგომ. შესაბამისად, იტალიის კანონდებლობამ ვერ უზრუნველყო საკმარისი გარანტიები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან თვითნებობისგან დასაცავად.

რელიგიის თავისუფლება (კონვენციის მე-9 მუხლი)

კლეინი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ

Klein and Others v. Germany

(საჩივარი №24268/08; 06/04/2017)

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, ზოგიერთ ეკლესიას და რელიგიურ გაერთიანებას უფლება აქვთ საკუთარ წევრებს დააკისრონ საეკლესიო გადასახადი ან/და მოსაკრებელი. ხუთი მომჩივანი დავობდა, რომ აღნიშნული გადასახადები ან მოსაკრებელი გამოითვლება და იკრიფება მომჩივანთა და მათი მეუღლეების ერთობლივი შემოსავლის საფუძველზე, რითაც ირღვევა მათი რელიგიის თავისუფლება. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ცალკეული საჩივრების საფუძველზე დავობდნენ, რომ ვალდებულნი არ იყვნენ გადაეხადათ მეუღლეებისთვის დაკისრებული სპეციალური საეკლესიო გადასახადი, როდესაც თავად არ იყვნენ ამ ეკლესიის წევრები; ასევე აცხადებდნენ, რომ მეუღლეებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა სპეციალური საეკლესიო მოსაკრებელის გადახდისათვის, მეუღლეებზე დამოკიდებულებს ხდიდათ და იზღუდებოდა მათი რელიგიის თავისუფლება; ასევე დავობდნენ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ არაგონივრულად მაღალი საეკლესიო გადასახადი.

ევროპულმა სასამართლომ, კონვენციის მე-9 მუხლზე (რელიგიის თავისუფლება) დაყრდნობით საჩივართა უმრავლესობა მიუღებლად ცნო. ამ უკანასკნელის საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გადასახადებს/მოსაკრებლებს კრეფდა არა სახელმწიფო, არამედ მომჩივანთა ეკლესიები, რომელთა წევრობის დატოვებაც მათ გერმანიის კანონმდებლობის თანახმად თავისუფლად შეეძლოთ. აქედან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში გადასახადის/მოსაკრებლის აკრეფა და გამოთვლა წარმოადგენდა ეკლესიის დამოუკიდებელ და არა სახელმწიფოს ქმედებას, თუმცა, ერთ შემთხვევაზე სპეციალური საეკლესიო გადასახადის აკრეფაში სახელმწიფო მონაწილეობდა. ამ უკანასკნელ საქმეში მომჩივანი თავად არ იყო ეკლესიის წევრი. 2008 წელს, მეუღლეებმა აირჩიეს სახელმწიფო გადასახადების ერთობლივი გადახდა. მათ მიიღეს გადახდის ქვითარი, რომელიც ასევე მოიცავდა სპეციალურ საეკლესიო გადასახადს მომჩივნის მეუღლისგან. ვინაიდან, მეუღლის შემოსავალი დასაბეგრ გადასახადზე ნაკლები იყო, ეკლესიის გადასახადი გამოთვლილი იყო მეუღლეთა საერთო შემოსავლის მიხედვით. შესაბამისად, მომჩივანს ანგარიშიდან ავტომატურად ჩამოეჭრა ეკლესიის სპეციალური გადასახადის თანხა. თუმცა, ეს იმის შედეგი იყო, რომ მეუღლეებმა თავად აირჩიეს გადასახადების ერთობლივი გადახდა, ხოლო მომჩივანს შეეძლო გაეუქმებინა იგი განცხადების საფუძველზე. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ეკლესიის სპეციალური გადასახადის ჩამოჭრა მომჩივნის ანგარიშიდან, სახელმწიფოს მხრიდან პროპორციულ გზას წარმოადგენდა, მეუღლეთა საგადასახადო პასუხისმგებლობის რაციონალიზაციისათვის.

გამოხატვის თავისუფლება (კონვენციის მე-10 მუხლი)
ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება

Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy ფინეთის წინააღმდეგ

Satakunnan Markkinaporssi Oy and Satamedia Oy v. Finland

(საჩივარი №931/13; 27/06/2017)

დიდი პალატა

მას შემდეგ, რაც ორმა კომპანიამ გამოაქვეყნა 1.2 მილიონი ადამიანის პირადი საგადა-

სახადო მონაცემები, ეროვნულმა ხელისუფლებამ დაადგინა, რომ პირადი მონაცების ამგვარი მასშტაბური გამოქვეყნება წარმოადგენდა უკანონო ქმედებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად და აკრძალა მონაცემთა მსგავსი მასშტაბური გამოქვეყნება. ევროპული სასამართლოს წინაშე კომპანიები დავობდნენ, რომ ზემოაღნიშნულმა აკრძალვამ დაარღვია მათი გამოხატვის თავისუფლება.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული აკრძალვით დაირღვა კომპანიის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, გააჩნდა პირთა პირადი ცხოვრების დაცვის ლეგიტიმური მიზანი და იცავდა სამართლიან ბალანსს პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. დიდი პალატა დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომ საგადასახადო მონაცემების მასობრივი შეგროვება და გავრცელება არ წარმოადგენდა საჯარო ინტერესის მქონე დებატებს და ასევე, არ ჰქონია მხოლოდ ჟურნალისტური მიზანი.

ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა (კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)

იოჰანესონი და სხვები ისლანდიის წინააღმდეგ

Johannesson and Others v. Iceland

(საჩივარი №22007/11; 18/05/2017)

წინამდებარე საქმეში ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა ორი კერძო პირი და ერთი კომპანია. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ერთსა და იმავე ქმედებაზე მათ წინააღმდეგ ორჯერ დაიწყო სასამართლო საქმისწარმოება, იმ საფუძვლით, რომ არ წარადგინეს ზუსტი საშემოსავლო დეკლარაცია საგადასახადო დაბეგვრის მიზნით. პირველი სამართალწარმოების დროს, ისინი დააჯარიმეს დამატებითი გადასახადით, ხოლო მეორედ, მომდევნო სისხლის სამართლის საქმისწარმოების ფარგლებში მსჯავრდებულნი იყვნენ საგადასახადო დანაშაულზე დამამძიმებელ გარემოებებში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი კერძო პირებთან მიმართებით და განაცხადა, რომ სახეზე იყო ხელმეორედ გასამართლებისა და დასჯის ფაქტი. სასამართლომ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის დანაშულები, რომლისთვისაც მომჩივნებს ბრალი წაუყენეს და დამნაშავედ ცნეს, ეფუძნებოდნენ ერთსა და იმავე ფაქტებს, რომელთა საფუძველზეც მათ, დაეკისრათ საგადასახადო საურავის გადახდა. სასამართლომ ასევე შეისწავლა ის საკითხი სახეზე იყო თუ არა ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის ფაქტი. ამასთან დაკავშირებით, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით აკრძალული არ არის სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პარალელური მიმდინარეობა, თუ მოპასუხე სახელმწიფო შეძლებს დამაჯერებლად აჩვენოს, რომ სამართალწარმოებები „საკმარისად მჭიდრო კავშირში არიან არსებითად და დროის რელევანტურობის კუთხით“. სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ სამართალწარმოებებს შორის საკმარისად მჭიდრო კავშირი იყო. რაც შეეხება მომჩივანი კომპანიის საჩივარს, სასამართლომ იგი მიუღებლად ცნო, რადგან კომპანიამ ვერ შეძლო დაედასტურებინა ევროპული სასამართლოს წინაშე მისი საჩივრის განხილვის გაგრძელების სურვილი.

გარემო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებლობა

ბურსა ბაროსუ ბაშკანლიღი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ

Bursa Barosu Baskanligi and Others v. Turkey

(საჩივარი N25680/05; 19/06/2018)

მომჩივნები (ბურსას[7] ადვოკატთა ასოციაცია და ბუნებისა და გარემოს დაცვის ასოციაცია, 21 ფიზიკურ პირთან ერთად) დავობდნენ, რომ არ აღსრულდა მრავალი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც აუქმებდა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებს, რომელთა თანახმად, ამერიკულ კომპანიას (Cargill) ორჰანგაზში (ბურსას რაიონი) არსებულ სამეურნეო მიწაზე სახამებლის ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ნებართვა მიეცა. მომჩივნები ასევე ასაჩივრებდნენ აღნიშნული სამართალწარმოებების ხანგრძლივობას.

უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ექვსი მომჩივნის საჩივარი იყო მისაღები, კერძოდ, მათი ვინც აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ სამართალწარმოებაში და დავობდა, რომ ბათილად ყოფილიყო ცნობილი სადავო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მხოლოდ ამ პირებს შეეძლოთ მსხვერპლის სტატუსით სარგებლობა, კონვენციის 34-ე მუხლის (ინდივიდუალური საჩივარი) მნიშვნელობით. ზემოაღნიშნულ ექვს მომჩივანთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, ვინაიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ხელისუფლება თავს იკავებდა იმ აუცილებელი ზომების მიღებისგან, რომლებიც უზრუნველყოფდა საბოლოო და სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. შესაბამისად, ეროვნულმა ხელისუფლებამ მომჩივნებს ჩამოართვა ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება. ევროპულმა სასამართლომ საჩივრის დარჩენილი ნაწილი მიუღებლად ცნო იმ საფუძვლით, რომ ის სხვა მომჩივნებსაც ეხებოდა.

სამრეწველო დაბინძურება

კორდელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ

Cordella and Others v. Italy

(საჩივარი №54414/13 და №54265/15; 24/01/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ტარანტოს მუნიციპალიტეტში და მის მახლობლად მცხოვრებ 180 მომჩივანს, რომლებიც ასაჩივრებდნენ მათ ჯანმრთელობასა და ტარანტოს გარემოზე ილვას ფოლადის საწარმოდან მომდინარე ტოქსიკური ნივთიერებების გავლენას. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ არ მიიღო შესაბამისი სამართლებრივი ზომები მათი ჯანმრთელობისა და გარემოს დასაცავად, აგრეთვე სახელმწიფომ მათ არ მიაწოდა ინფორმაცია დაბინძურების და მათ ჯანმრთელობაზე მისი თანმდევი რისკების შესახებ. ისინი ასევე დავობდნენ შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არა-

[7] ქალაქი თურქეთში.

ეფექტურობასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 19 მომჩივანს არ ჰქონია მსხვერპლის სტატუსი, ვინაიდან ისინი არ ცხოვრობდნენ გარემოს დაბინძურების მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ქალაქებში (ტარანტო, კრისპიანო, მასაფრა, მონტემესოლა და სტატე). ზემოაღნიშნულმა მომჩივნებმა ასევე, ვერ შეძლეს იმის დასაბუთება, რომ არსებული სიტუაცია მათზე პირადად ახდენდა გავლენას. სხვა მომჩივნებთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 მუხლები (შიდასამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ გარემოს დაბინძურებამ საფრთხეში ჩააგდო არამხოლოდ მომჩივნები, არამედ მთლიანად რისკის ქვეშ დააყენა არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ხელისუფლებამ არ მიიღო ყველა საჭირო ზომა, მომჩივანთა პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო შიდასამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებში იდავებდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი ტერიტორიების გაწმენდის უზრუნველსაყოფად ვერ შეძლეს საჭირო ზომების გატარება.

გარდა ამისა, კონვენციის 46-ე მუხლზე (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) დაყრდნობით, სასამართლომ განმარტა, რომ იტალიის ხელისუფლებისთვის აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად სათანადო ღონისძიებების განახორციელებაზე მითითება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციას წარმოადგენდა. სასამართლომ ასევე დააზუსტა, რომ საწარმოს და დაბინძურებული რეგიონების დასუფთავება იყო აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ დამტკიცებული გარემოსდაცვითი გეგმა, გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის გასატარებელი ზომებისა და ქმედებების შესახებ, რაც შეიძლება დროულად უნდა განხორციელებულიყო.

საკუთრების დაცვა
(კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)

შპს კრისტიანა ლიეტუვას წინააღმდეგ

Kristiana Ltd. v. Lithuania

(საჩივარი №36184/13; 06/02/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივანი კომპანიის საჩივარს საკუთრების უფლების უკანონო და უსაფუძვლო შეზღუდვის შესახებ, მას შემდეგ, რაც კომპანიამ შეიძინა დაცულ ტერიტორიებზე მდებარე პრივატიზებული, ყოფილი სამხედრო შენობები. კომპანია დავობდა, რომ უარი ეთქვა აღნიშნული უძრავი ქონების გარემონტებისა და აღდგენის შესაძლებლობაზე და მიუხედავად იმისა, რომ შენობები გამზადებული იყო დასანგრევად, მას არ მიუღია არც კომპენსაცია და არც მათი დანგრევის ვადა ყოფილა დადგენილი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ დარღვეულა, ვინაიდან საჯარო ინტერესსა და მომჩივანი კომპანიის საკუთრების უფლებას შორის დაცული იყო სამართლიანი ბალანსი.

სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიას უნდა გაეთვალისწინებინა ორივე შესაძლებლობა, კერძოდ, როგორც უარი დაგეგმარების ნებართვაზე, ასევე შენობების განადგურების მოთხოვნა, რომელსაც ითვალისწინებდა 1994 წლის განვითარების გეგმა და მას შემდეგ უცვლელი რჩებოდა. გარდა ამისა, ლიეტუვას ხელისუფლებას ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და იუნესკოს საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემა. საბოლოოდ, საჯარო სამართლის კონტექსტის გათვალისწინებით, ხელისუფლების ქმედებები პროპორციულად იქნა მიჩნეული. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) არ დარღვეულა.

შპს O'Sullivan McCarthy Mussel Development ირლანდიის წინააღმდეგ

O'Sullivan McCarthy Mussel Development Ltd v. Ireland

(საჩვარი №44460/16; 07/06/2018)

მომჩივანი კომპანია იჭერდა ახალგაზრდა მიდიებს, ამუშავებდა და ჩამოყალიბების შემდგომ ყიდდა მათ; აღნიშნულ პროცესს ორი წელი სჭირდებოდა. წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ ირლანდიის სახელმწიფომ ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვის გზით მას ფინანსური ზარალი მიაყენა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ დარღვეულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარემოს დაცვა და ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შესრულება, ორივე წარმოადგენდა ლეგიტიმურ მიზანს. მომჩივანს, როგორც კომერციულ საწარმოს, უნდა სცოდნოდა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის დაცვის აუცილებლობას შესაძლებელია გავლენა ჰქონოდა მის ბიზნესზე. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ირლანდიის ხელისუფლების ქმედებების შედეგად, კომპანიას არ დაკისრებია გადაჭარბებული ტვირთი და ირლანდიის სახელმწიფომ შეძლო სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების საჯარო ინტერესსა და კერძო პირთა უფლებებს შორის. აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კომპანიის საკუთრების უფლება. მოცემულ საქმეზე სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მუხლი.

დიმიტარ იორდანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ

Dimitar Yordanov v. Bulgaria

(საჩივარი №3401/09; 06/09/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ ახლომდებარე მაღარომ მის საკუთრებას ზიანი მიაყენა. 1980-იანი წლების ბოლოს ან 1990-იანი წლების დასაწყისში (ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის), სახელმწიფომ გადაწყვიტა ქვანახშირის მაღაროს გახსნა სოფელთან ახლოს, სადაც მომჩივანს ჰქონდა მიწის ნაკვეთი. მოხდა რიგი საკუთრების, მათ შორის, მომჩივნის მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაცია. მომჩივანი, კომპენსაციის სახით, ორი წელი უშედეგოდ ელოდა სხვა მიწის ნაკვეთის გადაცემას. აქედან გამომდინარე, მან შეწყვიტა საკუთრების გასხვისების პროცედურა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და დარჩა სახლში, მაშინ როცა მაღარო იწყებდა მუშაობას და თანდათან ფართოვდებოდა. უახლოესი მაღარო მდებარეობდა 160-180

მეტრის მოშორებით მისი სახლიდან, როდესაც ქვანახშირის მოპოვება ხდებოდა აფეთქებების მეშვეობით. მომჩივნის სახლის კედლებზე გაჩნდა ბზარები; დაინგრა მისი ბეღელი და ცხოველთა გალიები. საბოლოოდ, 1997 წელს მან დატოვა აღნიშნული სახლი, რადგან საცხოვრებლად ძალიან საშიში იყო. 2001 წელს, მომჩივანმა სარჩელი შეიტანა სამთო კომპანიის წინააღმდეგ და ითხოვდა მისი საკუთრებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ მოისმინა მოწმეთა ჩვენებები და ასევე, განიხილა საექსპერტო დასკვნები, სადაც დადგენილი იყო, რომ მომჩივნის საკუთრებას მიადგა სერიოზული ზიანი და რომ აფეთქებები უახლოეს მაღაროში ხორციელდებოდა ბუფერული ზონის – 500 მეტრის შიგნით, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით. თუმცა, 2007 წელს, სასამართლოებმა დაადგინეს, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომ მაღაროს სამუშაოებსა და მომჩივნისთვის მიყენებულ ზიანს შორის არსებობდა კავშირი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ მარცხი განიცადა მომჩივნის ქონების გასხვისებასა და მაღაროში სამუშაოების ჩატარების კუთხით, რომელიც სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო იმაზე, რომ მომჩივნის ქონება კვლავ იმყოფებოდა საფრთხის შემცველ გარემოში, სადაც მისი სახლის მახლობლად, ყოველდღიურად მიმდინარეობდა აფეთქებები. არსებული სიტუაცია, რომელმაც აიძულა მომჩივანი უარი ეთქვა საკუთარ სახლზე, წარმოადგენდა სახელმწიფოს ჩარევას მომჩივნის უფლებაში შეუფერხებლად ესარგებლა საკუთრებით. უფრო მეტიც, აფეთქებები, რომლებიც სანიტაციურ ზონებში მიმდინარეობდა, აშკარად არღვევდა ეროვნულ კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, საკუთრების შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში ჩარევა წარმოადგენდა კონვენციის 1-ლი დამატებით ოქმის 1-ლი მუხლის მიზნებში უკანონო ჩარევას. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება). სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები მაღაროში აფეთქებით სამუშაოებსა და მომჩივნის საკუთრებისთვის მიყენებული ზარალის თაობაზე, არ წარმოადგენდა თვითნებურ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს ან მართლმსაჯულების უარყოფას.

იურისტის პროფესიული პრივილეგია

კლიენტსა და ადვოკატს შორის ინფორმაციის გაცვლა

ლორენი საფრანგეთის წინააღმდეგ

Laurent v. France

(საჩივარი №28798/13; 24/05/2018)

წინამდებარე საქმეში მომჩივანმა, რომელიც ადვოკატია, გადასცა გარკვეული დოკუმენტები თავის კლიენტებს, რომლებიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, სასამართლოს დერეფანში პროცესის დაწყებას ელოდებოდნენ. პოლიციის ოფიცერმა მომჩივანს აღნიშნული დოკუმენტების ჩვენება მოთხოვა. წინამდებარე საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ პოლიციის ოფიცრის მხრიდან ჩარევა, როდესაც მან გადასცა კლიენტს დოკუმენტები, წარმოადგენდა მისი მიმოწერის პატივისცემის უფლების დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. მან განაცხადა, რომ მომჩივნის, როგორც ადვოკატისა და მისი კლიენტის მიმოწერაში ჩარევა და ამ დოკუმენტების გახსნა, არ გამომდინარეობდა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან, შესაბამისად, არ იყო საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. სასამართლომ განმარტა, რომ დაკეცილი ფურცელი, რომელზეც ადვოკატის მიერ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის გადასაცემი წერილობითი შეტყობინება ეწერა, დაცული იყო კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მიმოწერის უფლებით. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ ამოღებული დოკუმენტების შინაარსს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მისი მიზნის მიუხედავად, ადვოკატსა და კლიენტს შორის მიმოწერა არის პირადი და კონფიდენციალური ხასიათის. მოცემულ საქმეში მომჩივანმა, ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებში, სადავო ფურცელზე დაწერა შეტყობინება და მიაწოდა კლიენტს. აღნიშნული ხდებოდა პოლიციის ოფიცრის თვალწინ, მომჩივანი არ ცდილობდა ამ ქმედების დამალვას. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ეჭვი უკანონო ქმედების განხორციელების შესახებ, პოლიციის ოფიცრის მხრიდან ჩარევა არ შეიძლება იყოს გამართლებული.

ადვოკატისთვის საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვა და სამართლიანი სასამართლოს უფლება

მ. ნიდერლანდების წინააღმდეგ

M. v. the Netherlands

(საჩივარი №2156/10; 25/07/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ნიდერლანდების საიდუმლო სამსახურის ყოფილ წევრს, რომელსაც ბრალი ედებოდა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში. მას, როგორც აუდიორედაქტორს და თარჯიმანს, უფლებამოსილების ფარგლებში, წვდომა ჰქონდა საიდუმლო ინფორმაციასთან, რომლის გამჟღავნება მკაცრი რეგულაციების თანახმად ეკრძალებოდა. საიდუმლოს შენახვის ვალდებულება მომჩივანს სამსახურის დატოვების შემდეგაც ეკისრებოდა. იგი მსჯავრდებული იქნა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების გამო არაუფლებამოსილი პირებისთვის, მათ შორის, ტერორისტულ დანაშაულში ეჭვმიტანილთათვის. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოება არასამართლიანი იყო. კერ-

ძოდ, იგი დავობდა, რომ ნიდერლანდების საიდუმლო სამსახურმა შეზღუდა მისი და ეროვნული სასამართლოების წვდომა მტკიცებულებებზე და აკონტროლებდა მათ გამოყენებას, რითაც ხელი შეეშალა მას ადვოკატისთვის მითითებების მიცემაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-3 პარაგრაფის „გ" ქვეპუნქტი (დაცვის უფლება მის მიერ არჩეული დამცველის მიერ). სასამართლომ განაცხადა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საშიშროების გამო, მომჩივანმა ვერ შეძლო სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება ადვოკატისთვის, შესაბამისად, მომჩივანსა და ადვოკატს არ ჰქონიათ თავისუფალი და შეუზღუდავი კომუნიკაცია, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა მის წინააღმდეგ სამართალწარმოების სამართლიანობას. მართალია, სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა გავრცელდეს სახელმწიფო საიდუმლოს შენახვის წესები საიდუმლო სამსახურის ყოფილ წევრზე, როდესაც იგი ბრალდებულია სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებისთვის, თუმცა, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მის განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ის, თუ რა გავლენა ჰქონდა მომჩივნის დაცვის უფლებაზე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვას. ამასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფესიული რჩევის გარეშე, სერიოზულ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებში ბრალდებულ პირს არ შეუძლია შეაფასოს ადვოკატისთვის საქმის გარემოებების სრულად გამჟღავნების უპირატესობა, როდესაც ამან შესაძლოა მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება გამოიწვიოს. მოცემულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ბ" და „დ" ქვეპუნქტები (საკუთარი დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის და საშუალებების ქონის უფლება და მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება) არ დარღვეულა.

იურისტის სახლში ან ოფისში ჩხრეკის ჩატარება და ამოღება

ლეოთსაკოსი საბერძნეთის წინააღმდეგ

Leotsakos v. Greece

(საჩივარი №30958/13; 04/10/2018)

წინამდებარე საქმეში გაჩხრიკეს მომჩივნის (რომელიც ადვოკატი იყო) სამსახურებრივი ოფისი. გარდა ამისა, სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა მის წინააღმდეგ პირადად და არა როგორც ადვოკატის წინააღმდეგ, ამოღებულ იქნა გარკვეული ნივთები და დოკუმენტები. მომჩივანი დავობდა მის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის მეთოდებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ პროცედურული ხარვეზები, რომლებიც თან ახლდა მომჩივნის ოფისის ჩხრეკასა და დოკუმენტების ამოღებას, იმგვარი ხასიათის იყო, რომ გამოყენებული ღონისძიება ვერ მიიჩნეოდა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის (დანაშაულის თავიდან აცილების) პროპორციულად, დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის საცხოვრებელი ადგილის პატივისცემის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. გამოძიების მიმდინარეობისას არსებულ სხვა ხარვეზებთან ერთად, მომჩივანი არცერთ ეტაპზე არ ესწრებოდა ჩხრეკას, რომელიც გრძელდებოდა 12 დღის განმავლობაში. სა-

გამოძიებო ორგანოებმა ჩხრეკის შედეგად ადგილიდან ამოიღეს კომპიუტერი და ასობით დოკუმენტები, მათ შორის, ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფ პირთა საქაღალდეები, რომლებზეც ვრცელდებოდა პროფესიული საიდუმლოებების დაცვის ვალდებულება. ზემოაღნიშნულ ჩხრეკას ესწრებოდა მომჩივნის მეზობელი, როგორც დამოუკიდებელი მოწმე, თუმცა მისი დასწრება არ წარმოადგენდა საკმარის გარანტიას, რადგან არ გააჩნდა სამართლებრივი განათლება და შესაბამისად, მას არ შეეძლო კლიენტებთან დაკავშირებული დოკუმენტების ამოცნობა.

მონობა და იძულებითი შრომა

ტრეფიკინგი ან/და იძულებითი პროსტიტუცია

სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას მსხვერპლები

ჯ. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ

J. and Others v. Austria

(საჩივარი №58216/12; 17/01/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა პირთა ტრეფიკინგთან დაკავშირებით ავსტრიის ხელისუფლების გამოძიებას. მომჩივნები, ფილიპინების ორი მოქალაქე, რომლებიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მოახლეებად სამუშაოდ ჩავიდნენ, ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ დამსაქმებლებმა ჩამოართვეს პასპორტები და მოახდინეს მათი ექსპლუატაცია. ისინი აცხადებდნენ, რომ ზემოაღნიშნული გრძელდებოდა ვენაში ყოფნის მცირე დროის განმავლობაში, სადაც დამსაქმებლებმა წაიყვანეს და საიდანაც მათ მოახერხეს გაქცევა. მოგვიანებით, მომჩივნებმა მიმართეს ავსტრიის პოლიციას და დამსაქმებლების წინააღმდეგ შეიტანეს სისხლისსამართლებრივი საჩივარი, რაზეც ავსტრიის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მათი იურისდიქციის ფარგლებში არ ექცეოდა საზღვარგარეთ, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები და გადაწყვიტეს შეეწყვიტათ გამოძიება მომჩივანთა საქმეზე. მომჩივნები ევროპული სასამართლოს წინაშე აცხადებდნენ, რომ იყვნენ ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის მსხვერპლები და ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეფექტური და ამომწურავი გამოძიების ჩატარება მათ მიერ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით. კერძოდ, მომჩივნები დავობდნენ, რომ ავსტრიაში განვითარებული მოვლენები, რომლებიც განუხილველი დარჩა ხელისუფლების მხრიდან – არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც ცალკე განსახილველი საკითხი, არამედ წარმოადგენს მთლიანობაში, მათ მიმართ მოპყრობის შემადგენელ ნაწილს. ასევე, ავსტრიის ხელისუფლებას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, გააჩნდა ვალდებულება გამოეძიებინა ის ქმედებებიც, რომლებიც ჩადენილი იყო საზღვარგარეთ.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ შეასრულა საკუთარი ვალდებულება დაეცვა მომჩივნები, როგორც ტრეფიკინგის (პოტენციური) მსხვერპლები და დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-4 მუხლი (იძულებითი შრომის აკრძალვა), ასევე არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებას არ ჰქონია კონვენციით ნაკისრი ვალდებულება, რომ გამოეძიებინა მომჩივანთა რეკრუტირება ფილიპინებში ან მათი სავარაუდო ექსპლუატაცია არაბთა გაერთიანებულ ემირატებში. კონვენციის მე-4 მუხლი სახელმწიფოებს არ ავალდებულებს იმოქმედონ უნივერსალური იურისდიქციის ფარგლებში საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. ავსტრიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ გადადგა ყველა შესაძლო ნაბიჯი, რომელიც მოსალოდნელი იყო ასეთ სიტუაციაში. მომჩივნები, რომლებსაც წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, დაკითხეს სპეციალიზებულმა პოლიციის თანამშრომლებმა, ასევე მიენიჭათ ბინადრობის და მუშაობის უფლება იმისათვის, რომ რეგულირებული ყოფილიყო მათი ავსტრიაში ყოფნა და მათივე დაცვის მიზნით აიკრძალა პერსონალური მონაცემების გამჟღავნება. გარდა ამისა, მომჩივანთა ვენაში ყოფნის პერიოდთან დაკავშირებით, მათ ბრალდებებ-

ზე გამოძიება ჩატარდა შესაბამისად, ხელისუფლების შეფასება, არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, იყო გონივრული. მოცემულ საქმეში, ნებისმიერი შემდგომი ნაბიჯი, როგორიცაა მომჩივანთა დამსაქმებლებთან შეპირისპირება, იქნებოდა უშედეგო, რადგან ავსტრიასა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებს შორის არ არსებობდა შეთანხმება საერთო იურიდიული ხელშეწყობის გაწევაზე. აგრეთვე, მომჩივნებმა სადავო ქმედებებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიმართეს პოლიციას, მაშინ როცა მათი დამსაქმებლები არ იმყოფებოდნენ ავსტრიაში.

ჩოუდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

Chowdury and Others v. Greece

(საჩივარი №21884/15; 30/03/2017)

მომჩივნები – ბანგლადეშის 42 მოქალაქე – რეკრუტირებულნი იყვნენ ათენში და საბერძნეთის სხვა ნაწილებში, 2012 წლის ბოლოდან 2013 წლის დასაწყისის პერიოდში. ისინი საბერძნეთში მუშაობის უფლების გარეშე მუშაობდნენ მარწყვის ფერმაში, რომელიც მდებარეობდა მანოლადაში. დამსაქმებლებმა მომჩივნებს არ გადაუხადეს კუთვნილი ანაზღაურება და აიძულებდნენ ემუშავათ რთულ ფიზიკურ პირობებში, შეიარაღებული დაცვის მეთვალყურეობით. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ იძულებით შრომას. მოგვიანებით მათ განაცხადეს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება იყო დაეცვა ისინი ტრეფიკინგისგან, მიეღო შესაბამისი ზომები და დაესაჯა მათი დამსაქმებლები.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფი (იძულებითი შრომის აკრძალვა). სასამართლომ განაცხადა, რომ საბერძნეთის სახელმწიფომ არ უზრუნველყო მომჩივნები ეფექტური დაცვის საშუალებებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნები გახდნენ ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის მსხვერპლნი და განმარტა, რომ შრომითი ექსპლუატაცია წარმოადგენდა ტრეფიკინგის ერთ-ერთ ასპექტს. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება თავიდან აეცილებინა ტრეფიკინგის შემთხვევები, დაეცვა მსხვერპლები, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება და დაესაჯა ტრეფიკინგის ფაქტზე პასუხისმგებელი პირები.

S.M ხორვატიის წინააღმდეგ

S.M. v. Croatia

(საჩივარი №60561/14; 19/07/2018)

2018 წლის დეკემბერში საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას

წინამდებარე საქმეში ქალბატონი, ხორვატიის მოქალაქე, დავობდა მის პროსტიტუციაში ჩაბმასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ სათანადოდ არ განიხილა მისი სარჩელი და, რომ ხორვატიაში არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა ამგვარი სიტუაციების დარეგულირება.

2018 წლის 19 ივლისს, ევროპის სასამართლოს პალატამ ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი. პალატამ განაცხადა, რომ მე-4 მუხ-

ლი შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთ საქმეებზე როგორიც მომჩივნის შემთხვევაა, რომელიც ეხება პირის ტრეფიკინგში ჩაბმასა და ქალთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმეში არ გვხვდება საერთაშორისო ინდიკატორი. პალატამ აგრეთვე დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიაში არსებობდა ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩო პირთა ტრეფიკინგში ჩართვასა და პროსტიტუციის იძულებასთან დაკავშირებით, მაინც იყო გარკვეული ნაკლოვანებები ხელისუფების მხრიდან მომჩივნის საქმის გამოძიებისას. კერძოდ, დაკითხული არ იქნა ყველა შესაძლო მოწმე და იმ დასკვნის გამოტანისას, რომ მომჩივანი ნებაყოფლობით ეწეოდა სექსუალურ მომსახურებას, გათვალისწინებული არ იყო საერთაშორისო სამართალი ტრეფიკინგთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მომჩივნის თანხმობა შეუსაბამო იყო.

2018 წლის 3 დეკემბერს, საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა

ადიანი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ

Adyan and Others v. Armenia

(საჩივარი №75604/11; 12/10/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა იეჰოვას ოთხ მოწმეს, რომლებიც 2011 წელს დამნაშავედ ცნეს რელიგიური მრწამსის საფუძველზე, სამხედრო ან ალტერნატიულ საზოგადოებრივ სამუშაოზე უარის თქმის გამო. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სასამართლოს წინაშე ისინი ამტკიცებდნენ, რომ თუმცა ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა სამხედრო სამსახურის ალტერნატივას, ის არ იყო ბუნებით ჭემარიტი საზოგადოებრივი სამუშაო, რამდენადაც იგი კონტროლდებოდა სამხედრო ხელისუფლებისგან. საერთო ამნისტიის შედეგად, ისინი ციხიდან 2013 წელს გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც სასჯელს ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იხდიდნენ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა. სასამართლომ განაცხადა, რომ სომხეთის ხელისუფლებამ დროულად ვერ შეძლო შესაბამისი შემწეობის გაწევა მომჩივანთა სინდისისა და რწმენისთვის და ვერ უზრუნველყო ალტერნატიული სამსახურის სისტემა, რომელიც დაამყარებდა სამართლიან ბალანს საზოგადოებისა და მომჩივნთა ინტერესებს შორის. სასამართლომ დაადგინა, რომ ალტერნატიული საზოგადოებრივი სამუშაოს სისტემაში აღმოჩნდა ორი ძირითადი ხარვეზი. პირველი, იგი არ იყო საკმარისად განცალკევებული სამხედრო სისტემისგან, სამხედროები ზედამხედველობდნენ სამოქალაქო ინსტიტუციებს, რეგულარულად ატარებდნენ შემოწმებას, გასცემდნენ ბრძანებებს გადარიცხვების და დავალებების გაცემის შესახებ. გარდა ამისა, გარკვეულ ორგანიზაციულ ასპექტებში გამოიყენებოდა შეიარაღებული ძალების სამსახურის შიდა რეგულაციები. რაც შეეხება გარეგნობას, პირები, რომლებიც იხდიდნენ ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურს, ვალდებულნი იყვნენ ეტარებინათ უნიფორმა და ასევე, ბუკლეტის ყდაზე ჰქონდათ შემდეგი წარწერა: „სომხეთის შეიარაღებული ძალები“.

რაც შეეხება მეორე ხარვეზს, პროგრამა იყო მნიშვნელონად ხანგრძლივი (42 თვე, ნაცვლად 24 თვისა, რომელიც სავალდებული იყო სამხედრო სამსახურისთვის), რომელსაც უნდა ჰქონოდა შემაკავებელი, თუნდაც სადამსჯელო ეფექტი. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მომჩივნებს შეეძლოთ მოეთხოვათ თავიანთი ბრალდების გაუქმება, იმ დროისთვის მათ უკვე სასჯელის თითქმის ორი წელი ჰქონდათ მოხდილი.

მაშფიგ მამადოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ

Mushfig Mammadov and Others v. Azerbaijan

(საჩივარი №14604/08 და 3 სხვა; 17/10.2019)[8]

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნების მიერ ჯარში მსახურებაზე უარს რელიგიის გამო.

[8] წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში (საბოლოო გადაწყვეტილებები) აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, მიიჩნია რა, რომ მომჩივანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება და მათი მსჯავრდება სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო, გამომდინარეობდა იქედან, რომ არ არსებობდა ალტერნატიული სამხედრო სამსახურის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდებს შეეძლებოდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებით სარგებლობა. მომჩივანთა მსჯავრდება ამ საფუძვლით წარმოადგენდა ჩარევას, რომელიც არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) მიხედვით, სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ საქმეში ხაზგასმული იყო საკითხი, რომელიც ეხებოდა აზერბაიჯანის კანონმდებლობაში ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ ჩანაწერის არარსებობას. ასეთი კანონის ამოქმედება შეესაბამებოდა აზერბაიჯანის მიერ ევროპის საბჭოში შესვლის შედეგად ნაკისრ ვალდებულებას და ასევე, გათვალისწინებული იყო ქვეყნის კონსტიტუციით.

მიგრანტთა პატიმრობა

თავისუფლების აღკვეთა/გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა

ჯ.რ და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

J.R and Others v. Greece

(საჩივარი №22696/16; 25/01/2018)

დაკავების პირობებთან დაკავშირებით

წინამდებარე საქმე ეხებოდა ავღანეთის სამი მოქალაქის დაკავების პირობებს, ვიალის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, რომელიც მდებარეობს საბერძნეთში, ქიოსის კუნძულზე და აგრეთვე, იმ გარემოებებს, რომელშიც ისინი დააკავეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა) დარღვევა არ დაადგინა. მან განაცხადა, რომ წინამდებარე საქმეზე მომჩივანთა დაკავების პირობებს არ მიუღწევია სისასტიკის მინიმალური ზღვრისთვის, რაც აუცილებელი იყო, რათა ის დაკვალიფიცირებულიყო არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ფაქტებს ადგილი ჰქონდა იმ დროს, როდესაც საბერძნეთში მკვეთრად გაიზარდა მიგრაციული ნაკადები, რამაც გამოიწვია ორგანიზაციული, ლოჯისტიკური და სტრუქტურული პრობლემები. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის აბსოლუტური ბუნების გათვალისწინებით, მიგრანტების ნაკადის ზრდის გამო, ხელისუფლება ვერ გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან – ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირი უზრუნველყოს ისეთი პირობებით, რომლებიც არ ლახავს ადამიანის ღირსებას. მოცემულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მოინახულა თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი, რომლებმაც დაადასტურეს მომჩივანთა ზოგიერთი ბრალდება არსებული ზოგადი მდგომარეობის თაობაზე. მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) არ იყო განსაკუთრებულად კრიტიკული ცენტრში არსებულ პირობებთან, კერძოდ, იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ეხებოდა მომჩივანთა მდგომარეობასაც. მისი კრიტიკა ძირითადად, უკავშირდებოდა სამედიცინო მომსახურების, ადეკვატური ინფორმაციისა და იურიდიული დახმარების არარსებობას აგრეთვე, სასმელი წყლისა და საკვების დაბალ ხარისხს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული პრობლემები არ იყო იმ სიმძიმის, რომ ზეგავლენა მოეხდინა მომჩივნებზე კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანთა დაკავება იყო მოკლევადიანი, კერძოდ, ოცდაათდღიანი.

თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით

მომჩივნები ასაჩივრებდნენ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მათი დაკავების ხანგრძლივობას, აგრეთვე ისინი მიიჩნევდნენ, რომ მათი დაკავება თვითნებური იყო. ისინი ასევე დავობდნენ, რომ მათ არ მიუღიათ ინფორმაცია დაკავების საფუძვლებთან დაკავშირებით, არც მათ მშობლიურ და არც რაიმე სხვა ენაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) არ დარღვეულა.

სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნებს თავისუფლება შეზღუდული ჰქონდათ ცენტრში ყოფნის პირველ თვეს, 2016 წლის 21 აპრილამდე, სანამ აღნიშნული ცენტრი არ გახდა ნახევრად ღია დაწესებულება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთი თვის განმავლობაში მომჩივანთა დაკავება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროკავშირი-თურქეთის მიგრანტთა შეთანხმების საფუძველზე მათი ქვეყნიდან გაყვანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, არ იყო თვითნებური და „უკანონო" მე-5 მუხლის 1-ლი (f) პარაგრაფის ფარგლებში. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფი (დაკავებული პირის უფლება, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება), რადგან მომჩივნები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები მათი დაკავების საფუძვლების შესახებ ან იმ საშუალებების თაობაზე, რითაც შესაძლებელი იყო აღნიშნული დაკავების გასაჩივრება.

ს.კ. რუსეთის წინააღმდეგ

S.K. v. Russia

(საჩივარი №52722/15; 14/02/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, მომჩივნის, სირიის მოქალაქის დაკავებისა და თავის სამშობლოში გაძევების თაობაზე. მომჩივანი დავობდა, რომ დაკავება თვითნებური იყო, ვინაიდან არ არსებობდა მისი სირიაში გაძევების საფუძვლები და ასევე არ იყო ხელმისაწვდომი ეროვნული პროცედურა, რომლის მეშვეობითაც დაკავების გადასინჯვის საშუალება მიეცემოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი (პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს), როდესაც მომჩივანი დააკავეს დეპორტაციის მიზნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და არც სხვა მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პროცედურას, რომელიც მომჩივანს საშუალებას მისცემდა გადასინჯულიყო მისი დაკავების კანონიერება და გაეთავისუფლებინათ იგი. ასევე არ არსებობდა რაიმე დებულება, რომლის მიხედვითაც რეგულარულად მოხდებოდა მომჩივნის საქმის ავტომატური გადასინჯვა. სასამართლომ მოგვიანებით განაცხადა, რომ გაძევების მიზნით პირის დაკავება, იმ შემთხვევაში იყო თავსებადი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან, თუ გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურა მიმდინარე იყო და ეს პროცედურა მიმდინარეობდა კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით; ასევე თუ დაკავება იყო კანონიერი და არა თვითნებური. წინამდებარე საქმეში, 2015 წლის თებერვალსა და მარტში, რუსეთის ხელისუფლებისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მომჩივნის გაძევება სირიაში შეუძლებელი იყო, ამასთან, სირიაში არსებული კონფლიქტის გაუარესების გათვალისწინებით, ნაკლებსავარაუდო იყო, რომ მდგომარეობა შეიცვლებოდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებს უნდა განეხილათ ალტერნატიული ზომები. თუმცა, მას შემდეგ, რაც გაიცა ბრძანება მომჩივნის უცხოელთათვის განკუთვნილ სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსებაზე, მისი დაკავების კანონიერება არ იქნა ხელახლა განხილული. საბოლოოდ, კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) მიხედვით, სასამართლომ მე-5 მუხლთან დაკავშირებით მისი დასკვნების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა მომჩივნის დაუყოვნებლივი გა-

თავისუფლება, არაუგვიანეს, საბოლოო გადაწყვეტილების ოფიციალურად გამოქვეყნების მომდევნო დღისა.

კ.გ ბელგიის წინააღმდეგ

K.G v. Belgium

(საჩივარი №52548/15; 06/11/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა თავშესაფრის მაძიებელს, რომელიც დააკავეს ოთხი გადაწყვეტილების საფუძველზე, უსაფრთხოების დაცვის მიზნებისათვის, მაშინ როცა მისი განცხადება თავშესაფრის მიღების თაობაზე განხილვის პროცესში იყო. მომჩივანი თითქმის 13 თვის განმავლობაში იყო დაკავებული, იმ საფუძვლით, რომ „გადაცემულ იქნა ხელისუფლების განკარგულებაში".

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) არ დარღვეულა. სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო ინტერესმა დიდი გავლენა მოახდინა მომჩივნის დაკავების საკითხზე და ამასთან, განაცხადა, რომ ეროვნული ხელისუფლების შეფასებებში არ იკვეთებოდა თვითნებობის ნიშნები. სასამართლომ გამოარკვია, რომ მომჩივნის ჯანმრთელობა არ იყო საფრთხის ქვეშ და მის მიმართ იჩენდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას ორივე თავშესაფარში, სადაც ის იყო დაკავებული. ასევე, სადავო საკითხთა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიჩინა განსაკუთრებული გულისხმიერება, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის „ხელისუფლების განკარგულებაში ყოფნის" ხანგრძლივობა არ შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებულად.

ზ.ა. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

Z.A. and Others v. Russia

(საჩივრები №61411/15; №61420/15; №61427/15 და №3028/16; 28/03/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ოთხ მომჩივან პირს ერაყიდან, პალესტინიდან, სომალიდან და სირიიდან, რომლებიც მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტის გავლით მგზავრობდნენ და მათ უარი ეთქვათ რუსეთში შესვლაზე. სამი მომჩივანი ხუთიდან რვა თვემდე აეროპორტის სატრანზიტო ზონაში ჰყავდათ გაჩერებული; ხოლო სომალელი მომჩივანი სატრანზიტო ზონაში თითქმის ორი წელი იმყოფებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანთა დაკავება სატრანზიტო ზონაზე, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას და ამისთვის არ არსებობდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნები ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაპატიმრებულნი იყვნენ არასათანადო პირობებში, რამაც შელახა მომჩივანთა ღირსება და თავი დამცირებულად და შურაცხყოფილად აგრძნობინა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მიხედვით.

2017 წლის 18 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დააკმაყოფილა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნა, რომ საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაცემოდა.

2018 წლის 18 აპრილს, დიდმა პალატამ აღნიშნულ საქმეზე ზეპირი მოსმენა გამართა.

ა.ე. და თ.ბ. იტალიის წინააღმდეგ და სხვა საჩივრები

A.E. and T.B. v. Italy and other applications

(საჩივრები №18911/17, №18941/17 და №18959/17; 24/11/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ოთხი სუდანელი მოქალაქის დაპატიმრებას ვენტიმიგლიაში, რომლებიც შემდგომ გადაიყვანეს ტარანტოში, მოგვიანებით კი ტურინში, რათა გამგზავრებულიყვნენ თვითმფრინავით სუდანში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმე კომუნიცირებული იქნა, ხოლო კითხვები, რომლებიც მხარეებს დაუსვა, ეხებოდა კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 მუხლებს (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) ასევე მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პარაგრაფებს.

კააკი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

Kaak and Others v. Greece

(საჩივარი №34215/16; 07/09/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა 51 სრულწლოვანს, ახალგაზრდას და ბავშვებს სირიიდან და ავღანეთიდან, რომლებიც შევიდნენ საბერძნეთში 2016 წლის 20 მარტიდან 15 აპრილის პერიოდში. ისინი დავობდნენ, რომ მათი დაკავება უკანონო იყო; მომჩივნები აგრეთვე ასაჩივრებენ, ქიოსის კუნძულზე მდებარე ვიალის და სოუდას ტერიტორიაზე მათი დაკავების პირობებს.

ევროპული სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმე კომუნიცირებული იქნა, ხოლო კითხვები რომლებიც დაუსვა მხარეებს ეხებოდა კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-5 მუხლებს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

დაკავების კანონიერება

ო.ს.ა. და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

O.S.A. and Others v. Greece

(საჩივარი №39065/16; 21/03/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა, მომჩივან ავღანეთის მოქალაქეების დაკავების პირობებს, ქიოსის კუნძულზე მდებარე ვიალის თავშესაფარში; ასევე მათი დაკავების უკანონობას, ეროვნული სასამართლოების შეფასებას აღნიშნულ საქმეზე და ინფორმაციას, რომელიც მომჩივნებს მიეწოდათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენცი-

ის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი (პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყონებლივ განიხილავს მისი დაკავების კანონიერების საკითხს). კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, მომჩივნებს არ ჰქონიათ წვდომა იმ საშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლებდნენ გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება გაძევების და დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ მომჩივნებს მხოლოდ სპარსული ენა ესმოდათ და არ ჰყოლიათ ადვოკატები, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ. ხელისუფლების მიერ მიწოდებული დოკუმენტები იყო ბერძნულ ენაზე, სადაც არ იყო მითითებული, თუ რომელი ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში შედიოდა მათი შემთხვევა. J.R. and Others v. Greece[9] საქმის მსგავსად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანთა დაკავება იყო კანონიერი და სახეზე არ ყოფილა სისასტიკის ის ზღვარი, რომელიც შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

ილიას და აჰმედი უნგრეთის წინააღმდეგ

Ilias and Ahmed v. Hungary

(საჩივარი №47287/15; 14/03/2017)

2017 წლის სექტემბერში საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა

თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით

წინამდებარე საქმე ეხებოდა საზღვარზე ორი ბანგლადეშელი თავშესაფრის მაძიებელი პირის დაკავებას 23 დღით და ასევე, მათ გაყვანას უნგრეთიდან სერბეთში. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ სატრანზიტო ზონაში გატარებული 23 დღე წარმოადგენდა მათი თავისუფლების შელახვას, რომელსაც არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძვლები და ვერ გამოსწორდებოდა შესაბამისი სასამართლო განხილვის შედეგად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით, ერთხმად დაადგინა, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-4 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა; განაცხადა, რომ მომჩივანთა დაკავება როსკის სასაზღვრო ზონაში ნიშნავდა, რომ მათ ფაქტობრივად თავისუფლება აღეკვეთათ ყოველგარი ფორმალური, დასაბუთებული გადაწყვეტილებისა და შესაბამისი სასამართლო განხილვის გარეშე.

2017 წლის 18 სექტემბერს, დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა უნგრეთის ხელისუფლების მოთხოვნა, რომ საქმე გადაცემოდა დიდ პალატას.

2018 წლის 18 აპრილს, დიდმა პალატამ განიხილა აღნიშნული საქმე.

დაკავების პირობებთან დაკავშირებით

მომჩივნები დავობდნენ, რომ სატრანზიტო ზონაში მათი არასათანადო პირობებში ხანგრძლივი დაკავება, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი განიცდიდნენ პოსტტრავმულ სტრესს, წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მომჩივანთა დაკავების პირობები იყო დამაკმაყოფილებელი. ამასთანავე, პა-

[9] J.R. and Others v. Greece, N22696/16, 25 იანვარი 2018.

ლატამ მხედველობაში მიიღო ფსიქიატრთა დასკვნები, რომელთა მიხედვითაც მომჩივნები განიცდიდნენ პოსტტრავმულ სტრესს. ამის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ისინი იმ დროისათვის, სხვა თავშესაფრის მაძიებლებთან შედარებით, არ იყვნენ მეტად მოწყვლადი პირები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე, დაკავების მოკლევადიანი პერიოდის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ პირობებს, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ, არ მიუღწევია სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რომელიც აუცილებელია არაადამიანური მოპყრობის დასაკვალიფიცირებლად კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი. თუმცა, პალატამ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება), ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის გამო, რომელთა მეშვეობითაც მომჩივნებს ექნებოდათ მათი დაკავების პირობების გასაჩივრების საშუალება.

2017 წლის 18 სექტემბერს, დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა უნგრეთის ხელისუფლების მოთხოვნა, რომ საქმე განსახილველად გადაცემოდა დიდ პალატას.

პატიმართა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები

სამედიცინო დახმარების გაწევა ფიზიკური ტრავმის მქონე პატიმრებისთვის

დორნეანუ რუმინეთის წინააღმდეგ

Dorneanu v. Romania

(საჩივარი №55089/13; 28/11/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის, რომელიც დაავადებული იყო მეტასტაზური პროსტატის კიბოთი, საცხოვრებელ პირობებს ციხეში და მასზე მზრუნველობის ხარისხს. მომჩივანი დავობდა, რომ საავადმყოფოში ხანგრძლივი წოლითი რეჟიმის დროს იგი დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას და რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით არ შეიძლებოდა მისი პატიმრობაში ყოფნა. პატიმრობიდან რვა თვეში იგი გარდაიცვალა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის მიმართ რუმინეთის სახელმწიფოს ქცევა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დებულებებს. მომჩივანი სახელმწიფოს მხრიდან დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას, მაშინ როცა უკურნებელი სენით იყო დაავადებული. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ არ გაითვალისწინა მომჩივნის მდგომარეობა და არ გამოიკვლია შეიძლებოდა თუ არა მისი პატიმრობაში დარჩენა. შესაბამისად, ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებებმა აჩვენა, რომ გამოყენებული ზომებით პრიორიტეტი მიენიჭა ფორმალურ მხარეებს და არა ჰუმანიტარულ მსჯელობას, რითაც მომაკვდავ მომჩივანს ხელი შეეშალა უკანასკნელი დღეები ღირსეულად გაეტარებინა.

კვების რეჟიმის დაცვა პატიმრობის დროს

ებედინ აბი თურქეთის წინააღმდეგ

Ebedin Abi v. Turkey

(საჩივარი №10839/09; 13/03/2018)

მომჩივანი, რომელიც დაავადებული იყო დიაბეტის ორი სახეობით და ასევე, ჰქონდა კორონარული არტერიული დაავადება, ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდა პატიმრობის პერიოდში მისთვის დადგენილი კვების რეჟიმის შეუსრულებლობას. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ მას სახელმწიფო არ უზრუნველყოფდა იმ საკვებით, რომლებიც დიეტის ფარგლებში, ექიმმა გამოუწერა და, რომ აღნიშნულის შედეგად, საბოლოოდ, გაუარესდა მისი ჯანმრთელობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). სასამართლომ განაცხადა, რომ თურქეთის სახელმწიფომ არ მიიღო აუცილებელი ზომები მომჩივნის ჯანმრთელობის დასაცავად. კერძოდ, მან ვერ უზრუნველყო, რომ პატიმრობის პირობები ყო-

ფილიყო ადეკვატური და ადამიანური ღირსების შესაბამისი. მომჩივნის ჯანმრთელობის სადავო გაუარესებასთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ, ექიმების მიერ დანიშნული კვებითი რეჟიმის შეუსრულებლობამ გამოიწვია, სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანმა მიმართა ყველა შესაძლო საშუალებას, რათა ეროვნული სასამართლოებისთვის მიემართა. მომჩივანი ეროვნული სასამართლოების წინაშე აცხადებდა, რომ პატიმრობის დროს მიწოდებული საკვები არ შეესაბამებოდა მის დიეტას და შესაბამისად, მისი ჯანმრთელობის გაუარესება სავარაუდოდ, უკავშირდებოდა ამ ფაქტს. ეროვნულ ხელისუფლებას არ ჰქონია ადეკვატური რეაგირება მომჩივნის განმეორებით მოთხოვნებზე. გარდა ამისა, იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრობაში მყოფი პირები ვერ იღებდნენ ისეთ სამედიცინო დახმარებას და იმ საავადმყოფოში, რომელსაც შესაბამისად თვლიდნენ და თავად აირჩევდნენ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ ხელისუფლებას უნდა გამოეყო სპეციალისტი, რომელიც შეისწავლიდა ციხეში არსებულ სტანდარტულ მენიუს და ამავდროულად, მომჩივნისთვის ჩაეტარებინა სამედიცინო გამოკვლევა იმავე პერიოდში, როდესაც მან წარადგინა საჩივარი. ხელისუფლებას არ უმსჯელია, იყო თუ არა მომჩივნისთვის მიწოდებული საკვები მისთვის შესაფერისი ან ჰქონდა თუ არა უარყოფითი გავლენა იმ ფაქტს, რომ მან ვერ უზრუნველყო მომჩივნისთვის განკუთვნილი კვების რეჟიმის შესრულება.

ნარკოდამოკიდებულ პატიმართა მკურნალობა

პატსაკი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

Patsaki and Others v. Greece

(საჩივარი №20444/14; 07/02/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ნარკოდამოკიდებული პირის ციხეში გარდაცვალებას. მომჩივნები, გარდაცვლილი პირის ოჯახის რვა წევრი, (მისი ცოლი, ქალიშვილი, დედა, მამა და ოთხი ძმა) ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ საბერძნეთის სახელმწიფომ ვერ შეასრულა დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაეცვა მათი ნათესავის სიცოცხლე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, კერძოდ, გარდაცვლილის მამისა და ორი ძმის საჩივრის ნაწილი, მიუღებლად ცნო, რადგან მათ არ წარუდგენიათ ოფიციალური საჩივარი (რომელიც ეხებოდა მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფოს მხრიდან, სამოქალაქო კოდექსის შესავალ ნაწილზე დაყრდნობით). რაც შეეხება დანარჩენი ხუთი მომჩივნის საჩივრის გარემოებებს, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი (სიცოცხლის უფლება). ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლო გამოძიების ხანგრძლივობით (ოთხი წელი და რვა თვე) დაირღვა ეფექტური გამოძიებისათვის საჭირო გულმოდგინებისა და სისწრაფის მოთხოვნები. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ხელისუფლებამ პატიმრის გარდაცვალების გარემოებები არ გამოიკვლია გულდასმით და არ უზრუნველყო საქმეზე ეფექტური გამოძიება. საბოლოოდ, დადგინდა, რომ მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ განაცხადა, რომ გარდაცვალების გარემოებები ნათლად არ მიუთითებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე.

რუმანი ბელგიის წინააღმდეგ

Rooman v. Belgium

(საჩივარი №18052/11; 31/01/2019)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებული პირისთვის ფსიქიატრიული მკურნალობის გაწევის საკითხს, როდესაც აღნიშნული პირს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი იმ საფუძვლით, რომ საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მომჩივანი დავობდა, რომ მას არ მიუღია მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესაფერისი ფსიქიატრიული მკურნალობა. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ მკურნალობის ნაკლებობა მას ართმევდა ჯანმრთელობის გაუმჯობესების პერსპექტივას და აქედან გამომდინარე, ის უკანონოდ იყო დაკავებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განაცხადა, რომ 2004 წლის დასაწყისიდან 2017 წლის აგვისტომდე ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), ხოლო 2017 წლის აგვისტოდან ზემოხსენებული მუხლი არ დარღვეულა. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ მომჩივნის სათანადო მკურნალობას 2004 წლის დასაწყისიდან 2017 წლის აგვისტომდე და დაახლოებით, ცამეტი წლის განმავლობაში მისი განგრძობითი პატიმრობა, ცვლილების რეალური იმედისა და შესაბამისი მკურნალობის გარეშე, მომჩივანში იწვევდა შფოთვასა და ტანჯვას ისეთი ინტენსივობით, რომელიც აღემატებოდა პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს. ამის საპირისპიროდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 2017 წლიდან ხელისუფლებამ გამოხატა მზადყოფნა, გამოესწორებინა მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაბამისი ღონისძიებების გატარების გზით. ამდენად ამ პერიოდში ვერ იქნა მიღწეული კონვენციის მე-3 მუხლით მოთხოვნილი სისასტიკის მინიმალური ზღვარი და შესაბამისად, დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დიდმა პალატამ ასევე დაადგინა, რომ 2004 წლის დასაწყისიდან 2017 წლის აგვისტომდე დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), ხოლო 2017 წლის აგვისტოდან ეს დარღვევა აღარ ფიქსირდებოდა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ გადაწყვიტა განევრცო პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები და განემარტა ხელისუფლების მხრიდან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პირთათვის მკურნალობის გაწევის ვალდებულების მნიშვნელობა, აუცილებელი იზოლაციის ქვეშ დაკავებულ პირთა მკურნალობის ვალდებულების მნიშვნელობა, სასამართლომ განაცხადა, რომ 2004 წლის დასაწყისიდან 2017 წლის აგვისტომდე პერიოდში მომჩივანი არ იყო მოთავსებული შესაბამის დაწესებულებაში, რომელიც შეძლებდა მისთვის მკურნალობის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც გათვალისწინებულია 5 § 1 მუხლით. ამის საპირისპიროდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გამოიტანეს სათანადო დასკვნები 2017 წლის 18 ივლისს [ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს] პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან და მომჩივანი უზრუნველყვეს თანმიმდევრული მკურნალობით, რის შედეგადაც იკვეთება, რომ 2017 წლის აგვისტოდან კონვენციის მე-3 დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

პერსონალური მონაცემები

ინფორმაცია დნმ-ის შესახებ და თითის ანაბეჭდები

ბენ ფაიზა საფრანგეთის წინააღმდეგ

Ben Faiza v. France

(საჩივარი №31446/12; 08/02/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სისხლისსამართლებრივი გამოძიების დროს, ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულში მონაწილეობისათვის, მომჩივნის წინააღმდეგ საზედამხედველო ზომების გამოყენებას. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ აღნიშნული ზომები – გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მაიდენტიფიცირებელი მოწყობილობის დამონტაჟება ავტომობილზე და ასევე სასამართლო ბრძანება, რომ მობილურ ოპერატორს მიეწოდებინა მისი სატელეფონო საუბრის, შემომავალი და გამავალი ზარების ჩანაწერები, მათ შორის, სატელეფონო ხაზების საშუალებით ინფორმაცია მისი ადგილმდებარეობის შესახებ – წარმოადგენდნენ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 3 ივნისს, ჯიპიეს ნავიგატორის საშუალებით მომჩივნის ავტომანქანის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ იმ დროისთვის საფრანგეთის კანონმდებლობა (არც ნორმატიული კანონმდებლობა და არც სასამართლო პრაქტიკა) ცალსახად არ ადგენდა, თუ რა მოცულობით და რა საშუალებებით შეეძლო ხელისუფლებას გამოეყენებინა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, მომჩივანმა ვერ ისარგებლა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობით გარანტირებული მინიმალური დაცვით. ამის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოგვიანებით, საფრანგეთმა შეიმუშავა საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც არეგულირებდა ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების გამოყენებას და აძლიერებდა კონფიდენციალურობის დაცვის უფლებას (2014 წლის 28 მარტის კანონი). ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონცენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა 2009 წლის 24 ივლისს, სასამართლოს მიერ მობილური ოპერატორის მიმართ გაცემულ ბრძანებასთან დაკავშირებით, რათა ამ უკანასკნელს მომჩივნის ტელეფონის მეშვეობით მოეპოვებინა ინფორმაცია მისი გადაადგილების შესახებ. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა რომ ეროვნული სასამართლოს ბრძანება წარმოადგენდა მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას, თუმცა, იგი კანონით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ბრძანება მიზნად ისახავდა, დაედგინა სიმართლე, სისხლის სამართლის სამართალწარმოების კონტექსტში, ორგანიზებულ დაჯგუფებაში ნარკოტიკების შემოტანასა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩარევა ემსახურებოდა არეულობის, დანაშაულის პრევენციის ან ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ გატარებული ზომები აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან მიზნად ისახავდნენ დიდი რაოდენობის ნარკოტიკებით ვაჭრობის ოპერაციის ჩაშლას. ხოლო, მოპოვებული ინფორმაცია გამოყენებული იყო გამოძიებისა და სისხლის სამართლის პროცესის დროს, რომლის დროსაც მომჩივანს კანონის უზენაესობის შესაბამისად გარანტირებული ჰქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

კომუნიკაციაში ჩარევა, სატელეფონო მოსმენა და ფარული ზედამხედველობა

ბენედიკი სლოვენიის წინააღმდეგ

Benedik v. Slovenia

(საჩივარი №62357/14; 24/04/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სლოვენიის პოლიციის მარცხს, მიეღო სასამართლო ბრძანება, რომლის მეშვეობითაც მისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა დინამიკურ IP მისამართთან დაკავშირებული ინფორმაცია აბონენტების შესახებ. ზემოაღნიშნული ინფორმაცია ჩაწერილი იყო შვეიცარიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, გარკვეული დოკუმენტაციის გაზიარებისას, მომხმარებელთა მონიტორინგის ფარგლებში. შედეგად, მოხდა მომჩივნის იდენტიფიკაცია, რომელმაც ქსელში გაავრცელა ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი მასალა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული სამართლებრივი ნორმა იმისათვის, რომ მოეპოვებინა აბონენტების დინამიკური IP მისამართთან დაკავშირებული ინფორმაცია, არ შეესაბამებოდა „კანონთან შესაბამისობის" სტანდარტს კონვენციის მნიშვნელობით. ასევე განაცხადა, რომ აღნიშნული ნორმა იყო ბუნდოვანი, არ იყო დაცული თვითნებური ჩარევისგან, არ არსებობდა ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების გარანტიები და არც დამოუკიდებელი ზედამხედველობა პოლიციის შესაბამისი უფლებამოსილების თაობაზე.

Centrum For Rattvisa შვედეთის წინააღმდეგ

Centrum For Rattvisa v. Sweden

(საჩივარი №35252/08; 19/06/2018)

2019 წლის 19 ივნისის პალატის გადაწყვეტილება – 2019 წლის თებერვალში, საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა

წინამდებარე საქმე ეხება იმ კერძო იურიდიული კომპანიის საჩივარს, რომლის უპირატეს მიზანს წარმოადგენს საჯარო ინტერესის გატარება და არა მოგება. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ კანონმდებლობა, რომელიც უცხოეთის დაზვერვის მიზნებისთვის შვედეთში ელექტრონულ სიგნალებში მასობრივ ჩარევას დასაშვებად მიიჩნევდა, არღვევდა მისი კონფიდენციალურობის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ 2018 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონცენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება). პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული კანონმდებლობა წარმოადგენდა საიდუმლო საზედამხედველო სისტემას, რომელსაც პოტენციურად გავლენა ჰქონდა ყველა მობილური ტელეფონის და ინტერნეტის მომხმარებელზე, მათთვის ამის შესახებ შეტყობინების გარეშე. აგრეთვე, არ არსებობდა ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც ითვალისწინებდა დეტალურ საფუძვლებს მომჩივნის საჩივრისთვის, რომლის მიხედვითაც, იგი სადავოს გახდიდა მისი კომუნიკაციების დაბლოკვას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია, რომ ეროვნუ-

ლი კანონმდებლობა განხილული ყოფილიყო აბსტრაქტულად. იურიდიულ კომპანიას შეეძლო ედავა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის დებულებები, ამის მიუხედავად, მან არ მიმართა რაიმე ეროვნულ სამართალწარმოებას და არ წამოუყენებია კონკრეტული ბრალდებები კომუნიკაციების დაბლოკვასთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონმდებლობის არსებობა თავისთავად წარმოდგენდა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას. პალატამ განაცხადა, რომ მიუხედავად არასრულყოფილებისა, მთლიანობაში შვედური მასობრივი ჩარევის სისტემა უზრუნველყოფდა ადეკვატურ და საკმარის გარანტიებს თვითნებობისა და ბოროტად გამოყენების რისკის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას, პალატამ მხედველობაში მიიღო სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილება – დაიცვას ეროვნული უსაფრთხოება, განსაკუთრებით, დღეს-დღეისობით არსებული გლობალური ტერორიზმის და სერიოზული საზღვრისპირა დანაშაულის საფრთხის არსებობისას. ასევე, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა კონვენციის მე-13 მუხლისგან (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) განცალკევებული საკითხები და შესაბამისად, არ არსებობდა საჩივრის ამ კუთხით განხილვის საფუძველი.

2019 წლის 4 თებერვალს, დიდი პალატის შემადგენლობა დაეთანხმა მომჩივნის მოთხოვნას საქმე გადაცემოდა დიდ პალატას.

Big Brother Watch და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

Big Brother Watch and Others v. the United Kingdom

(საჩივარი №58170/13, №62322/14 და №24960/15; 13/09/2018)

2018 წლის 13 სექტემბრის პალატის გადაწყვეტილება – 2019 წლის თებერვალში საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა

წინამდებარე საქმე ეხება ჟურნალისტების, ცალკეული პირების და უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საჩივრებს სამი სხვადასხვა სადაზვერვო მექანიზმის შესახებ: (1) მასობრივი კომუნიკაციის დაბლოკვა, (2) ინფორმაციის გაზიარება უცხო ქვეყნის მთავრობებისთვის და (3) საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლისგან მონაცემების მიღება, მას შემდეგ რაც ედვარდ სნოვდენმა (აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი) გაამჟღავნა, რომ აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ხდებოდა სადაზვერვო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიმოცვლა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ 2018 წლის 13 გადაწყვეტილებით, 5 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ კავშირგაბმულობის მასობრივი ბლოკირების მექანიზმით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება), რადგან საკმარისად არ კონტროლდებოდა ინტერნეტის საინფორმაციო სიგნალის გადაცემაში ჩარევა და ასევე ფილტრაცია, ძებნა და მოპოვებული შეტყობინებების გამოკვლევა, ხოლო „შესაბამისი საკომუნიკაციო მონაცემების“ გამოკვლევის წესების დაცვა იყო არაადეკვატური. პალატამ განაცხადა, რომ მასობრივი კომუნიკაციების მექანიზმში ჩარევის ოპერაცია თავისთავად არ არღვევდა კონვენციას, თუმცა, აღნიშნა, რომ ასეთი მექანიზმი უნდა შეესაბამებოდეს პრეცედენტული სამართლით დადგენილ კრიტერიუმებს. ასევე, პალატამ 6 ხმით 1-ის წინააღმდეგ დადგინა, რომ კავშირგაბმულობის მომსახურების მიმწოდებლებისგან საკომუნიკაციო მონაცემების მიღების მექანიზმით, დაირღვა კონვენცის მე-8 მუხლი, რადგან შეუსაბამო

იყო კანონთან, ხოლო მასობრივი კომუნიკაციების მექანიზმში ჩარევით და კავშირგაბმულობის მომსახურების მიმწოდებლებისგან საკომუნიკაციო მონაცემების მიღების მექანიზმით, დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), რადგან არ არსებობდა საკმარისი გარანტიები ჟურნალისტური მასალების კონფიდენციალობისათვის. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ უცხო ქვეყნის მთავრობებისთვის ინფორმაციის გაზიარებით არ ირღვევა არც მე-8 და არც მე-10 მუხლი. პალატამ ერთხმად უარყო მომჩივანთა მესამე ჯგუფის საჩივრები კონვენციის მე-6 მუხლთან (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დაკავშირებით საიდუმლო სადაზვერვო ზომების ეროვნული პროცედურების შესახებ და კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაკავშირებით.

2019 წლის 4 თებერვალს, დიდი პალატის შემადგენლობა დაეთანხმა მომჩივნების მოთხოვნას საქმე გადაცემოდა დიდ პალატას.

თანამშრომელთა მიერ კომპიუტერის გამოყენების მონიტორინგი

ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ

Barbulescu v. Romania

(საჩივარი №61496/08; 05/09/2017)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც იყო კერძო კომპანიის თანამშრომელი, მას შემდეგ, რაც კომპანიაში ჩატარდა ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგი და ხელმისაწვდომი გახდა მათში არსებული ინფორმაცია. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ დამსაქმებლის გადაწყვეტილებით დაირღვა პირადი ცხოვრების უფლება და, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემისა და მიმოწერის უფლების დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ განაცხადა, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის და მიმოწერის უფლების ადეკვატური დაცვა. აქედან გამომდინარე, მათ ვერ შეძლეს სხვადასხვა ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს მომჩივანმა მიიღო თუ არა წინასწარი შეტყობინება დამსაქმებლისგან, კომუნიკაციების შესაძლო შემოწმების შესახებ; ასევე მათ არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ იგი არ ყოფილა ინფორმირებული მონიტორნიგის ბუნებასა და მოცულობის შესახებ და არც მისი პირადი ცხოვრების და მიმოწერის უფლებაში ჩარევის ხარისხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს პირველ რიგში, ჩატარებული მონიტორინგის გამამართლებელი სპეციფიკური მიზეზების დადგენა; ასევე ვერ დაადგინეს, შეეძლო თუ არა დამსაქმებელს გამოეყენებინა ისეთი ზომები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის და მიმოწერის უფლებაში ნაკლებად ჩარევას. დაბოლოს, შესაძლო იყო თუ არა დასაქმებულის კომუნიკაციებზე წვდომა, მომჩივნისთვის ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარეშე.

ლიბერტი საფრანგეთის წინააღმდეგ

Libert v. France

(საჩივარი №588/13; 22/02/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა საფრანგეთის ეროვნული რკინიგზის კომპანიის თანამშრომლის (მომჩივნის) სამსახურიდან გათავისუფლებას. კომპიუტერის კონფისკაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ მომჩივანი ინახავდა პორნოგრაფიულ დოკუმენტებს და ამზადებდა ყალბ სერტიფიკატებს მესამე პირებისთვის. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ დამსაქმებელმა მის დაუსწრებლად გახსნა მისი სამუშაო კომპიუტერის მყარ დისკზე არსებული პირადი დოკუმენტები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი და საფრანგეთის ხელისუფლებამ არ გადააჭარბა მისთვის მინიჭებულ თავისუფალი შეფასების ფარგლებს. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ დოკუმენტების გადამოწმება მომჩივნის დამსაქმებლის მხრიდან, ემსახურებოდა დამსაქმებელთა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, რომელთაც მართლზომიერად სურთ უზრუნველყონ, რომ თანამშრომლები იყენებდნენ იმ კომპიუტერულ შესაძლებლობებს, რომლებიც თავად მიანიჭეს მათი ხელშემკვრელი ვალდებულებებისა და მოქმედი წესების შესაბამისად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს კონფიდენციალურობის დაცვის მექნიზმს, რომელიც დამსაქმებლებს ნებას რთავს გახსნან დასაქმებულთა პროფესიული და არა პირადი ხასიათის დოკუმენტები. ეს უკანასკნელი, მათ მხოლოდ დასაქმებულთა თანდასწრებით შეუძლიათ. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ წინამდებარე მექანიზმი არ შეუშლიდა ხელს დამსაქმებელს, რომ გაეხსნა დოკუმენტები, რადგან სათანადოდ არ ყოფილა გამოვლენილი, რომ ისინი წარმოადგენდნენ კერძო ხასიათის დოკუმენტებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სწორედ შეაფასეს მომჩივნის ბრალდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის შესახებ და რომ მათი გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა შესაბამის და საკმარის საფუძვლებს.

ვიდეოთვალთვალი

ანტოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ

Antovic and Mirkovic v. Montenegro

(საჩივარი №70838/13; 28/11/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მონტენეგროს უნივერსიტეტის მათემატიკის სკოლის ორი პროფესორის საჩივარს პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის შენობაში, სადაც ისინი ასწავლიდნენ დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონიათ ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე ეფექტური კონტროლის შესაძლებლობა და შესაბამისად, აღნიშნული ზედამხედველობა იყო უკანონო. ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივანთა მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე, განაცხადეს, რომ პირადი ცხოვრების ხელყოფის მოთხოვნის საკითხი არ განიხილებოდა, რადგან აუდიტორიები, სადაც მომჩივნები ასწავლიდნენ იყო საჯარო ადგილები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და დაასკვნა, რომ ვიდეოთვალთვალი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას. პირველ რიგში, სასამართლომ უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ საქმე დაუშვებელი იყო იმ საფუძვლით, რომ პირადი ცხოვრების უფლების საკითხი არ იდგა საფრთხის ქვეშ, რადგან ტერიტორია რომელზეც ხორციელდებოდა ვიდეოთვალთვალი იყო საჯარო სამუშაო სივრცე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებული პრაქტიკის თანახმად, პირადი ცხოვრების უფლება შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ საქმიანობას და მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი მომჩივნების შემთხვევაზეც ვრცელდება. ამრიგად, წინამდებარე საქმეში მე-8 მუხლის გამოყენება იყო შესაბამისი. საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ვიდეოთვალთვალი წარმოადგენდა მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას და ამით ირღვეოდა ეროვნული კანონმდებლობის დებულებები. მართლაც, ეროვნულ სასამართლოებს არასდროს გაუთვალისწინებიათ თვალთვალის სამართლებრივი საფუძვლები, რადგან თავიდანვე გადაწყვიტეს, რომ სახეზე არ იყო პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა.

ლოპეს რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ

Lopez Ribalda and Others v. Spain

(საჩივარი №1874/13; 8567/13; 09/01/2018)

საქმე გადაეცა დიდ პალატას 2018 წლის 1 მაისს

წინამდებარე საქმე ეხება ესპანური სუპერმარკეტების ქსელის თანამშრომლების ფარულ ვიდეოთვალთვალს, მას შემდეგ, რაც ქურდობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს ვიდეომასალების საფუძველზე და აცხადებდნენ, რომ აღნიშნული მასალები მათი პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის შედეგად იქნა მოპოვებული. ეროვნულმა სასამართლოებმა დასაშვებად ცნეს ვიდეოჩანაწერები როგორც მტკიცებულებები და ძალაში დატოვეს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, კერძოდ, მიიჩნია, რომ ესპანურმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებასა და დამსაქმებლის საკუთრების უფლებას შორის. პალატამ აღნიშნა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, მომჩივნებს წინასწარ უნდა სცოდნოდათ სათვალთვალო კამერის არსებობის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ ეცნობათ. დამსაქმებლის უფლებები შეიძლება სხვა საშუალებებით ყოფილიყო დაცული, მომჩივნებს მინიმუმ, ზოგადი ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონოდათ სათვალთვალო კამერების არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, პალატამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევას და აღნიშნა, რომ საქმისწარმოება მთლიანობაში იყო სამართლიანი, რადგან ვიდეომასალები არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც დაეყრდნენ ეროვნული სასამართლოები სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების დროს, რადგან მომჩივნებს შეეძლოთ სადავოდ გაეხადათ ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერები.

2018 წლის 28 მაისს, დიდი პალატა დაეთანხმა მთავრობის მოთხოვნას, რომ საქმე გადაცემოდა დიდ პალატას.

სისხლის სამართალი

აიკაგუერი საფრანგეთის წინააღმდეგ

Aycaguer v. France

(საჩივარი №8806/12; 22/06/2017)

წინამდებარე საქმეში ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, ეროვნულ დნმ-ის ბაზაში შესატანად (FNAEG)[10] საკუთარი ბიოლოგიური ნიმუშის წარდგენის ვალდებულებით. მომჩივნის უარის საფუძველზე წარედგინა შესაბამისი მონაცემები, დაიწყო სისხლისსამართლებრივი საქმისწამორება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, აღნიშნა, რომ 2010 წლის 16 სექტემბერს, საკონსტიტუციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ FNAEG-თან დაკავშირებული დებულებები შეესაბამებოდა კონსტიტუციას, მათ შორის ისეთ საკითხებს როგორიცაა, „პერსონალური მონაცემების შენახვის ვადის დადგენა, რომელიც დამოკიდებულია შენახული მონაცემის მიზანსა ან/და სადავო დანაშაულის სერიოზულობაზე". სასამართლომ აღნიშნა, რომ არ იყო მიღებული შესაბამისი ზომები ზემოაღნიშნულ მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებით და დღეის მდგომარეობით, არ არსებობდა რაიმე დებულება, რომელიც მოახდენს მონაცემთა შენახვის ვადის დიფერენციაციას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ბუნების მიხედვით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ FNAEG-ში დნმ-ის მონაცემთა შენახვის რეგულაციები არ უზრუნველყოფდა მონაცემთა სუბიექტისთვის საკმარის დაცვას მათი შენახვის ვადისა და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მონაცემთა წაშლა შეუძლებელი იყო. ამრიგად, რეგულაციებმა ვერ შეძლეს სამართლიანი ბალანსის დაცვა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

ქეთთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

Catt v. The United Kingdom

(საჩივარი №43514/15; 24/01/2019)

აღნიშნულ საქმეში მომჩივანი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში აქტივისტი იყო, ასაჩივრებდა „ეროვნული ექსტრემისტების" შესახებ პოლიციის ბაზაში მისი პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის შესახებ შენახული ინფორმაცია ეხებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს, რაც მოითხოვდა განსაკუთრებულ დაცვას. სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნის ასაკი (94 წლის იყო), და ასევე ის, რომ მას არ ჰქონდა ძალადობრივი ქმედებების ამსახველი ისტორია. სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოს მიერ ინფორმაციის შეგროვება გამართლებული იყო ლეგიტიმური საფუძვლით, იგივეს თქმა არ შეიძლებოდა მის შენახვაზე, კერძოდ იმის გამო, რომ არ არსებობდა სათანადო გარანტიები, მაგალითად, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო ინფორმაციის შენახვის ვადები.

[10] Fichier national automatise des empreintes genetiques – გენეტიკური ანაბეჭდების ავტომატური ეროვნული მონაცემთა ბაზა (ავტ.კომ).

ლოპეს რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ

Lopez Ribalda and Others v. Spain

(საჩივარი №1874/13; 8567/13; 09/01/2018)

2018 წლის 1 მაისს, საქმე გადაეცა დიდ პალატას

წინამდებარე საქმე ეხება ესპანური სუპერმარკეტების ქსელის თანამშრომლების ფარულ ვიდეოთვალთვალს, მას შემდეგ რაც ქურდობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს ვიდეო მასალების საფუძველზე და აცხადებდნენ რომ აღნიშნული მასალები მათი პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის შედეგად იქნა მოპოვებული. ესპანურმა სასამართლოებმა დასაშვებად ცნეს ვიდეო ჩანაწერები, როგორც მტკიცებულებები და ძალაში დატოვეს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით დადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ესპანურმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებასა და დამსაქმებლის საკუთრების უფლებას შორის. პალატამ აღნიშნა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, მომჩივნებს წინასწარ უნდა სცოდნოდათ სათვალთვალო კამერის არსებობის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ ეცნობათ. დამსაქმებლის უფლებები შეიძლება სხვა საშუალებებით ყოფილიყო დაცული, რომელთა მიხედვითაც მომჩივნებს მინიმუმ ზოგადი ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონოდათ სათვალთვალო კამერების არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, პალატამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევას და აღნიშნა, რომ სამართლაწარმოება მთლიანობაში იყო სამართლიანი, რადგან ვიდეო მასალები არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც დაეყრდნენ ეროვნული სასამართლოები სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების დროს და მომჩივნებს შეეძლოთ სადავოდ გაეხადათ ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერები.

2018 წლის 28 მაისს დიდი პალატა დაეთანხმა მთვარობის მოთხოვნას, რომ საქმე გადაცემოდა დიდ პალატას.

ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ

Lopez Ribalda and Others v. Spain

(საჩივრები №1874/13 და №8567/13; 17/10/2019)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა თანამშრომელთა ფარულ ვიდეოთვალთვალს, რამაც გამოიწვია მათი სამსახურიდან გათავისუფლება. მომჩივნებმა გაასაჩივრეს ფარული ვიდეოთვალთვალი და ესპანური სასამართლოების მიერ მტკიცებულების სახით გამოყენება იმის დასადგენად, რომ მათი გათავისუფლება სამართლიანი იყო. მომჩივნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს გათავისუფლების ბრძანებას, ასევე დავობდნენ, რომ ეს მოხდა ზეწოლის შედეგად, რაც უკავშირდებოდა ვიდეომასალის არსებობას და ის არ უნდა ყოფილიყო მიღებული მტკიცებულებად იმისა, რომ მათი გათავისუფლება სამართლიანი იყო.

სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ხუთ მომჩივანთან მიმართებით ად-

გილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. კერძოდ, დადგინდა, რომ ესპანეთის სასამართლოებმა სამართლიანად დააბალანსეს მომჩივნების – ქურდობაში ეჭვმიტანილი სუპერმარკეტის თანამშრომლებისა და დამსაქმებლის უფლებები და საფუძვლიანად შეამოწმეს ვიდეოთვალთვალის გამოყენების გამამართლებელი მიზეზები. მომჩივანთა მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, მათ წინასწარ არ ეცნობათ თვალთვალის თაობაზე, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მოცემული ქმედება გამართლებული იყო ეკონომიკურ დანაკარგებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედების გონივრული ეჭვის გამო. მოცემულ საქმეზე ეროვნულ სასამართლოებს არ გადაუჭარბებიათ თავიანთი დისკრეციის ფარგლებს (თავისუფალი შეფასების ფარგლები). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახეზე არ ყოფილა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულებების სახით ფარული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ვიდეომასალების გამოყენებას ეჭვქვეშ არ დაუყენებია სამართალწარმოების სამართლიანობა.

გაფიცვაში მონაწილეობის გამო სამსახურიდან გათავისუფლება

ოგნევენკო რუსეთის წინააღმდეგ

Ognevenko v. Russia

(საჩივარი №44873/09; 20/11/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივანს, რომელიც მატარებლის მძღოლი იყო და სამსახურიდან გაათავისუფლა დისციპლინური გადაცდომების, მათ შორის, გაფიცვაში მონაწილეობის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და აღნიშნა, რომ მატარებლის მძღოლებს და რკინიგზის სხვა თანამშრომლებს, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, აკრძალული ჰქონდათ გაფიცვა. ამასთან აღნიშნული შეზღუდვა არ იყო საკმარისად გამართლებული რუსეთის მთავრობის მიერ და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო შრომით ნორმებს. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოებმა მხოლოდ მომჩივნის კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის განხილვა შეძლეს, ყოველგვარი ბალანსის დადგენის გარეშე. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანი დასაჯეს სამსახურიდან გათავისუფლების გზით გაფიცვაში მონაწილეობის გამო, რომელიც მისი მხრიდან მეორე დისციპლინური გადაცდომა იყო. ამგვარ სანქციებს გააჩნდათ „მსუსხავი ეფექტი“ სხვა თანამშრომლებისთვის, რომლებიც შესაძლოა მიიჩნევდნენ, რომ გაფიცვის გზით დაიცავდნენ საკუთარ ინტერესებს. საბოლოოდ, სამსახურიდან გათავისუფლება ზემოაღნიშნული საფუძვლით, წარმოადგენდა მომჩივნის უფლებების არაპროპორციულ შეზღუდვას.

პირადი ცხოვრების პატივისცემა

ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ

Barbulescu v. Romania

(საჩივარი №61496/08; 05/09/2017)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა კერძო კომპანიის მიერ თანამშრომლის (მომჩივნის) გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, მას შემდეგ რაც კომპანიაში ჩატარდა ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგი და ხელმისაწვდომი გახდა მათში არსებული ინფორმაცია. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ დამსაქმებლის გადაწყვეტილებით დაირღვა პირადი ცხოვრების უფლება და ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის და მიმოწერის უფლების დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ განაცხადა, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის და მიმოწერის უფლების ადეკვატური დაცვა. აქედან გამომდინარე, მათ ვერ შეძლეს სხვადასხვა ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს, მომჩივანმა მიიღო თუ არა წინასწარი შეტყობინება დამსაქმებლისგან, კომუნიკაციების შესაძლო შემოწმების შესახებ; ასევე მათ არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ იგი არ ყოფილა ინფორმირებული მონიტორნიგის ხასიათისა და მოცულობის შესახებ და არც მისი პირადი ცხოვრების და მიმოწერის უფლებაში ჩარევის ხარისხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ჩატარებული მონიტორინგის გამამართლებელი სპეციფიკური მიზეზების დადგენა; ასევე ვერ დაადგინეს, შეეძლო თუ არა დამსაქმებელს გამოეყენებინა ისეთი ზომები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის და მიმოწერის უფლებაში ნაკლებად ჩარევას, დაბოლოს, შესაძლო იყო თუ არა დამსაქმებელის კომუნიკაციებზე წვდომა მომჩივნისთვის ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარეშე.

რეპროდუქციული უფლებები

სახლში მშობიარობა

პოიატინა ხორვატიის წინააღმდეგ

Pojatina v. Croatia

(საჩივარი №18568/12; 04/10/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ხორვატიის კანონმდებლობას, სახლში მშობიარობასთან დაკავშირებით. მოცემულ საქმეში, უცხოელი ბებიაქალის დახმარებით, მომჩივანმა მეოთხე შვილზე სახლში იმშობიარა. ევროპული სასამართლოს წინაშე იგი დავობდა, რომ თუმცა ხორვატიის კანონმდებლობით ნებადართული იყო სახლში მშობიარობა, პრაქტიკაში ამის განხორციელება ვერ ხერხდებოდა, რადგან შეუძლებელი იყო პროფესიონალური დახმარების მიღება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლო დაეთანხმა იმას, რომ შესაძლოა ერთი შეხედვით გაჩნდეს ეჭვი არსებობდა თუ არა ხორვატიაში სახლში მშობიარობისათვის ხელშეწყობის სისტემა. შესაბამისად, მან მოუწოდა ხელისუფლებას კანონმდებლობის კონსოლიდირებისკენ ისე, რომ საკითხი რეგულირებული ყოფილიყო პირდაპირ და მკაფიოდ. ამის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი, ხორვატიის ბებიაქალების პალატისა და ჯანდაცვის სამინისტროს წერილების მეშვეობით, ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახლში მშობიარობისთვის დახმარების გაწევას. სასამართლომ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ შეძლო დაედგინა ბალანსი მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებასა და მთავრობის ინტერესს შორის – დაიცვან მშობლებისა და ბავშვების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ამჟამად ხორვატიას არ გააჩნდა კონვენციით ნაკისრი ვალდებულება, რომ დაეშვა დაგეგმილი სახლში მშობიარობა. იმის გათვალისწინებით, რომ სახლში მშობიარობის თაობაზე ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებს შორის ჯერ კიდევ დიდი შეუსაბამობაა, ევროპული სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ამ საკითხზე თანდათანობით ვითარდება კანონმდებლობა.

გამრავლება სამედიცინო დახმარების მეშვეობით

ნედესკუ რუმინეთის წინააღმდეგ

Nedescu v. Romania

(საჩივარი №70035/10; 16/01/2018)

წინამდებარე საქმეში, ევროპული სასამართლოს წინაშე დაქორწინებული წყვილი, დავობდა, რომ მათ ვერ შეძლეს ემბრიონის აღდგენა რომელიც 2009 წელს პროკურატურის ორგანოების მიერ ჩამოერთვათ. შესაბამისად, დაკარგეს კიდევ ერთი შვილის ყოლის შესაძლებლობა. ეროვნულმა სასამართლომ წყვილს ემბრიონის აღდგენის უფლება მიანიჭა, თუმცა, მათ არ მიეცათ ამის განხორციელების შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, განაცხადა, რომ მომჩივნებისთვის ემბრიონის აღდგენის ხელშეშლა, რომლის შესახებაც

გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლომ გამოიტანა, წარმოადგენდა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას.

სუროგაცია

პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ

Paradiso and Campanelli v. Italy

(საჩივარი №25358/12; 24/01/2017)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა სოციალური მომსახურების მიღებას ცხრა თვის ბავშვისთვის, რომელიც დაიბადა გესტაციური სუროგაციის გზით. იტალიელმა წყვილმა, მომჩივნებმა, მიმართეს სუროგატს, რომელიც იყო რუსი ეროვნების ქალი; მოგვიანებით გაირკვა, რომ წყვილს არ ჰქონია ბიოლოგიური კავშირი ბავშვთან. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ ბავშვის მათგან ჩამოშორება არც აუცილებლობას წარმოადგენდა და არც საკმარის და შესაბამის მტკიცებულებებს ეფუძნებოდა და, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილება გამოიტანეს მხოლოდ საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით, დაპირისპირებულ ინტერესთა შეფასების გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ბავშვსა და მომჩივნებს შორის არ არსებობდა ბიოლოგიური კავშირი, ასევე მათი და ბავშვის ურთიერთობა მცირეხნიანი იყო და მათ შორის არსებობდა გაურკვეველი მომავალი სამართლებრივი ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ემოციური კავშირისა, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივნებსა და ბავშვს შორის არ იყო ოჯახური ურთიერთობა. ამის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ზომები ექცეოდნენ მომჩივანთა პირადი ცხოვრების ფარგლებში. დიდმა პალატამ ასევე მიიჩნია, რომ სადავო ზომები ატარებდნენ კანონიერ მიზანს, რომ თავიდან აეცილებინათ არეულობა და დაეცვათ სხვათა უფლებები და თავისუფლებები. ამ უკანასკნელთან მიმართებით, სასამართლომ ლეგიტიმურად მიიჩნია იტალიის ხელისუფლების სურვილი, კიდევ ერთხელ დაედასტურებინა სახელმწიფოს ექსკლუზიური კომპეტენცია, რომ ბავშვის დაცვის მიზნით, ბავშვისა და მშობლის სამართლებრივი ურთიერთობა აღიარებული იქნეს მხოლოდ ბიოლოგიური კავშირის ან კანონიერი შვილობის შემთხვევაში. დიდი პალატა ასევე, დათანხმდა იტალიის სასამართლოების დასკვნას, რომ ბავშვი არ განიცდიდა სერიოზულ ან გამოუსწორებელ ზიანს მომჩივნებისგან ჩამოშორების შედეგად და, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა შეძლეს დაეცვათ სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა ინტერესებს შორის, მათთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლებში.

ტერორიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

„დამნაშავის გადაცემის“ საიდუმლო ოპერაციები

აბუ ზუბაიდაჰი ლიეტუვას წინააღმდეგ

Abu Zubaydah v. Lithuania

(საჩივარი №46454/11; 31/05/2018)

წინამდებარე საქმეში ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ ლიეტუვამ ნება დართო აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს (CIA), რომ იგი დამნაშავის გადაცემის საიდუმლო საგანგებო პროგრამის ფარგლებში გადაეყვანათ საკუთარ ტერიტორიაზე. მომჩივნის განცხადებით, ლიეტუვამ დაუშვა, რომ იგი დაქვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას და უკანონო პატიმრობას ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საპყრობილეში – ე.წ. „შავი მხარე“-ში და რომ ლიეტუვამ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება მის მიერ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით.

მოცემულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მომჩივანი არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან იგი კვლავ აშშ-ის დაქვემდებარებაში, შეზღუდულ პირობებში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოუწია დაყრდნობოდა ფაქტებს სხვადასხვა წყაროებიდან. კერძოდ, ძირითადი ინფორმაცია მიიღო აშშ-ის სენატის 2014 წლის დეკემბრის ანგარიშიდან, რომელიც შეეხებოდა CIA-ს მხრიდან წამების ფაქტებს და ასევე მოისმინა ექსპერტის ჩვენება. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) და განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობამ ვერ შეძლო მომჩივნის ბრალდებების ეფექტიანი გამოძიება ასევე, იგი მონაწილეობდა CIA-ს ქმედებებში, რამაც გამოიწვია არასათანადო მოპყრობა. სასამართლომ განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-8 მუხლები (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და 13-ე მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის თებერვლიდან 2006 წლის მარტის პერიოდში, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო ციხე მდებარეობდა ლიეტუვაში, სადაც მომჩივანი იმყოფებოდა, ხოლო ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა, რომ იგი დაექვემდებარებოდა არაადამიანურ მოპყრობას ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მხრიდან. ლიეტუვამ ასევე ნება დართო გადაეყვანათ იგი სხვა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საპატიმროში, კერძოდ, ავღანეთში, რითიც მომჩივანს გაუგრძელა სამომავლო არასათანადო მოპყრობის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანი იმყოფებოდა ლიეტუვას იურისდიქციის ქვეშ და რომ სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი კონვენციით გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევაზე. სასამართლოს რეკომენდაციით, ლიეტუვამ რაც შეიძლება სწრაფად და მთლიანად უნდა დაასრულოს გამოძიება მომჩივნის საქმეზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაისაჯოს ნებისმიერი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი. დაბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს დამატებით უნდა მიემართა აშშ-სთვის, რათა აღმოეფხვრა ან შეემცირებინა მომჩივნის უფლებათა დარღვევის შედეგები.

კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საკითხები (სამართლიანი განხილვის უფლება)

რამდა საფრანგეთის წინააღმდეგ

Ramda v. France

(საჩივარი №78477/11; 19/12/2017)

მომჩივანი, ალჟირის მოქალაქე, რომელსაც მსჯავრი დაედო 1995 წელს ჩადენილი ტერორისტული თავდასხმებისათვის, ექსტრადირებული იქნა დიდი ბრიტანეთიდან საფრანგეთში. ევროპული სასამართლოს წინაშე იგი დავობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც იგი დამნაშავეს ცნეს, დაუსაბუთებელი იყო. მომჩივანი ასევე დავობდა ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის პრინციპის დარღვევის თაობაზე, საკუთარ სისხლის სამართლის მსჯავრთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მსჯავრდების შესახებ წინა საბოლოო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის სასამართლოების მიერ იქნა გამოტანილი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგარაფი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ მოცემულ საქმეში მომჩივანს გააჩნდა საკმარისი გარანტიები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ გაეაზრებინა ნაფიც მსაჯულთა სააპელაციო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი მსჯავრდება. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის საქმეზე არსებობდა სამი დასაბუთებული სასამართლო ბრძანება დაპატიმრების შესახებ, ასევე სასამართლო პროცესის დროს გაიმართა დებატები და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დაისვა მრავალი დეტალური კითხვა, მომჩივანი ვერ შეძლებდა სარჩელის შეტანას, თუკი არ ეცოდინებოდა მისი მსჯავრდების საფუძვლების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი (ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა) და განაცხადა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და მსჯავრდება არ დადებულა იმავე ფაქტებზე დაყრდნობით, რაც წინა საქმისწარმოების დროს. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ მტკიცე პოზიცია ტერორისტულ აქტებში მონაწილე პირთა წინააღმდეგ, ასევე აღნიშნა, რომ მკვლელობაში მონაწილეობა და მკვლელობის მცდელობა წარმოადგენდნენ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) სერიოზულ დარღვევებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაინტერესებულ პირთა პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფის დაცვით დასაჯონ დამნაშავეები.

მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ

Murtazaliyeva v. Russia

(საჩივარი №36658/05; 18/12/2018)

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის, რომელიც იყო რუსეთის მოქალაქე და ეთნიკურად ჩეჩენი, საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება ტერორისტული თავდასხმის მომზადებისთვის იყო არასამართლიანი. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ სამართალწარმოება არ იყო სამართლია-

ნი, რადგან მას არ ჰქონია შესაძლებლობა დაენახა ან ეფექტურად შეეფასებინა სათვალთვალო კამერებით გადაღებული მასალა, რომელიც სასამართლო პროცესის დროს აჩვენეს, ვინაიდან იგი ვერ ხედავდა ეკრანს სასამართლო დარბაზში. მას ასევე არ მიეცა საშუალება სასამართლოში დაეკითხა პოლიციის თანამშრომელი, რომლის ქმედებებიც, მისი აზრით, შესაძლოა მიჩნეულიყო როგორც დანაშაულის წაქეზება და რომ მას არ მიეცა საშუალება გამოეძახა და დაეკითხა ორი მოწმე, რომლებიც ესწრებოდნენ იურიდიული დოკუმენტის შედგენას და შეეძლოთ დაედასტურებინათ მისი განცხადებები, მის ჩანთაში არსებულ ასაფეთქებელ ნივთიერებებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (b) პარაგრაფები (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება/დაცვისთვის მომზადების უფლება), როდესაც მომჩივანს არ ჰქონია შესაძლებლობა სასამართლო პროცესის დროს ენახა ვიდეოჩანაწერი. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ბუნდოვანია, თუ რატომ არ იყო მომჩივნისთვის შესაძლებელი ვიდეოჩანაწერის დანახვა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ აბრკოლებდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მიზანს წარმოადგენდა შეემოწმებინა ვიდეოჩანაწერის სიზუსტე, რომელიც შესაძლებელი იყო აუდიოჩანაწერის მოსმენითაც. დიდმა პალატამ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პარაგრაფები (საქმის სამართლიანი განხილვა/მოწმის დაკითხვა), როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა უარი თქვეს გამოეძახათ და დაეკითხათ მოწმეები. დაცვის მხარის მოწმეთა გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაცვის მხარეს არ განუმარტავს თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი მოწმეთა დაკითხვა, ეროვნულმა სასამართლოებმა შესაბამისად დაასაბუთეს საკუთარი გადაწყვეტილებები და იმ ფაქტმა, რომ არ მომხდარა მათი დაკითხვა, ეჭვქვეშ არ დააყენა სამართალწარმოების სამართლიანობა. დიდმა პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია და მიუღებლად ცნო საჩივარი მე-6 მუხლის 1-ელ და მე-3 (d) პარაგრაფებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კიდევ ერთი მოწმის, პოლიციის თანამშრომლის, დაკითხვას. დაადგინა, რომ მომჩივანმა შეძლო ესარგებლა მისი დაკითხვის უფლებით.

კონვენციის მე-7 მუხლი
(არავითარი სასჯელი კანონის გარეშე)

არზპიდე სარასოლა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ

Arrozpide Sarasola and Others v. Spain

(საჩივარი №65101/16; №73789/16; №73902/16; 23/10/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ესპანეთში პატიმრობის მაქსიმალური ვადის გამოთვლას, რომელიც უნდა მოეხადათ ტერორისტული ორგანიზაციის ETA-ს წევრებს, ასევე ეხებოდა საკითხს – გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო თუ არა პატიმრობის ვადა, რომელიც მათ უკვე მოიხადეს საფრანგეთში. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, იმასთან დაკავშირებით, რომ უზენაესი სასამართლოს ახალი სასამართლო პრაქტიკისა და ახალი კანონის გათვალისწინებით, რომელიც მათი მსჯავრდების შემდეგ შევიდა ძალაში, ხანგრძლივდებოდა მათი სასჯელის რეალური ვადა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთის უზენაესი

სასამართლოს გადაწყვეტილებებით არ შეცვლილა მომჩივანთა პატიმრობის საერთო ვადა, რომელიც ყოველთვის იყო 30 წელი. სხვადასხვა სასამართლოებს სხვადასხვა მოსაზრება გააჩნდათ იმ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო თუ არა სხვა სახელმწიფოში მოხდილი სასჯელის, როგორც კუმულატიური სასჯელის გათვალისწინება. ზემოაღნიშნული აზრთა სხვადასხვაობა დასრულდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც საკითხი მომჩივანთა საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა. მომჩივანთა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები ეყრდნობოდა უზენაესი სასამართლოს განაჩენს. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე).

ტერორისტული აქტების მსხვერპლები

ტაგაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

Tagayeva and Others v.Russia

(საჩივარი №26562/07; №14755/08; №49339/08; №49380/08; №51313/08; №21294/11; №37096/11; 13/04/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა 2004 წლის სექტემბერში, სკოლაზე ტერორისტულ თავდასხმას ქალაქ ბესლანში, ჩრდილოეთ ოსეთში. 50 საათზე მეტი ხნის განმავლობაში შეიარაღებულ ტერორისტებს მძევლად ჰყავდათ 1000-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგან უმეტესობა ბავშვები იყვნენ. აფეთქებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად 330-ზე მეტი პირი დაიღუპა (მათ შორის 180 ბავშვი), ხოლო 750-ზე მეტი დაშავდა. მომჩივნები – რუსეთის 409 მოქალაქე იყვნენ პირები, რომლებიც მძევლად აიყვანეს ან/და დაშავდნენ ინციდენტის შედეგად, ასევე იმ პირთა ოჯახის წევრები, რომლებიც მძევლად აიყვანეს, ტერორისტული აქტის შედეგად გარდაიცვალნენ ან დაშავდნენ. მომჩივნები დავობდნენ რუსეთის სახელმწიფოს რიგ შეცდომებთან დაკავშირებით, რომელიც დაუშვეს აღნიშნულ თავდასხმასთან მიმართებით. ყველა მომჩივანი აცხადებდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება დაეცვათ მსხვერპლები სიცოცხლის მოსპობის რისკის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მათთვის ცნობილი იყო და რომ არ მომხდარა საქმის ეფექტიანი გამოძიება. ზოგიერთი მომჩივანი ასევე დავობდა, რომ მათ დასაცავად ჩატარებული ოპერაციის დაგეგმვა და მასზე კონტროლი იყო არასაკმარისი და თავდასხმით გამოწვეული სიკვდილი იყო ხელისუფლების მხრიდან მოუწესრიგებელი და არაპროპორციული გამოყენებული ძალის შედეგი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პრევენციული ზომების გატარება. სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფო ფლობდა საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტერორისტული თავდასხმის მომზადებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მხრიდან არ მიღებულა საკმარისი ზომები იმისათვის, რომ ჩაეშალათ ტერორისტული თავდასხმის მომზადება (1), არ გატარებულა საკმარისი ღონისძიებები იმისათვის, რომ თავდასხმის დღეს ტერორისტებს ვერ შეძლებოდათ თავისუფალი გადაადგილება (2), სკოლის უსაფრთხოება არ ყოფილა გაძლიერებული და (3) არც სკოლა და არც მოსახლეობა ყოფილა გაფრთხილებული მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულება, პირველ რიგში, იმიტომ რომ გამოძიებით ვერ დადგინდა, იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ გამოყენებული

ძალა გამართლებული ამ გარემოებებში. სასამართლომ განაცხადა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერაციის დაგეგმვისა და მისი მართვის პროცესში არსებობდა უამრავი დარღვევა. ოპერაციას, რომელიც ტერორისტული თავდასხმის დროს ჩატარდა, არ ჰყოლია ხელმძღვანელი, რამაც სერიოზული ხარვეზები წარმოშვა გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამის უწყებებთან კორდინაციის მხრივ. სასამართლომ ასევე, დაადგინა, რომ დაირღვა მე-2 მუხლი, უსაფრთხოების დამცავი ძალების მხრიდან სასიკვდილო ძალის გამოყენების შედეგად. სათანადო საკანონმდებლო ნორმების არარსებობის გამო სკოლაში გამოიყენეს ისეთი იარაღები, როგორიცაა ტანკის ქვემეხი, ყუმბარმტყორცნი და ცეცხლმფრქვეველი. აღნიშნულის შედეგად დაიღუპნენ მძევლებიც, აქედან გამომდინარე გამოყენებული ძალა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის იმ ნაწილს რომლის მიხედვითაც სასიკვდილო ძალის გამოყენება შესაძლებელია, თუ ის „აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს". იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში მსხვერპლებს უკვე გადაუხადეს კომპენსაცია და მოვლენათა გარემოებების დასადგენად გატარდა სხვადასხვა ეროვნული ღონისძიება, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღეულა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება). დაბოლოს, კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა სხვადასხვა ზომების მიღების საჭიროებაზე, რომლის მიზანიცაა საკანონმდებლო და საოპერაციო სტანდარტების ცნობიერების ამაღლება და მომავალში, მსგავსი დარღვევების თავიდან აცილება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნულ შემთხვევაზე მიმდინარე გამოძიების სამომავლო მოთხოვნები უნდა განისაზღვროს ევროპული სასამართლოს დასკვნების შესაბამისად.

ალ ნაშირი რუმინეთის წინააღმდეგ

Al Nashiri v. Romania

(საჩივარი №33234/12; 31/05/2018)

წინამდებარე საქმეში მომჩივანი ბრალდებული იყო აშშ-ში, ტერორისტულ თავდასხმებში მისი სავარაუდო მონაწილეობის გამო, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. მოცემული საქმე ეხება მის ბრალდებებს რუმინეთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა უფლება მისცა შეერთებული შტატების სახელმწიფო ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს (CIA), საიდუმლო საგანგებო პროგრამის ფარგლებში გადაეყვანათ მომჩივანი საკუთარ ტერიტორიაზე, სადაც იგი დაექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას და უკანონო პატიმრობას, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ე.წ „შავი მხარის" საპატიმროში. ის ასევე დავობდა, რომ რუმინეთმა ვერ უზრუნველყო ეფექტური გამოძიების ჩატარება მის მიერ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით.

მოცემულ საქმეში, სტრასბურგის სასამართლოსთვის მომჩივანი არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან იგი კვლავ აშშ-ის დაქვემდებარებაში, შეზღუდულ პირობებში, იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოუწია დაყრდნობოდა ფაქტებს სხვადასხვა წყაროებიდან. კერძოდ, ძირითადი ინფორმაცია მიიღო აშშ-ის სენატის 2014 წლის დეკემბრის ანგარიშიდან CIA - ს მხრიდან წამების შესახებ. ასევე, მოისმინა ექსპერტის ჩვენება. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა). განაცხადა, რომ რუმინეთის მთავრობამ ვერ შეძლო მომჩივნის ბრალდებების ეფექტური გამოძიება და ასევე იგი თანამონაწილეობდა CIA - ს ქმედებებში, რამაც გამოიწვია არასათანადო მოპყრობა. დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-8 მუხლები (პირადი ცხოვრების

პატივისცემის უფლება) და მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მე-3, მე-5 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება), აგრეთვე მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლები მე-6 დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში (სიკვდილით დასჯის გაუქმება), რადგან რუმინეთმა შეუწყო ხელი მომჩივნის გადაცემას, მიუხედავად აშკარა საფრთხის არსებობისა, რომ ის განიცდიდა უსამართლობას და დადგებოდა სიკვდილით დასჯის რისკის წინაშე. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2003 წლის სექტემბრიდან 2005 წლის ნოემბრის პერიოდში, ცენტრალური სადაზღვევო სააგენტოს ციხე კოდური სახელით, „შავი მხარის საპატიმრო", მდებარეობდა რუმინეთში. ასევე განაცხადა, რომ მომჩივანი აღნიშნულ ციხეში დაკავებული იყო დაახლოებით 18 თვის განმავლობაში და ეროვნული ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო CIA-ს მხრიდან მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და კონვენციით გარანტირებულ დებულებათა დარღვევის ფაქტის შესახებ. რუმინეთმა აგრეთვე დაუშვა, რომ მომჩივანი გადაეყვანათ CIA -ს სხვა საპატიმროში – ავღანეთში ან ლიეტუვაში, სადაც დაუცველი იყო შემდგომი არასათანადო მოყრობის ფაქტებისგან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი იმყოფებოდა რუმინეთის იურისდიქციაში და სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი მომჩივნის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ფაქტზე. სასამართლოს რეკომენდაციით, რუმინეთმა რაც შეიძლება სწრაფად და სრულად უნდა დაასრულოს გამოძიება მომჩივნის საქმეზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დასაჯოს ნებისმიერი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აშშ-გან იმის გარანტია, რომ მომჩივანი სიკვდილით არ დაისჯება.

ალი გურბუზი თურქეთის წინააღმდეგ

Ali Gurbuz v. Turkey

(საჩივარი №52497/08, №6741/12, №711012; 12/032019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სისხლის სამართლის შვიდ საქმისწარმოებას მომჩივნის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც მომჩივანმა ყოველდღიურ გაზეთში, თურქეთის კანონმდებლობით ტერორისტებად აღიარებულ ორგანიზაციათა ლიდერების განცხადებები გამოაქვეყნა. მომჩივანი უდანაშაულოდ ცნეს საქმისწარმოების დროს, რომელიც გრძელდებოდა ხუთიდან შვიდ წლამდე და რომლის მიმდინარეობისას იგი არ ყოფილა პატიმრობაში. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანმა განაცხადა, რომ სადავო საქმისწარმოების ხანგრძლივობა, მასზე როგორც მედიის წარმომადგენელზე ახდენდა ზეწოლას, მიუხედავად იმისა, რომ საქმისწარმოების ყოველი წყების ბოლოს დგებოდა გამამართლებელი განაჩენი მის სასარგებლოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სერიოზული სისხლისსამართლებრივი ბრალდებების საფუძველზე არაერთი სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობა გაგრძელდა მნიშვნელოვნად. თუმცა, არ არსებობდა ზემოაღნიშნულის მწვავე სოციალური საჭიროება, არ იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული (ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და ტერიტორიული მთლიანობა) და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული სამართალწარმოებების დაწყება, შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ხელისუფლების რეაგირება, რომელსაც სისხლის სამართლის შესაბამისად სურ-

და აღეკვეთა ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერთა განცხადებების გამოქვეყნება, მიუხედავად ზემოაღნიშნულ განცხადებათა შინაარსისა, მაშინაც კი თუ ეს განცხადებები წარმოადგენს საჯარო ინტერესის საკითხზე მსჯელობას. სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გატარებული სააღსრულებო ღონისძიებები, რომლის დროსაც არ გაითვალისწინეს მათი განზრახვა და ასევე, არ გაითვალისწინეს საზოგადოების უფლება – მიიღონ სხვა პირთა მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია კონფლიქტის დროს – არ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც ინფორმაციის ან აზრის მიღების ან გაზიარების თავისუფლება.

ბეგალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

Beghal v. the United Kingdom

(საჩივარი №4755/16; 28/02/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ანტიტერორისტული კანონმდებლობის გამოყენებას, კერძოდ, 2000 წლის ტერორისტული აქტის დანართს №7, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებდა პოლიციელებსა და საემიგრაციო სამსახურის ოფიცრებს შეეჩერებინათ, გაეჩხრიკათ და დაეკითხათ მგზავრები პორტებში, აეროპორტებსა და საერთაშორისო სარკინიგზო ტერმინალებში. 2011 წლის იანვარში მომჩივანი გააჩერეს და დაკითხეს აღმოსავლეთ მიდლენდის აეროპორტში, მაშინ როდესაც სტუმრობდა მეუღლეს საფრანგეთის ციხეში, სადაც ტერორისტული დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. ევროპული სასამართლოს წინაშე იგი დავობდა პოლიციის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, რომელსაც ანიჭებდა ანტიტერორისტული კანონმდებლობის №7 დანართი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა). სასამართლომ განაცხადა, რომ იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა არ იყო საკმარისად განსაზღვრული და ასევე, არ ითვალისწინებდა ადეკვატურ სამართლებრივ გარანტიებს უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, პირთა შემოწმება შესაძლოა გაგრძელებულიყო 9 საათის განმავლობაში, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ეპასუხათ კითხვებისთვის ფორმალური დაკავებისა და ადვოკატთან წვდომის გარეშე. ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთებისას, სასამართლომ არ გაითვალისწინა შემდგომი ცვლილები კანონმდებლობაში. 2014 წლისთვის მესაზღვრე ოფიცრებისთვის სავალდებულო გახდა იმ პირთა დაკავება, რომელთა დაკითხვაც ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში სურდათ, დაკითხვა უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით, ხოლო დაკავებული გათავისუფლებული უნდა იქნეს 6 საათის შემდეგ.

დონერი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ

Doner and Others v. Turkey

(საჩივარი №29994/02; 07/03/2017)

წინამდებარე საქმე ეხება სისხლის სამართლის საქმისწარმოებებს 20 მომჩივნის წინააღმდეგ, რომლებიც ცხოვრობდნენ სტამბულში, ხოლო მათი შვილები განათლებას იღებდნენ სხვადასხვა საჯარო დაწყებით სკოლებში. საქმისწარმოებები მომჩივანთა წინააღმდეგ დაიწყო მას შემდეგ, რაც მათ წარადგინეს შუამდგომლობები, რომ მათ შვილებს ესწავლათ ქურთულ ენაზე. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოება აღიძრა მათი შუამდგომლობით მიმართვის

შემდეგ, კონსტიტუციური უფლების გამოყენების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მსგავსი ქმედების კრიმინალიზაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ ჩარევა მოცემულ შემთხვევაში არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში". სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუმცა არ შეუფასებია ის სირთულეები, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლისას წარმოიშვა, მხოლოდ ეს ფაქტი არ ათავისუფლებდა სახელმწიფო ორგანოებს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია ლეგიტიმურად შეიზღუდოს სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს გამართლებული და მწვავე სოციალურ საჭიროებებიდან გამომდინარე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს არსებული გარემოებისა და ფაქტების სათანადო შეფასება და კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტების გამოყენება.

პორტუ იუანენეა და სარასოლა იარზაბალი ესპანეთის წინააღმდეგ

Portu Juanenea and Sarasola Yarzabal v. Spain

(საჩივარი №1653/13; 13/02/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნების ბრალდებებს არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით, როდესაც 2008 წელს დააკავეს სამოქალაქო გვარდიის ოფიცრებმა და პოლიციის მიერ მათ დაკავებას და იზოლატორში მოთავსებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), როგორც მატერიალური ისე პროცედურული ასპექტი. სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზიანებები, რომლებიც აღწერილი იყო მომჩივანთა მიერ წარმოდგენილ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებში, მათ მიადგათ სამოქალაქო გვარდიელთა მხრიდან. გარდა ამისა, არც ეროვნულ ორგანოებს და არც ესპანეთის მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სახის დამაჯერებელი ან სარწმუნო არგუმენტები, რომლებიც შეძლებდნენ აეხსნათ ან გაემართლებინათ მომჩივანთა დაზიანებები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული დაზიანებები სახელმწიფოს ბრალულობით იყო გამოწვეული. ამასთან ერთად, რადგან მომჩივნები არ დავობდნენ, რომ მათთვის მიყენებულ დაზიანებებს ჰქონდა უარყოფითი შედეგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში და რადგანაც არ არსებობდა დამაჯერებელი მტკიცებულებები მათი მკურნალობის აუცილებლობის თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპყრობა, რომელსაც მომჩივნები დაექვემდებარნენ, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს როგორც წამება. თუმცა, იგი საკმარისად სერიოზულია, რათა მიჩნეული იყოს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად. სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლო მომჩივანთა საქმის განხილვის პროცესში მხოლოდ მათი ვერსიების განხილვით შემოიფარგლა, ისე რომ არ გაუთვალისწინებია ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე სახის ფიზიკურ ძალადობას ოფიცრების მხრიდან მომჩივანთა დაკავების იზოლატორში ყოფნის განმავლობაში და იყო თუ არა ეს მკაცრად აუცილებელი და პროპორციული ხასითის ქმედება. ასევე, უზენაეს სასამართლოს არ შეუფასებია პირველი მომჩივნისთვის მიყენებული სერიოზული დაზიანებები იყო თუ არა იმ ოფიცერთა ბრალეულობა, რომლებსაც მასზე პასუხისმგებლობა და ზედამხედ-

ველობა ეკისრებოდათ. ამ უმოქმედობამ ხელი შეუშალა ეროვნულ სასამართლოებს სრულად და შესაბამისად დაედგინათ არსებული ფაქტები და ყველა არსებული გარემოება.

ოტეგი მონდრაგონი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ

Otegi Mondragon and Others v. Spain

(საჩივარი №4184/15; №4317/15; №4323/15; №5028/15; №5053/15; 06/11/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივანთა საჩივარს პირველი ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, ისინი დააკავეს სეპარატისტული ორგანიზაციის (ETA) წევრობის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ პირველ მომჩივანს ადრე უკვე მოგებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ETA-ს (ყოფილი შეიარაღებული ბასკურ ნაციონალური და სეპარატისტული ორგანიზაცია) წინააღმდეგ დავაში, რომელზეც დადგინდა, რომ თავმჯდომარე მოსამართლე იყო მიკერძოებული, რაც გავრცელდა სასამართლოს მთელ შემადგენლობაზე, შესაბამისად, აუცილებელი გახდა საქმის ხელახალი განხილვა. ერთი წლის შემდეგ, სასამართლომ იმავე შემადგენლობით, რომელთა შორისაც იყო წინა საქმისწარმოებაზე თავმჯდომარე მოსამართლე, სხვადასხვა ბრალდებით სხვადასხვა მსჯავრი დააკისრა ხუთივე მომჩივანს. შესაბამისად, მომჩივნების ეჭვი მოსამართლეთა მიუკერძოებულობასთან დაკავშირებით იყო ობიექტური.

სტომახინი რუსეთის წინააღმდეგ

Stomakhin v. Russia

(საჩივარი №52273/07; 09/05/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა, მომჩივნის მსჯავრდებას და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების გამო, რომლებიც შეეხებოდა ჩეჩნეთში მომხდარ შეიარაღებულ კონფლიქტს. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული სტატიები ამართლებდა ტერორიზმსა და ძალადობას და ასევე, აღვივებდა სიძულვილს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ ზოგიერთი სტატია გასცდა დასაშვები კრიტიკის ზღვარს და მოუწოდებდა ძალადობისკენ, ამავდროულად ცდილობდა ტერორიზმის გამართლებას. სხვა განცხადებები იყო მისაღები კრიტიკის ფარგლებში. საბოლოოდ, არ არსებობდა მწვავე სოციალური საჭიროება მომჩივნის უფლებაში ჩარევისათვის, რაც გამოიხატა გაკეთებული განცხადებებისთვის დასჯის სახით და სასჯელის სიმკაცრით, რითაც დაირღვა მისი უფლებები.

მ.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ

M.A. v. France

(საჩივარი №9373/15; 01/02/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა ალჟირის სახელმწიფოსთვის მომჩივნის გადაცემას, რომელსაც მსჯავრი დაედო ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის. ევროპუ-

ლი სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ საფრანგეთის მთავრობამ მისი ალ-ჟირისათვის გადაცემით, რომელიც განხორციელდა სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის დარღვევით, ვერ შეასრულა საკუთარი ვალდებულებები კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად (უფლება ინდივიდუალურ საჩივარზე).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის ალჟირისთვის გადაცემის დროს, რომლის ტერორისტულ დანაშაულში მსჯავრდების შესახებ ცნობილი იყო ალჟირის ხელისუფლებისთვის, არსებობდა რეალური და სერიოზული საფრთხე, რომ იგი აღმოჩნდებოდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედების წინაშე. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევა (უფლება ინდივიდუალურ საჩივარზე). ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობამ მომჩივანი ალჟირში გადაიყვანა მისთვის აღნიშნულის შესახებ ცნობიდან შვიდ საათში. ამგვარად, განზრახ შექმნეს ისეთი სიტუაცია, რომელშიც მომჩივანს გაუჭირდებოდა მიემართა სასამართლოსთვის დროებითი ღონისძების მოთხოვნით და შეამცირეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვის ხარისხი.

ჩევიკელი თურქეთის წინააღმდეგ

Cevikel v. Turkey

(საჩივარი №23121/15; 23/05/2017)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სამართალწარმოებას მომჩივნის მოთხოვნასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიადგა მის სოფელში განხორციელებული ტერორისტული ქმედებების და ამ უკანასკნელის აღმოფხვრის ღონისძიებების შედეგად. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა საქმისწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება). სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო საქმისწარმოების ხანგრძლივობა გადაჭარბებული იყო, სცილდებოდა და არ იყო თანხვედრაში გონივრული ვადის მოთხოვნებთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სასამართლოში გაგრძელდა დაახლოებით ორ წელი და ორი თვე, ხოლო საქმისწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში გრძელდებოდა დაახლოებით ერთი წელი და ოთხი თვე. შესაბამისად, საქმისწარმოება არ ყოფილა დროში გადაჭარბებულად გაწელილი. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპენსაციის კომისიას მძიმე სამუშაო დატვირთვა ჰქონდა და ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ზომები ამ პრობლემის გადასაჭრელად იყო შესაბამისი. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მცდელობები იყო არასაკმარისი, რადგან კომისიამ სადავო საკითხის მოგვარება მხოლოდ ორი წლისა და ათი თვის შემდეგ დაიწყო.

ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ

A.S. v. France

(საჩივარი №46240/15; 19/04/2018)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მაროკოს მოქალაქის გაძევებას მაროკოში, რომელიც მსჯავ-

რდებული იყო საფრანგეთში ტერორისტულ ქმედებებში მონაწილეობისათვის და ჩამორთმეული ჰქონდა საფრანგეთის მოქალაქოება ამავე საფუძვლით. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ იგი გააძევეს მაროკოში, მიუხედავად რისკის არსებობისა, რომ იგი დაექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას. მან ასევე განაცხადა, რომ მაროკოში გაძევება წარმოადგენდა ევროპული სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების განხორციელების მოთხოვნის დარღვევას და საფრანგეთმა არ შეასრულა კონვენციის 34-ე მუხლით (ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის უფლება) გათვალისწინებული ვალდებულებები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა და არაადამინაური ან დამამცირებელი მოპყრობა). სასამართლომ აღნიშნა, რომ მაროკომ მიიღო საყოველთაო ზომები წამების და არაადამიანური მოპყრობის რისკის თავიდან ასაცილებლად, უფრო მეტიც, მისი გათავისუფლებისა და ადვოკატთან კონტაქტის მიუხედავად, მომჩივანმა ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, როგორიცაა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, რათა ეჩვენებინა, რომ მაროკოში მე-3 მუხლის დარღვევისთვის მისი პატიმრობის პირობები აღემატებოდა აუცილებელი სიმძიმის ზღვარს. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 34-ე (ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის უფლება) მუხლის დარღვევას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაძევების შესახებ ბრძანება მომჩივანს არ გადასცემია გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და ის დაუყოვნებლივ გადაიყვანეს აეროპორტში მაროკოში გაძევების მიზნით. შესაბამისად, მომჩივანს არ ჰქონდა საკმარისი დრო, რათა სასამართლოსთვის მიემართა გადაწყვეტილების დროებითი შეჩერების მოთხოვნით, იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ ის დიდი ხნის წინ მიიღო. გარდა ამისა, გაძევებით გაბათილდა კონვენციის დარღვევის შესახებ ნებისმიერი დასკვნა, რადგან მომჩივანი გააძევეს იმ ქვეყანაში, რომელსაც არ აქვს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები და როგორც მომჩივანი აცხადებდა, იგი დაექვემდებარებოდა არადამიანურ მოპყრობას.

გენდერული თანასწორობა

ეკისი ლატვიის წინააღმდეგ

Ecis v. Latvia

(საჩივარი №12879/09; 10/01/2019)

წინამდებარე საქმე ეხება მამრობითი სქესის პატიმრის საჩივარს, რომელიც აცხადებდა, რომ ერთი და იმავე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ მამაკაცსა და ქალს ციხის რეჟიმის კონტექსტში განსხვავებულად ეპყრობოდნენ, კერძოდ, მამაკაცებს არ ჰქონდათ ციხის დატოვების უფლება, რის გამოც მომჩივანი ვერ დაესწრო მამის დაკრძალვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლების დარღვევა, კონკრეტულად იმის გამო, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის მქონე პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს სერიოზული დანაშაული და მისჯილი ჰქონდათ ერთი და იგივე სასჯელი, განსხვავებულად ეპყრობოდნენ. სასამართლომ აღინიშნა, რომ მამაკაცებს ავტომატურად ათავსებდნენ მაღალი უსაფრთხოების მქონე ციხეებში, ხოლო ქალები ნაწილობრივ დახურულ ციხეებში ხვდებოდნენ. კანონმდებლობის მიხედვით, აპლიკანტს ავტომატურად ეკრძალებოდა მამის დაკრძალვაზე დასწრება, როდესაც იმავე სიტუაციაში მყოფი ქალი პატიმრისთვის ეს შესაძლებელი იქნებოდა. წინამდებარე საქმეზე არ მომხდარა მსგავსი აკრძალვის პროპორციულობის ინდივიდუალური შეფასება და მომჩივანი დაექვემდებარა დისკრიმინაციას, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას წარმოადგენს.

ჯანდაცვასთან დაკავშირებული საქმეები

სავრანი დანიის წინააღმდეგ

Savran v. Denmark

(საჩივარი №57467/15; 01/10/2019)[11]

წინამდებარე საქმეში თურქი მომჩივანი დავობდა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო თურქეთში დაბრუნების შემთხვევაში, დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის თურქეთში გაგზავნა დანიის ხელისუფლების მიერ იმის შესწავლის გარეშე, რომ თურქეთში ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ის მიიღებდა საკმარის და ინდივიდუალურ გარანტიებს – დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ფსიქიატრებმა რეკომენდაცია გაუწიეს აპლიკანტის მდგომარეობის მჭიდრო მონიტორინგსა და შემდგომ შემოწმებას, რათა მისი მკურნალობა ეფექტური გამხდარიყო და მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხელი შეწყობოდა საზოგადოებაში მის რეინტეგრაციას. სასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ აპლიკანტი თურქეთში ასეთ მკურნალობას მიიღებდა, განსაკუთრებით, როდესაც მას იქ არ ჰყავდა ოჯახი და დასჭირდებოდა პირი, რომელიც მას მოუვლიდა.

[11] წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში (საბოლოო გადაწყვეტილებები) აღნიშნული გარემოებების შესაბამისად.

რ.ს. უნგრეთის წინააღმდეგ

R.S. v. Hungary

(საჩივარი №65290/14; 01/07/2019)

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივანს, რომელიც პოლიციამ აიძულა კათეტერის მეშვეობით ჩაეტარებინა შარდის ანალიზი, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ ავტომობილის ტარების დროს ის იმყოფებოდა ნარკოტიკული ან ალკოჰოლური თრობის ქვეშ. მომჩივანი აცხადებდა, რომ შარდის ანალიზის იძულებითი აღება წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში სერიოზულ ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა, მიიჩნია რა, რომ ხელისუფლება სერიოზულად ჩაერია პირის ფიზიკურ და გონებრივ მთლიანობაში, მისი ნების საწინააღდეგოდ და საჭიროების გარეშე, ვინაიდან მომჩივანს ასევე ჩაუტარდა სისხლის ანალიზი, რათა დადგენილიყო იყო თუ არა იგი თრობის ქვეშ.

მეჰმეტ ულუსოი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ

Mehmet Ulusoy and Others v. Turkey

(საჩივარი №54969/09; 25/06/2019)

წინამდებარე საქმეში მომჩივნები მოქმედებდნენ რა, საკუთარი და მათი შვილის სახელით, რომელიც 2001 წელს დაიბადა და აქვს ფსიქომოტორული განუვითარებლობა და ასევე მუდმივი ფსიქოლოგიური დარღვევები, დავობდნენ, რომ მათი შვილის პერმამენტული ქმედუუნარობა გამოწვეული იყო სამედიცინო დაუდევრობით. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ ამ ბრალდებებთან დაკავშირებით გამოძიება არ ჩატარდა საფუძვლიანად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მომჩივნთა საჩივარი განიხილა კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლის მიხედვით, რომელიც მოიცავს მორალურ და ფსიქიკურ მთლიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სამედიცინო დახმარების კონტექსტში. სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა (სამედიცინო დაუდევრობის ბრალდებებზე გამოძიება) და მიიჩნია, რომ მომჩივანთა ბრალდებებს ხელისუფლების ვერცერთმა ორგანომ ვერ გასცა თანმიმდევრული და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი. მათ აგრეთვე არ შეუფასებიათ სამედიცინო პირების შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხი, ფაქტების სრულად ცოდნის მიუხედავად. თუმცა, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევა და აღნიშნა, რომ მომჩივნების საჩივრები ძირითადად ეხებოდა პრენატალური რისკების არასწორ შეფასებას მშობიარობის დროს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე პირველ რიგში ეხებოდა სამედიცინო შეცდომის ან დაუდევრობის ბრალდებას. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მატერიალური ნაწილის პოზიტიური ვალდებულების მიხედვით, თურქეთს ეკისრებოდა მხოლოდ ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებისა და იმპლემენტაციის ვალდებულება, რომელსაც შეეძლებოდა პაციენტთა უფლებების დაცვა. სასამართლომ შემდეგ განაცხადა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა *per se* არ მიუთითებდა რაიმე დარღვევას სახელმწიფოს მხრიდან.

ოჯახში ძალადობა

ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ

Volodina v Russia

(საჩივარი №41261/17; 09/07/2019)

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი დაცვა განგრძობადი ხასიათის მქონე ოჯახში ძალადობისგან, რაც მოიცავდა თავდასხმებს, მოტაცებას, ადევნებასა და მუქარებს. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ რუსეთში არსებული სამართლებრივი მოწესრიგება არაადეკვატური იყო ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ასეთ ძალადობრივ და დისკრიმინაციულ მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას, მიიჩნია რა, რომ მომჩივანზე ყოფილი პარტნიორი ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა და რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, მომჩივანი ვერ დაიცვა ყოფილი პარტნიორის ძალადობისგან. მან ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ რუსეთის კანონმდებლობა არ ცნობდა ოჯახში ძალადობას და კანონმდებლობით განსაზღვრული არ იყო შემაკავებელი და დამცავი ორდერები. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ცალსახად ნათელყო, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ სურდა გაეცნობიერებინა ოჯახში ძალადობის პრობლემის სირთულე და ქალებზე მისი დისკრიმინაციული შედეგი.

კურტი ავსტრიის წინააღმდეგ

Kurt v. Austria

(საჩივარი №62903/15; 04/07/2019)

4 ივლისი, 2019 წელი – 2019 წლის ნოემბერში საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის რვა წლის ვაჟის მკვლელობას, მისი მამის მიერ. აღნიშნულ შემთხვევამდე მომჩივანს გაჟღერებული ჰქონდა, რომ მეუღლის მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა ოჯახში ძალადობას. აპლიკანტი დავობდა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მისი და მისი შვილების სათანადო დაცვა მისი მეუღლის ძალადობრივი ქმედებებისგან.

2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) არ დარღვეულა. სასამართლომ განიხილა მე-2 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ასპექტი და მიიჩნია, რომ ხელისუფლების ორგანოებს, მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ჰქონდათ უფლება დაესკვნათ, რომ არ არსებობდა საფუძველი იმისა, რომ მომჩივნის მეუღლის წინააღმდეგ არსებული შემაკავებელი ორდერი ჩანაცვლებულიყო სხვა უფრო მკაცრი ღონისძიებით, როგორიცაა წინასწარი პატიმრობა. ამრიგად, ეროვნულმა ხელისუფლებამ არ განიცადა მარცხი, შეესრულებინა კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, დაეცვა მომჩივნის შვილი მამის ძალადობრივი ქმედებისგან.

2019 წლის 4 ნოემბერს დიდმა პალატამ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა, რომ საქმე განსახილველად დიდ პალატას გადასცემოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6 ტელ.: (995 32) 2 98 20 77
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
6, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 98 20 77
www.supremecourt.ge